ახდენენ ჩინოვნიკებზე, ამ დიდი მონსტრების ხელში წერილი და საშუალო ბიზნესი, ჯანსაღი ეკონომიკური უჯრედები ფაქტობრივად კვდება, ეკონომიკა ინგრევა. მონოპოლიზებული პირობების ხელოვნურად შექმნა მთელი ქვეყნისათვის დამაქცევარია. ეს მდგომარეობა მთლიანად ეხება არქიტექტურისა და ქალაქგეგმარების, მშენებლობის სფეროში მიმდინარე პროცესებს. აქედან გამომდინარე შედეგებია ქალაქის ის "შედეგები", რომლებიც ჩამოთვლილია ბატონ დავით მალრადის მიწინააღმდეგე ერთი ინტერესთა ჯგუფის მიერ არის პრივატიზებული: არქიტექტურის სამსახური, არქიტექტორთა კავშირი და ქალაქის ხელი-სუფლება. დააკვირდით, ერთი და იგივე სახელები ტრიალებს ყველგან და ქმნიან იმ ატმოსფეროს, სადაც საღი აზრი იკარგება. ჩამოვითვალთ ეს სახელები? მე მგონი არ არის აუცილებელი, თქვენც კარგად მოგესხენებათ.

**თბილისის განაშენიანების წესების შესახებ**

1999 წლის 27 თებერვალს "დილის გაზეთში" გამოქვეყნებულ სტატიაში "თბილისის არქიტექტურული და ქალაქგეგმარებითი პრობლემები", ვწერდი: "...გადაუდებელია თბილისში დადგინდეს ზონები განაშენიანების მიხედვით, სადაც განსაზღვრული იქნება სართულიანობის ქვედა და ზედა ზღვარი. ეს საშუალებას მისცემს შეიქმნას მთავარ არქიტექტორს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გასცეს არქიტექტურულ გეგმარებითი დავალება სართულიანობის მითითებით და ააცილებს არქიტექტურულ საზოგადოებას ბევრ საჩივრო მომენტს და გაუფერობას". 2 წლის შემდეგ ქალაქის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება და მოქმედებაში შეიყვანა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულაციები - რეგლამენტი. ამ დოკუმენტის გამოქვეყნებამდე და მის მიღებამდე იყო მისი საზოგადოებრივი განხილვა. გამოითქვა მოსაზრებები და წინადადებები. მათ შორის მეც მქონდა პატივი, გამოემთქვა ჩემი ზოგიერთი მოსაზრება და შენიშვნები, რაც წერილობით მივართვი ბ-ნ ზურაბ ნემსაძეს - ეს იყო 2000 წლის დეკემბერში. ანუ არქიტექტურული საზოგადოება საერთოდ წინააღმდეგი არ იყოს რეგლამენტის მიღებისა, ვინაიდან "რეგლამენტი" მოიანზრებოდა, როგორც მარეგულირებელი დოკუმენტი უძრავ ქონებაზე კერძო საკუთრების ლეგალიზაციის პირობებში. რეგლამენტის შექმნა თავს იდო ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრომ (ავტორები: ზ. ნემსაძე - თემის ხელმძღვანელი; ვ. ლეჟავა, თ. ჯეორჯიანი). ამ საქმიანობისათვის ხელი-სუფლებამ გამოჰყო 40 თასი ლარი. ავტორთა ჯგუფი რეგლამენტში მო-

ყვანილ განცხადებაში წერდა: "ცხადია ავტორები აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ პირველი მცდელობა არ იქნება სრულყოფილი, მით უმეტეს, რომ წინამდებარე წესები შემუშავდა შეზღუდული დროით, მატერიალურ, ეკონომიკურ და პროფესიულ რესურსებზე დაყრდნობით". ეს იყო იძულებითი გადაწყვეტა, მაგრამ სარისკოც, რაც სულ მალე დაამტკიცა განვილიმა დრომ. იქნებ სჯობდა ამ თანხით მოგვეწვია ის მეცნიერული კადრები, რომლებიც მოღვაწეობდნენ "თბილზნიეში" და დაუსაქმებლობისაგან ვარ იმ აზრისაგან, რომ

"რეგლამენტი" საერთოდ მიუღებელია, მაგრამ მასში არის ურთიერთგამომრიცხავი მომენტები. მიუხედავად იმისა, რომ ბატონები ზურაბ ნემსაძე და ვატი ლეჟავა - რეგლამენტის ავტორები - საბჭოთა პერიოდის ქალაქმშენებლობით დოკუმენტაციას უნდოდნენ ექცვიან და საქმიანობა დადასტურებენ, რომელიც "რეგლამენტის" მე-5 მუხლის მე-2 პარაგრაფში ვკითხულობთ, რომ "განაშენიანების წესები, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტი, ავსებს და აზუსტებს, აგრეთვე ქალაქმშენებლობით დოკუმენტაციის სისტემას" (იგულისხმება მოქმედს. - ლ.გ.). მე-3 მუხლის 1-ლი პარაგრაფი: "ამ წესების მიზანია, ურბანულ მიწებზე კერძო საკუთრების პირობებში ქალაქმშენებლობის რეგულირების, მოქმედი სისტემის შევსების გზით, ცალკეული მიწის ნაკვეთების გამოყენებისა და განაშენიანების პირობების დადგენა". ამდენად, სიტყვა "ცალკეული" რეგლამენტის სათაურშივე უნდა ყოფილიყო გამოტანილი.

მე-7 მუხლის მე-4 პარაგრაფი ამბობს, "უფლებრივი ზონირების რუკები, როგორც წესი, წარმოადგენენ ზოგადი (გენერალური გეგმა) და დეტალური (დეტალური დაგეგმარების პროექტი, განაშენიანების პროექტი) ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის ნაწილს". შემდეგი რეგლამენტი წინააღმდეგება თავისივე მუხლის და "დეტალური და უფლებრივი ზონირების" რუკების შედგენის ორ სახეობას განიხილავს: დეტალური დაგეგმარების საფუძველზე და დამოუკიდებელი. აი, სწორედ ამ დაშვების გამო ქალაქის არქიტექტურის სამსახური შეუდგა დამოუკიდებელი უფლებრივი ზონირების რუკების შედგენას, სადაც ასახული იქნება მხოლოდ არსებული მდგომარეობა, რომელიც არავის არ სჭირდება. ასევე ამავ რეგლამენტის დარღვევით მუშავდება "ზოგადი უფლებრივი ზონირების რუკები", ასევე არსებული მდგომარეობის საფუძველზე. რეგლამენტში კი წერია: მუხლი 8, §2 - "უფლებრივი ზონირების პირველი ეტაპი - ზოგადი უფლებრივი ზონირება ეფუძნება მოქმედი გენერალური გეგმით დადგენილ ქალაქმშენებლობით ზონირებას და ასახავს გენერალური გეგმის მოთხოვნებსა და ზოგადი უფლებრივი ზონირებისათ-

ვის, ამ წესებით განსაზღვრული პირობების შედარება-შეჯერების შედეგებს".

მიუხედავად იმისა, რომ "უფლებრივი ზონირების დამოუკიდებელი სავალდებულო რუკებით აკრძალულია მოქმედი გენერალური გეგმით განსაზღვრული ქალაქმშენებლობითი ზონირების პოზიციები და ჩამოყალიბებული განაშენიანებით განვილიმა ზონის სახეობებში ცვლილებების შეტანა" (მუხლი 8, §14), ქალაქის არქიტექტურის სამსახური მაინც განაგრძობს დამოუკიდებელი სავალდებულო რუკების შედგენას არა ზემოხსენებული პარაგრაფის მიხედვით, არამედ არსებული მდგომარეობის მიხედვით, რომელიც, კიდევ ვიმეორებ, არავის არ სჭირდება. სამაგიეროდ, არქიტექტურის სამსახურმა თავის სტრუქტურაში შექმნა პროექტების შეთანხმების კიდევ ერთი ბარიერი, სადაც თავიანთივე შექმნილი ზონების მიხედვით დაგიდგენენ, რომელი ზონით და რომელი კოეფიციენტებით უნდა გესარგებლა. ამის თაობაზე მრავალი უსიამოვნება ხდება. კიდევ ერთი ბარიერი, კიდევ ერთი კორფიციის წყაროა. დღეს თუ არა, ხვალ მაინც (ამიტომაც არის, რომ ყველაზე მწარედ ამ სამსახურის თანამშრომლები იბრძვიან, რათა შენარჩუნებული იქნეს არსებული უაზრო ვითარება).

უფლებრივი ზონირების განხორციელების გარდამავალი პერიოდის პროცედურებში (მუხლი 9) პირველივე პარაგრაფში წერია: "უფლებრივი ზონირების ამოქმედების აუცილებელი წინაპირობას წარმოადგენს წინამდებარე წესებით განსაზღვრული უფლებრივი ზონირების რუკების შემუშავება". ხოლო იქვე, მეორე პარაგრაფშივე უარყოფილია ასეთი წინაპირობა: ვერ წესები შედის ძალაში და მერე ვეღარაა მერისა უზრუნველყო რუკების მომზადების სამუშაოების დაწყება - და ესევეა 9 თვე ზოგადი და ქალაქის ცენტრალური ნაწილის დამოუკიდებელი სავალდებულო რუკების შესადგენად, ხოლო 12 თვეში საშუალებად და პერიფერიული ნაწილის დამოუკიდებელი სავალდებულო რუკების შედგენა. 2001 წლიდან 2 წელი გავიდა და ეს რუკები მზად არ არის. ანუ "რეგლამენტს" იურიდიული ძალა არა აქვს. მიუხედავად ამისა, ქალაქის სამსახური ჯიუტად იყენებს და გასცემს ან არ გასცემს ნებართვებს.

ამ პროცესებში იგნორირებულია ქალაქმშენებლობის სახელმწიფო ნორმატივები და ქალაქის არსებული მოქმედი გენერალური გეგმა. ამან კი შედეგი გამოიღო, რომ ქალაქის სტრუქტურული ელემენტების (მიკრორაიონი, კვარტალი, სახლების ჯგუფი, კომპლექსი) პროექტირებისა და მშენებლობის დროსაც, ხელმძღვანელობენ რა "რეგლამენტის" წესებით, უგულბებლყოფილია ამ სტრუქტურული ელემენტების ფუნქციონირებისათვის ისეთი აუცილებელი ელემენტები, როგორებიცაა - საბავშვო

ბაღი, სკოლა, სპორტული მოედნები, საბავშვო მოედნები, გამწვანება, მანქანების სადგომები და ა.შ. ანუ შენდება ახალი ჯურღმულები მთანმინდაზე, ვერაზე, ვაკეში, მზიურში, სტუდენტულში, მეცნიერებათა აკადემიის ტერიტორიაზე, ყოფილი კერამიკული კომბინატის ტერიტორიაზე. მალე ეს პრესტიჟული უბნები დაკარგავს თავის მიზიდულობას და ხალხი მოტყუებული დარჩება.

"რეგლამენტი" გამოირცხავს თავის კოეფიციენტებში ისეთ არქიტექტურულ ხერხს განაშენიანებისა, როგორიცაა დაბალსართულიანი - მაღალი სიმჭიდროვის განაშენიანება, თუმცა მთელი ძველი თბილისი ამ პრინციპით არის განაშენიანებული. გამოდის, რომ ძველ თბილისში, სახლი რომ თავზე დაგვიგრეს, იგივეს ამტკიცებს ნებართვასაც ვერ მიიღებო. ასეთი მიდგომა დამლუპველია ქალაქისათვის.

რეგლამენტი არ შეიცავს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების რაიმე წესებს და გვერდს უკლავს მე-14 მუხლის მე-17 პარაგრაფით: "ქ. თბილისის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ზონებში ტერიტორიებისა და განაშენიანების რეგლამენტები დგინდება საქართველოს კანონმდებლობით" (რომლით? - ლ.გ.) ამ წესებითა და "ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1985 წ. 29.01.№76 დადგენილებით".

თბილისის არქიტექტურული ნაკრძალის ზონა, დღევანდელი გავებით, ანუ როგორც ეს ქალაქის გენგეგმაშია ჩადებული, მოიცავს არა მარტო ისტორიული განაშენიანების დეკლებს, არამედ ქალაქის თითქმის მთელ დღევანდელ ცენტრს თავისი რუსთაველით, სოლოაკით, ალბანელების გამზირით ვიდრე ეროვნულ სტადიონამდე, რომ აღარაფერი უთქვამთ ავლაზარზე, აბანოთუბანზე, ლეკლიძისა და ვერცხლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიებზე.

1985 წლის დადგენილებაში საჭიროდ მიგვაჩნია, შეიცვალოს დამოკიდებულება განაშენიანების რეგულირების ზონის მიმართ. რეგულირებად ზონაში მშენებლობისა და ტერიტორიების სამართლებრივი უფლებების დაცვა მთლიანად უნდა მიენდოს მთავარი არქიტექტორის საბჭოს. ძეგლთა დაცვის სამმართველოს სამეცნიერო მეთოდურ საბჭოსთან შეთანხმების მოთხოვნა უნდა დარჩეს მხოლოდ სახელმწიფო დაცვის ზონისათვის, მით უფრო, რომ ეს საბჭო ძირითადად დაკომპლექტებულია ხელოვნებათმცოდნეებით, რომელთაც ქალაქგეგმარების საკითხების მიმართ არაადეკვატური მოთხოვნები გააჩნიათ, რაც იწვევს მშენებლობის ბლოკირებას.

რეგლამენტის წესებში გამოყენებული ძირითადი ცნებებისა და მათი განმარტების ჩამონათვალი არ ფი-

გურირებს ტერმინი-ცნება "ქუჩა და ქუჩის ნითელი ხაზები". ამ ტერმინის განმარტება ქალაქგეგმარების ცნობარში ასე უღერს: "საზღვრები, რომლებიც ანმხოლოებს ქუჩას განაშენიანებული ტერიტორიისაგან, რომლის იქით არ შეიძლება გამოადიდეს შენობა" - ასეთი აკრძალვის არშეტანა "წესებში", გამოიწვია გაძლიერებული შეტევა ტრეტუარებზე, სატრანსპორტო კვანძებში, სადაც შენდება ავტოგასამართი სადგურები, რესტორნები, კაფეები, ანუ ეს ტერიტორიები იყიდება.

ბოლოს, ნამდვილად ვერ გავიზიარებ ვატი ლეჟავას პირველ წერილში გამოთქმულ აზრს, რომ "რეგლამენტი" არის ბოლო დროის ევროპული აზროვნებით დაწერილი უმაღლესი რანგის დოკუმენტი. რეგლამენტის წესებში იგრძნობა ჯანმრთელი საწყისები, მაგრამ იქ, სადაც, თბილისის რეალობიდან გამომდინარე, სწორედ იმ "ფარსიველთა" გავლენა იგრძნობა, რომლებიც ამ "რეგლამენტის" შექმნის დროს ავტორებმა გვერდზე ამოიყენეს, იგრძნობა გადახრები "ინტერესთა ჯგუფის" სასარგებლოდ.

ამდენად, დასკვნა ერთია - ამ "რეგლამენტის" მოქმედება უნდა შეჩერდეს მისი საფუძვლიანად გადაშლამდე და, თუ ასე აუცილებელია, თავიდან მის მიღებამდე.

**P.S.** ბოლოდ მის მოეუხდი ყველას, ვისაც ეს წერილი კრიტიკულად შეეხო, მაგრამ უთქმელობა მეტს აფუჭებს. მინდობდა ერთი წერილი მომეცია ყველა აქტუალური პრობლემა. რა თქმა უნდა, ბევრიც უთქმელი დარჩა. ბევრი უკვე ნათქვამი მაქვს ჩემს საგაზეთო წერილებში, ძირითადად, "დილის გაზეთში" და ერთხელ ლიტერატურულ გაზეთში. მე ვიხივე "24 საათის" დამატების "იდეალური" რედაქტორს ბატონ დავით მალრადეს, კუპიურებას ნუ გაუკეთებთ ტექსტს. მე ვიცი თქვენი მოქალაქეობრივი ბუნება და თქვენი ვაჟკაცობა. ასევე მინდა დაგიდასტუროთ ჩემი პატივისცემა თქვენი პოეზიის მიმართ, რომელსაც თვალს ვადევნებ თქვენი ბავშვობიდან.

**მინანარი**  
ვასრულებთ ბატონ ლერი გომიძის თხოვნას და სრულად გეტყვით "დედაქალაქისთვის" შემოთავაზებულ წერილს. ამასთანავე, გვინდა აღვნიშნოთ, რომ თუ დღეს თბილისი ქალაქს ჰკავს, ჩვენი აზრით, უფრო შუა საუკუნეებსა და XIX-ს უნდა ვუმადლოდეთ, ვიდრე საბჭოთა პერიოდს. და ერთიც, ბატონო ლერი, თუ არსებულ ქაოსში, გენერალური გეგმის არსებობა-არარსებობის ფონზე "რეგლამენტის" უფლებამოსილებაც შევანერვივებ, ვანა უფრო მეტი ასპარეზი არ მიეცემათ, თქვენივე სიტყვით რომ ვთქვათ, თბილისის წინააღმდეგ შეთქმულებს!  
პატივისცემით - **დათო მღრიძე**



თბილისის ძველი უბანი



**განხილვის აქტი**

# ბრძოლა ქართული თეატრის წინააღმდეგ

მარიკა ნალაძე

ყველასათვის ცნობილია, რომ ძალიან რთულია ახალი საქმის წამოწყება, მაგრამ არანაკლებ რთულია მიღწეული შენარჩუნება. ეს განსაკუთრებით ეხება საზოგადოებისთვის საჭირო საქმეს. მას ყოველთვის მონინააღმდეგეები უწინდებ ხოლმე. ასევე გახლდათ პირველი ქართული პროფესიული თეატრის ცხოვრების გზაც, მით უფრო, რომ ამ თეატრის თავის მიზნად სინამდვილის კრიტიკულად აღქმა ჰქონდა დასახული და გამომდებოდა დასცინოდა საზოგადოების და მისი წევრების არასასურველ ზნე-ჩვეულებებს; იმას, რაც ხელს უშლიდა საუკეთესო ზნეობის არ აძლევდა მშვიდი, უდრტიკინევი ცხოვრების საშუალებას და ამდენად, ბევრი მონინააღმდეგე და მტერიც კი ჰყავდა.

თავიდან მონინააღმდეგენი თეატრს აშკარად არ უპირისპირდებოდნენ, ვინაიდან ძალზე დიდი იყო მონინააღმდეგეების და თვით მთავარმართებელი ვორონცოვის მხარდაჭერა, თუმცა უკანასკნელის პოზიცია ქართული ნაღები ფენის პოზიციისგან განსხვავდებოდა; მას თავიდან უფრო მოვლენების განვითარების მიმდინავე ადამიანის პოზიცია ეკავა და ელოდებოდა დროს, როდის "დაღვინდებოდა" ქართული თეატრი და შეასრულებდა თავისთვის - ვორონცოვისთვის სასურველ ფუნქციას. ამიტომ იგი აშკარად არ უპირისპირდებოდა ქართულ თეატრს. შეიძლება ითქვას, პირიქით, ერთი შეხედვით, ეხმარებოდა კიდევ მას არსებობაში. ამდენად, თავიდან ქართული თეატრით უკმაყოფილება მხოლოდ კულუარებში გამოითქმებოდა ხოლმე, ისიც ჩუმად, თუმცა უკმაყოფილება დიდი იყო, განსაკუთრებით რუსეთის მეფის მთავრობის წარმომადგენელთა შორის. ამას ადასტურებს იმ პერიოდში ამირკავკასიის სახაზინო პალატის მმართველის თანამდებობაზე მომუშავე ა. ხარტიონოვის მოგონებები, რომლებიც მან გვიან, ქართული თეატრის დახურვის დიდი ხნის შემდეგ, 1894 წელს, ყურნალ "რუსსკაია სტარინას" აპრილის ნომერში გამოაქვეყნა: "ვორონცოვის სურვილით იმეა ქართული თეატრი და პირველ პიესაში, რომელიც დაიდგა თბილისის გიმნაზიის დარბაზში, ორი როლი დატოვებული იყო რუსებისთვის - მექრთამე მოხელე და ლოთი მსახური. არც ერთ რუსს, გარდა თვით თავად ვორონცოვისა და საფანოვისა, ტაში არ დაუკრავს; შჩერბინინი, რომელიც მოხელის როლს ასრულებდა, ძლიერ შეწუხებული იყო, როცა წარმოდგე-

ნაში მონინააღმდეგეების მიღება სთხოვეს, არ იცოდა, რა როლი იყო, შემდეგ კი უარის თქმა ვერ მოახერხა. სცენაზე გასვლის წინ თქვა, რომ მიღის თავის შესარცხვენად. საგულისხმოა ის, რომ ავტორი მინარსით ამ ყოველად ბრიყული პიესისა, რომელსაც "გაყრა" ეწოდება, არის თავადი ერისთავი, რომელიც წინათ არსად მსახურობდა, პირდაპირ მეფისნაცვალთან დაინიშნა განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელედ, რამაც მას არ შეუშალა ხელი წინანდებურად წიხით გამოწყობილი ევლო. ბევრი ლაპარაკი იყო ამის თაობაზე და ყველა უნდა იმას, რომ დაეცა პრესტიჟი მეფისნაცვლისა, რომლითაც ის სარგებლობდა, არა მარტო ამ მხარეში, არამედ მთელ რუსეთში. ამიტომ ჩვენ ნაწილობრივ კმაყოფილი ვიყავით, როცა მაისის ნახევარში (ივლის-სებტა 1854 წელი) თბილისიდან გაემგზავრა შიდა მხარეში".

მოგონებების ავტორს ეწოდება პიესა "გაყრა" პიესაში "დავა", მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია, რომ ამ ამონაწერში ჩანს ქართული თეატრისა და მისი ხელმძღვანელის გარშემო შექმნილი ატმოსფერო. გიორგი ერისთავი კი პოზიციის დათმობას არ აპირებდა, რაც თავისთავად ზრდიდა ქართული თეატრით უკმაყოფილოთა რიცხვს. მათ შორის იყო თეატრის დირექციის შემადგენლობის დიდი ნაწილი, თეატრის დირექტორის ზოგადანოვის მეთაურობით. ამიტომ ქართული თეატრის ახალ შენობაში მოთავსებას (ივლის-სებტა ქარვასლის შენობა) ისინი თავიდანვე ხალისით არ შეხედნენ, უფრო მეტიც, ეს ამბავი არ ესიამოვნათ, მაგრამ უმაღლესი მთავრობის განკარგულებას ვერ გაეცინენ. თუმცა კი სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ქართული თეატრის წინააღმდეგ ბრძოლა...

თეატრით უკმაყოფილო იყო არა მარტო რუსი ჩინოვინიკების ფენა, არამედ ქართველ თავადაზნაურთა რეაქციული ნაწილიც, დიდი მოხელეები და ბურჟუაზია. სწორედ ისინი იყვნენ პირველები, ვინც ბოიკოტი გამოუცხადა ქართულ თეატრს და აღარ დადიოდნენ სპექტაკლებზე, ფიქრობდნენ, ამით თეატრის საღარიბო და ზარალი იქნებოდა. თეატრი გასულიყო ქართულ თეატრს და აღარ დადიოდნენ სპექტაკლებზე, ფიქრობდნენ, ამით თეატრის საღარიბო და ზარალი იქნებოდა. თეატრის ქანდარზე კინტობიც კი გამოჩნდნენ. ასე რომ, ქართული თეატრი ვერ დააზარალეს.

ახლა უკვე ბრძოლაში თეატრის დირექცია ჩაერთო: დაიწყო ქართული თეატრის შევიწროება - შეუწყვიტა რეპეტიციებისათვის სცენისა და დარბაზის მიცემა; ამის გარდა, ქა-



რთულ დასს წაართვა სპექტაკლების მიცემული დღეები და ქართული წარმოდგენები მიაბა რუსულ წარმოდგენებს და იტალიური ოპერის სპექტაკლებს თავსა და ბოლოში. ამან კი მასურებელთა დაბნეულობა გააძლიერა: იტალიურ ოპერას, რუსულ თეატრს და ქართულს თავისი მასურებელი ჰყავდა, კონტინგენტი განსხვავებული იყო. ამას ემატებოდა თეატრში შესასვლელი ბილეთების გაძირებაც, ყველაფერ ზევით ნათქვამს მიჰყავდა ქართული თეატრის ფინანსური კრიზისი - პარტერი თითქმის დაცარიელდა, თუმცა ქანდარზე მასურებელით რიცხვი ისევ იცვებოდა.

გიორგი ერისთავი და მსახიობები მინც განაგრძობდნენ ერთხელ არჩეული მიზანდასახულობით მუშაობას. საპასუხოდ დირექციამ რადიკალური ზომების მიღება გადაწყვიტა - პირველად დააყენა ოფიციალურად ქართული თეატრის დახურვის საკითხი, მაგრამ ვორონცოვი ამ ნაბიჯის გადადგმისგან თავს იკავებდა: ერისთავს ქართული თეატრის მონინააღმდეგეებმა ვერც ამ ეტაპზე მოიგეს.

დაიწყო წინააღმდეგობის ახალი ფაზა: თვით ქართველთა განათლებული ფენისაგან ხალხის დაპირისპირება თეატრთან - ამის საბაზი კი იყო ზურბანტონოვის პიესის "ლიტერატორთა მოგზაურობა ტივით" დადგმა, სადაც გმირთა პროტოტიპებად

ავტორის ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი და მხატვარი გრიგოლ გაგარინი ჰყავდა გამოყვანილი. მონინააღმდეგეებმა აირჩიეს დელეგაცია და მეფისნაცვალთან საჩივრით მივიდნენ: მეფის მოხელეებს სახელს გვიტყვენო. გიორგი ერისთავს მოსთხოვეს განმარტება. უკანასკნელმაც თავი იმართლა და საჩივარიც უყურადღებოდ დარჩა.

თეატრის მონინააღმდეგენი მაინც არ ცხრებოდნენ, იმიტომ, რომ გიორგი ერისთავიც არ იცვლიდა პოზიციას - თეატრი მისთვის ისევ "ცხოვრების სარკე" იყო... 1854 წელს თეატრის დირექციამ მოინგია თეატრების მუშაობის შესახებ თათბირი, რომელსაც ერისთავიც დაესწრო. თეატრის დირექციამ თათბირზე კატეგორიულად დასვა საკითხი ქართული დრამისთვის დოტაციის განახეგრებაზე: 4 000 მანეთის ნაცვლად 2 000 მანეთის მიცემაზე. დიდი ბრძოლის შედეგად გიორგი ერისთავმა დოტაცია შეინარჩუნა, მაგრამ დირექციამ თანხების მიცემა მაინც შეაჩერა. ერისთავმა ისევ ატყდა და და მოითხოვა კრედიტები, ხოლო ამის საპასუხოდ თეატრის დირექტორმა პოგდანოვმა ქართული დრამის გაუქმების საკითხი ხელახლა დასვა. დირექციის შუამდგომლობა ქართული თეატრის დახურვის შესახებ ისევ უარყოფილი იქნა და გიორგი ერისთავმა კიდევ ერთხელ გაიმარჯვა. ასეთი არეულობით დასრულდა

1853-54 წლების სეზონი.

სწორედ ამ ვითარების შემდეგ, 1854 წლის ივნისში, ე.ი. სეზონის დამთავრების შემდეგ, ხდება საინტერესო ფაქტი - გაზეთში "კავკაზი" ჩნდება ერთ-ერთი ავტორის ფსევდონიმით - "სტრანსტეგუუში ტეატრალ"-ის სამი წერილი თბილისის თეატრების შესახებ, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავდა მთავარმართებელი ვორონცოვის პოზიციას. პირველ წერილში ქართული თეატრის რეპერტუარია გაკრიტიკებული. ავტორის აზრით, საჭიროა, ქართველმა დრამატურგებმა დაანებონ თავი გრიბოედოსისა და შოლეის კომედიების ქართულ ენაზე თარგმნას და საერთოდ: "საქართველოსთვის დიდი ხანია დადგა ახალი ცხოვრება, ეს მოხდა მას მერმე, რაც გულში ჩაეკრა მისთვის კეთილი სურვილებით აღსავსე რუსეთს. და თუ ქართველი დრამატურგები ამ რწმენას განამტკიცებენ თავიანთ სცენურ ნაწარმოებებში, მაშინ მათ შეუძლიათ იმედი იქონიონ ადგილობრივ მკვიდრთა დიდი თანაგრძობისა". - ეს კი უკვე ხელისუფლებისგან აშკარა გაფრთხილება იყო... თუმცა, ამ გაფრთხილებას მოჰყვა კიდევ ერთი ფაქტი - მეფისნაცვლის ვორონცოვი ავადმყოფობის გამო გაზაფხულიდან ხანგრძლივ შეგუბლებაში წავიდა და საქართველოს ვასცლიდა. მთავარმართებლის მოვალეობის შესრულება დაევალა გენერალ რეადს. ამით ისა-

რგებლა თეატრის დირექციამ და ქართულ დასს 1 ივნისიდან ხელფასის მიცემა შეუწყვიტა. მსახიობები მთელი ზაფხულის განმავლობაში უხელფასოდ იხსდნენ. გიორგი ერისთავმა, მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, მაინც ისევ გაიბრძოლა - დაენერა განცხადება თეატრის დირექციისადმი, რომელიც საპროტესტო ხასიათის იყო. თეატრის დირექცია იძულებული იყო ან თვითონ გაეცა პასუხი, ან გაეგზავნა მეფისნაცვლის კანცელარიაში. ამჯერად დირექციამ გადაამტკრელი პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა და გადააგზავნა მეფისნაცვლის კანცელარიაში - "დავითხოვო თუ არა აღნიშნული დასი". ბოლოს და ბოლოს წერილი მოხვდა გენერალ რეადთან, ანუ მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელთან. მან კი ვორონცოვის აშკარა დასტურის გარეშე ვერ გადაწყვიტა ქართული თეატრის დახურვის საკითხი და დირექციის დაავალა საკუთარი სახსრებიდან გადაეხადათ მსახიობებისთვის ხელფასი.

თითქოს ისევ მოგვარდა საკითხი და გიორგი ერისთავი შეუდგა სეზონისათვის სამზადისს, მაგრამ აქ მეორე წინააღმდეგობა "წარმოიქმნა": დირექციამ ქართულ თეატრს არ მისცა გარდრობის შესაძენი თანხები, თუმცა ასეთი ხარჯები ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო. დირექცია ქართული თეატრის შევიწროებაზე ხელს არ იღებდა: ისევ აფერხებდა კრედიტების გახსნას, რასაც შედეგად მოჰყვა მსახიობთა ხელფასების ხანგრძლივი დროით დაგვიანება. გ. ერისთავმა კვლავ განაგრძო ქართული თეატრის უფლებებისთვის ბრძოლა. დირექცია კი დათმობაზე არ მიდიოდა. ამან გააძნევა გ. ერისთავსა და დირექციას შორის ურთიერთობა, რასაც შედეგად, ბოლოს და ბოლოს, 1954 წლის ნოემბერში მოჰყვა გიორგი ერისთავის დათმობა - მან ამ გაუთავებელი ბრძოლიდან გაცლა ამჯობინა...

ასე, ნელ-ნელა, თანდათანობით მოიშორეს თავიდან არასასურველი პიროვნება; ადამიანი, რომელიც საზოგადოებისთვის და საზოგადო საქმეებისთვის იბრძოდა; ადამიანი, რომელსაც უანგაროდ უნდოდა მომსახურებოდა თავის ერს.

ასე, ხმაურის გარეშე დაათმობინეს პოზიცია ხელისუფლებისთვის "არასამიედ" პიროვნებას; დაათმობინეს თავისი საყვარელი საქმე და არა მარტო საყვარელი, არამედ საქართველოსთვის საჭიროც. მისი თეატრიდან მოშორება უკვე ქართული დასის განირგას ნიშნავდა. და მართლაც, პირველმა ქართულმა პროფესიულმა თეატრმა გიორგი ერისთავის გარეშე მხოლოდ ორი წელი იარსება, მაგრამ მაინც იარსება, თუმცა ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა.

**აპოკა**







“გაზკრომი” საქართველოში -  
ეკონომიკური აზრისა თუ  
ხელსაყრელი კომერციული  
გარიგება

D2

ვარიაციები ეროვნული  
მეურნეობის განვითარების  
კოლექტიური თემაზე

D4

“იკოს-სიხეფტი” რუსული  
ბიგანტი მსოფლიოს სანავთობო  
გაზარზე

D5

დაბატები ანტიმონოპოლიური  
ორგანოს დამოუკიდებლობის  
შესახებ

D7

რით ემუქრება ევროპას  
დოლარის დაცვა?

D8

კოლონეთი და გარდაქმნა

D9

კოლხური თეთრიდან ლარამდე

D11

რობარტ მანდელი და  
თანამედროვე სავალუტო  
ფონები

D12

საუკუნენახევარი ამერიკელების  
სამსახურში

D13

სურნელოვანი და მალფუჭადი  
ბიზნესი

D15

მსოფლიოს ნომარ ვირვალე  
ბესტსელერი

D16



D11



# "გაზპრომი" საქართველოში - ეკონომიკური აბრუნება თუ ხელსაყრელი კომერციული ბარიერები

ექსპერტთა ვარაუდით, საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება

უახლოესი მომავლის ყველაზე რეზონანსულ ეკონომიკურ პროექტად, რომლის განხორციელებასაც ოფიციალური თბილისი გეგმავს, საქართველოს ბაზარზე "გაზპრომის" შემოყვანა იქცა. "გაზპრომის" ხელმძღვანელის ალექსეი მილერის თბილისში ვიზიტს დაუყოვნებლივ მოჰყვა დასავლეთის ოფიციალური მძაფრი რეაქცია. დღეს ამერიკის შეერთებული შტატები თავის პოზიციას უკვე მკვეთრად აფიქსირებს და საქართველოს ხელისუფლებას "მეტი სიფრთხილისკენ" მოუწოდებს, როცა საქმე ხანგრძლივ ეკონომიკურ პრიორიტეტებს ეხება.

## მაია ურუშაძე

ხელისუფლებამ უკვე გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ იენისში რუსული გაზის გიგანტ "გაზპრომთან" ხელსაყრელ პირობებში გაზის გრძელვადიან შეთანხმებას გაზის სექტორში თანამშრომლობის შესახებ. როგორც პრეზიდენტ შევარდნაძის კაბინეტიდან გამოსული მილერი აცხადებდა, შეთანხმება მოიცავს საკითხთა მთელ კომპლექსს - გაზის ტრანსპორტირებას, მონოდებასა და უშუალოდ მომხმარებლებამდე მიტანას.

როგორც საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა აკონკრეტებს, ამ შეთანხმებაში "გაზპრომთან" ერთობლივი სანარმო-საქარუსგაზპრომის" შექმნა არ იგულისხმება - "ჯერჯერობით, საუბარი მხოლოდ გაზის მონოდებასა და ამ გაზის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხების საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციისაკენ მიმართვას ეხება."

თუმცა, მილერი საქართველოსთან მხოლოდ "ხანგრძლივ ურთიერთობას" გეგმავს. მისი ოფიციალური განცხადებით, "გაზპრომის" კომერციული ინტერესი საქართველოსადმი გაზის ბაზრის ათვისებაში გამოიხატება. "კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გაუსვას, რომ საქართველოს გაზის სატრანსპორტო საშუალებებში დიდძალი ინვესტიციები უნდა ჩაიდოს ("გაზპრომისა" და საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის წინასწარი გათვლებით, ამისათვის 250 მილიონი დოლარია საჭირო), მის დაბრუნებას კი, საშუალოვადიანი ინვესტირების პირობებშიც კი, ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდება. ამდენად, გაზის მონოდების საკითხში თანამშრომლობაც ასევე გრძელვადიან გათვლებზე უნდა აენციოს," - აცხადებს მილერი.

## რამ უბიძგა ხელისუფლებას "გაზპრომისაკენ"

საქართველოსთვის გაზის მიმწოდებელი ერთ დროს "უალტერნატივოდ" დასახელებულ "იტერასთან" ურთიერთობის გართულების შემდეგ, ხელისუფლება არჩევანის წინაშე დადგა: ან მომავალი არჩევნების წინ დიდძალი თანხები გაზის შესასყიდად უნდა მიემართა, ან გაზის მონოდების ისეთი წყარო მოეძებნა, რომლითაც "იტერასთან" ვაჭრობას გაიადვილებდა.

თავიდან "გაზპრომთან" წამოწყებული საუბარი ექსპერტებს არარეალურად მიაჩნდათ. მათი შეფასებით, "გაზპრომის" მასშტაბებისა და ამბიციებისათვის საქართველოს ბაზარი კომერციული თვალსაზრისით არ უნდა ყოფილიყო იმდენად მიმზიდველი, რომ რუსული გაზის გიგანტის ინტერესების სფეროში მოხვედრილიყო. ამ მოსაზრებას საფუძველი ჰქონდა, რადგან წლების მანძილზე "გაზპრომი" საქართველოსთან ერთობლივი სანარმოების შექმნისგან თავს იკავებდა და თურქეთის ბაზრისკენ გაზს "ცისფერი ნაკადის" ("ბლუსტრიმი") საშუალებით იკვლევდა.

საქართველოს გაზის ბაზრით "გაზპრომის" დაინტერესების იმედს სახელისუფლებო წრეებმა მას შემდეგ დაიბრუნეს, რაც, ამ ბოლო დროს, რუსულმა კომპანიამ დსთ-ს სივრცეში გავლენის სფეროების განმტკიცება-გაფართოება დაიწყო. ლატვიის, მოლდოვისა და უკრაინის შემდეგ "გაზპრომმა" საქართველოსთვისაც მოიცალა, რასაც ოფიციალური თბილისი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა. ალექსეი მილერთან შესახვედრად მაშინ მოსკოვს თვით სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ეწვია და, როგორც ჩანს, საკმაოდ დამაიმედებელი ინფორმაცია ჩამოიტანა, რადგან მთავრობამ "იტერასთან" სასაუბრო ტონი უცებ გაამკაცრა.

ნიშანდობლივია, რომ "გაზპრომთან" ურთიერთობების დათბობა და საქართველოს ენერგოსექტორის კურატორთა მოჭარბებული ვიზიტები მოსკოვში, სოჭში შევარდნაძე-პუტინის შეხვედრას მოჰყვა.

პარლამენტში გავრცელებული კულუარული ინფორმაციით, არსებობს საიდუმლო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც საქართველოს ხელისუფლება რუსეთს გალში ლტოლვილების შესაყვანად ნებართვას სთხოვს, სანაცვლოდ კი მზადაა, საქართველოს ენერგეტიკული სივრცე მთლიანად რუსული გავლენის სფეროში მოაქციოს.

## რას მოგვიტანს "გაზპრომი"?

დღეს საქართველოში იმედოვნებენ, რომ საქართველოს ბაზრის ათვისება "გაზპრომს" ალმოსავლეთ თურქეთის ბაზარზე შესასვლელად ესაჭიროება. ამდენად, ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველო მისი სტრატეგიული ინტერესების სფეროში ექცევა და ოფიციალური თბილისი მისი შემოყვან-

ით გაზის ბაზარზე კონკურენციულ გარემოს შექმნის.

მაგრამ, არსებობს ექსპერტთა სხვა მოსაზრებაც. ზოგიერთი მათგანი მიიჩნევს, რომ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების გაზის რუსული გიგანტის გავლენის სფეროში მოქცევა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის დამლუპველი იქნება.

მაგალითად, გასულ კვირას ნატოს ეგიდით საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაში გამართულ კონფერენციაზე, რომელიც საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებს მიეძღვნა, ექსპერტმა ლიანა ჯერვალდიძემ ხელისუფლებას "გაზპრომთან" ხანგრძლივი ურთიერთობის დამყარებაზე ფიქრისგან თავს შეკავება ურჩია.

"ენერგომატარებლების მონოდება - ნებისმიერი ერის უსაფრთხოების ქვაკუთხეა. დასავლეთისა და ახლო აღმოსავლეთის უახლოესმა ისტორიამ ეს აშკარად დაადასტურა. აშშ და ევროკავშირი, რომლებიც ენერგომატარებლებით დამოკიდებულნი არიან ახლო აღმოსავლეთზე, ცდილობენ ჰქონდეთ მონოდების მინიმუმ სამი წყარო. დასანანია, რომ საქართველოს, პოსტ საბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნების მსგავსად, არ აქვს ფუფუნება, აირჩიოს უფრო სანდო პარტნიორი ენერგომატარებლების რა-

მდენიმე მიმწოდებლიდან...

...მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმ გარემოებას, რომ სხვა რუსული კომპანია საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე არ ნიშნავს სხვა ალტერნატიულ მომწოდებელს საქართველოსთვის. ეს ნიშნავს ახალ და უფრო მძლავრ კონტროლს რუსეთის მხრიდან. ეს, ჩემი აზრით, უფრო პოლიტიკური საკითხია, ვიდრე ...ეკონომიკური, ორივე - როგორც რუსული, ასევე ქართული მხარისთვის...

ამიტომ ჩვენ ვურჩევთ საქართველოს, თავი შეიკავოს "გაზპრომთან" ყოველგვარი ხანგრძლივი ურთიერთობისგან და შეინარჩუნოს საქართველოს ენერგოსექტორი სახელმწიფო საკუთრებაში მანამ, სანამ კომერციულად აქტიური ინვესტორები არ გამოჩნდებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა დაკარგავს შესაძლებლობას რეალურად განავითაროს ენერგორენტაბელური დარგები, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა," - განაცხადა ლიანა ჯერვალდიძემ კონფერენციაზე.

მისი თქმით, საქართველო გაზის მონოდების საკითხში რუსეთზე დამოკიდებული იქნება 2006 წლამდე, ანუ მანამ, სანამ ბაქო-თბილისი-ერზერუმის პროექტი არ ამოქმედდება. "გაზპრომის" საქართველოს გაზის

სექტორში შემოყვანის შემთხვევაში კი ამ პერიოდამდე კავკასია მთლიანად დამოკიდებული გახდება მასზე და არ ექნება მნიშვნელობა, მერე ის რეგიონს რუსულ გაზს მოანდის, ყაზახურს თუ თურქმენულს. "იმ შემთხვევაში, თუკი ერთობლივი სანარმო შეიქმნა, შაჰდენისის პროექტის მთელი სიკეთე "გაზპრომთან" გაიყოფა და აზერბაიჯანული, ირანული და თურქმენული გაზის დილერი ის თავად გახდება," - მიიჩნევს ექსპერტი.

## დარეგულირდება თუ არა გაზის ფასი?

თანაბარი კონკურენციის პირობებში, რასაკვირველია, ეს შესაძლებელი იქნება. როგორც ექსპერტები იმედოვნებენ, "იტერასა" და "გაზპრომის" ერთობლივი ყოფნა საქართველოს გაზის ბაზარზე ამ საკითხს ქვეყნის სასარგებლოდ მოატრიალებს. თუმცა, ნაკლებსაგარაუდოა, ეს ასე მოხდეს და "იტერასა" და "გაზპრომს" შორის თანაბარი კონკურენტუნარიანი გარემო შეიქმნას. საქმე ისაა, რომ "იტერა" საქართველოს გაზს "გაზპრომის" მიღებით ანდის, მაგრამ "გაზპრომმა" უკვე გააფორმა თურქმენეთთან გრძელვადიანი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ფაქტობრივად, მთელი თურქმენული გაზის მარაგი წინასწარ



2002 წლის დეკემბერი. იგორ მაკაროვის კომპანია "იტერა" საქართველოში გაზის ექსპლუატიური მიმწოდებელია



შეისყიდა. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ "იტერას" პრეზიდენტს იგორ მაკაროვს, რომლის თურქმენეთში ხანგრძლივი მოღვაწეობა და ამ ქვეყნის მაღალ ეშელონებთან არსებული მჭიდრო კავშირები საყოველთაოდ ცნობილია, თურქმენეთი გაზს "გაზპრომთან" (44 დოლარი) შედარებით უფრო იაფად (36 დოლარი) აწვდის, "იტერას" ხელშეკრულებას, "გაზპრომის" სურვილის შემთხვევაში, გაუქმება ელის. ბუნებრივია, ამ პირობებში "იტერასა" და "გაზპრომს" შორის ვითომდა მოსალოდნელ კონკურენციაზე საუბარი ზედმეტია.

რაც შეეხება თავად "გაზპრომის" მიერ შემოთავაზებულ ფასებს, ვითარება არც ამ მხრივ არის დიდად საიმედო. საქმე ისაა, რომ "გაზპრომის" მიერ დსთ-ს ქვეყნებისათვის მიწოდებული გაზის საფასური ყოველთვის არ ექვემდებარება კომერციულ ლოგიკას. სხვათა შორის, "გაზპრომი" ამ საკითხში გავლენას ახდენს სხვა მიმწოდებლებზეც, რომლებიც მისი მიღებით სარგებლობენ. შესაბამისად, მთელ დსთ-ს სივრცეში, ფასებს, ფაქტობრივად, "გაზპრომი" აწვდის. ვითარება კი შემდეგია: ბელორუსია, რომელიც თურქმენეთისგან უკრაინაზე უფრო შორსაა, იხდის იმის ნახევარს, რასაც უკრაინა. საქართველო კი, რომელიც ამ ორივეზე ახლოა თურქმენეთთან, ორივეზე გაცილებით ძვირს.

ამდენად, "გაზპრომის" მიერ შემოთავაზებული გაზის საფასური "იტერას" ტარიფზე იაფი ვერ იქნება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოსახლეობის გადახდისუნარიანობა საქართველოში ძალიან დაბალია, "გაზპრომისათვის" გადასახდელი თანხის გასტუმრების შემდეგ, ქვეყნისშიდა ქსელების რეაბილიტაციისთვის ფინანსები აღარ დარჩება. იმ შემთხვევაში, თუკი "გაზპრომი" ქართულ მხარესთან ერთობლივ კომპანიას ჩამოაყალიბებს, ამ "მონარჩენი" თანხებით საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციას თავადვე განახორციელებს. სავარაუდოა, რომ ქსელების რეაბილიტაცია უახლოეს მომავალში სწორედ იმ საბაზად იქცევა, რომელიც ხელისუფლებას გაზის სამომხმარებლო ტარიფის ზრდისთვის გასამართლებელ საბუთად გამოადგება. ასე რომ, "გაზპრომის" მიერ ხელისუფლებისათვის აღთქმული "იაფი გაზი" მხოლოდ სიმბოლური შემოთავაზებაა.

**ეკონომიკური პროფილის პოლიტიკური გადანყვეტილება**

ზოგიერთი ქართველი ექსპერტი მიიჩნევს, რომ თუკი 100-იანი კერძო კომპანია "იტერას" საქმიანობა საქართველოში ხშირად პოლიტიკურ მოტივებს უკავშირდებოდა, მაშინ გაცილებით რთული იქნება "გაზპრომთან" ურთიერთობა, რომელიც 38 პროცენტით სახელმწიფო სტრუქტურაა. ბუნებრივია, ეს სახელისუფლებო წრეებში ყველასათვის კარგად არის ცნობილი.



2003 წლის მაისი. ალექსეი მილერმა საქართველოში "იტერას" უაღრესად მნიშვნელოვან ნერტილი უნდა დაუსვას

ამდენად, უკვე კარგად ჩანს, რომ "გაზპრომის" შემოყვანა არა კომერციული, არამედ პოლიტიკური ნაბიჯია. სხვათა შორის, ამას მოწმობს "რაო ეეს როსსიი"-ს მხრიდან საქართველოს მაღალი ძაბვის ელექტროქსელების გენერაციის ობიექტების მიმართ გამოჩენილი მზარდი დაინტერესებაც. კულუარული ინფორმაციით კი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია "ეი-ი-ეს კორპორაციის" მიერ "თელასის" აქციების ნაწილის "რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემისათვის" გადაცემაც.

აქვე უნდა გავიხსენოთ, თუ როგორ იყენებს ხოლმე რუსული მხარე გაზის ან ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტას საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლის ინსტრუმენტად. უმეტეს შემთხვევაში, ეს ზეწოლა - ქვეყნის სუვერენიტეტთან, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას აჩქარებს ხოლმე.

ამ პოლიტიკის შედეგად კი საქართველო, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ მოექცევა რუსეთის გავლენის სფეროში.

**დასავლეთის რეაქცია**

ბუნებრივია, ეს ცვლილება დაუყოვნებელი გამოხმაურების გარეშე არ დარჩენილა. პირველი რეაქცია უკვე დაფიქსირდა ამერიკის ელჩის რიჩარდ მაილსის მხრიდან.

ალექსეი მილერის საქართველოში ვიზიტისა და "გაზპრომთან" დაკავშირებით სახელისუფლებო წრეების უახლოესი განზრახვის გახმაურებისთანავე, მაილსი სახელმწიფო მინისტრს ეწვია და საქართველოში

დაგეგმილი ყველა ენერგეტიკული პროექტის შესახებ დანერგვითი ინფორმაციის მიწოდება მოსთხოვა.

**"ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მნიშვნელოვანია, რომ რუსული კომპანიების გამოჩენის გამო, შაჰდენიზის პროექტის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა არ შესუსტდეს. ამიტომ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა საქართველოს ხელისუფლების ყველა ენერგეტიკულ ინიციატივას სწორედ შაჰდენიზის პროექტის ინტერესებიდან გამომდინარე აფასებს,"** - განაცხადა ამერიკის სრულუფლებიანმა ელჩმა ავთანდილ ჯორბენაძესთან შეხვედრის შემდეგ.

თუმცა, როგორც ირკვევა, საქართველოს მხრიდან "გაზპრომთან" პარტნიორული თანამშრომლობა ამერიკის მთავრობას არ აბეზრებს. **"ამერიკის შეერთებული შტატები არ ენინააღმდეგება საქართველოს ხელისუფლების თანამშრომლობას რუსულ "გაზპრომთან", მაგრამ ეს თანამშრომლობა ნეგატიურად არ უნდა აისახოს შაჰდენიზის პროექტის განხორციელებაზე,"** - აკონკრეტებს მაილსი.

მის მიერ დაფიქსირებული პოზიციიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დასავლეთს კარგად ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის რუსეთის გაზის მოწოდების საკითხში, მაგრამ რუსულ კომპანიებთან საქართველოს გრძელვადიან ურთიერთობას არ იწონებს.

ამის გამო, მთავრობაში ვარაუდობენ, რომ საქართველოს ხელისუფლების "გაზპრომისაკენ" შებრუნებას დასავლეთისგ-

ან მძაფრი რეაქცია მაინც არ უნდა მოჰყვეს.

**პოლიტიკური გარიგების მოსალოდნელი შედეგები**

და ბოლოს: რა შედეგებს მოიტანს ხელისუფლების პოლიტიკური გარიგება რუსეთის ოფიციალურად?

უპირველეს ყოვლისა, დადებითს თავად მთავრობისათვის. "გაზპრომთან" მიღწეული შეთანხმების თანახმად, საქართველოს არჩევნებამდე გაზის მოწოდება გარანტირებული იქნება. თანაც, ყოველი თვის თხუთმეტ რიცხვში ფინანსთა სამინისტროს გაზის საყიდლად დამატებითი თანხები არ ექნება მოსაძიებელი. ამდენად, მოსახლეობის ვნებათაღელვა არჩევნების წინა პერიოდში ჩანსწარდება. მთავრობას მოპოვებული ექნება რუსეთის იმ წრეების კეთილგანწყობაც, ვისი გავლენაც "გაზპრომსა" და "რაო ეეს როსსიიზე" ვრცელდება. ეს კი, წინასწარჩვენოდ ხელისუფლებას, რომელმაც ჩრდილოელი მეზობელი დასავლეთთან დამთბარი ურთიერთობებით გააღიზიანა, მნიშვნელოვან დივიდენდებს მოუტანს.

რაც შეეხება მოსახლეობას, გარიგების შედეგები, პირველ ეტაპზე, საგრძნობი არ იქნება. თუმცა, თუ "გაზპრომი" გაზის ბაზარზე მკვიდრად დაფუძნდა, ბუნებრივია, ის თავისი პირობების კარნახს დაიწყებს, რაც, შესაბამისად, გაზის ტარიფზეც იმოქმედებს. არ არის გამორიცხული, მან საქართველოში სოციალური მომსახურების სფეროს გაფართოებაშიც მოსინჯოს ნიადაგი.

იქნება თუ არა გარიგების შედეგები ქვეყნისთვის უარყოფითი ეკონომიკური თვალსაზრისით, ამას მოლაპარაკებების პროცესში ქართული მხარის მიერ გამოჩენილი "მარიფათი" განსაზღვრავს. თუმცა, ძნელი სავარაუდოა, ოფიციალურმა თბილისმა ულტიმატუმების ენით მოახერხოს გაზის მსოფლიო გიგანტთან საუბარი. მით უმეტეს, რომ "გაზპრომის" მზარდ გავლენას თავად ევროკავშირის წევრი ქვეყნებიც კი უფროსიან და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ენერგომატარებლების მოწოდება "გაზპრომისაგან" დამოუკიდებელი გზებით უზრუნველყონ.

ამდენად, წინასწარ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ბაზარზე "გაზპრომი" დაახლოებით იმავე სცენარით შემოვა, როგორც თავის დროზე სომხეთში - რუსეთის კავკასიურ პლაცდარმზე შევიდა: იქ მან იტერას "არმროსგაზპრომი" 10-პროცენტითანი ნილი დაუკანონა და გაზის მთავარ მომწოდებლად დატოვა, მაგრამ შეპირებული ინვესტიცია არ განუხორციელებია (მიუხედავად საქართველოს მთავრობის ხმამაღალი განცხადებებისა, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენებიც მუშა მდგომარეობაშია და ძნელი დასაჯერებელია, რომ 250 მილიონ დოლარიან ინვესტიციას საჭიროებდეს).

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ წინასწარჩვენოდ დივიდენდების მოპოვების მიზნით აშკარად არასასურველი ნაბიჯი გადადგა და საქართველოს დასავლეთის ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისთვის აუცილებელი წინაპირობა საფრთხის წინაშე დააყენა.



# პარიასიები ეროვნული მემკვიდრის განვითარების პოლიტიკონომიკურ თემებზე

"გამოცდილი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი ერთს ფიქრობს, მეორეს ამბობს და მესამეს აკეთებს"

უინსტონ ჩერჩილი

ლევან ძნელაძე

აკონომიკური მენეჯერის  
ანდრეასი, თსუ-ის დოცენტი

ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მაშინ როდესაც საზოგადოებაში წინასწარჩვენი პოლიტიკური აქტივობა პიკს აღწევს, პარტიათა და პოლიტიკურ მიმდინარეობათა დებატებში ეკონომიკური და სოციალური თემატიკა პრივალირებს. ჯანსაღი პოლიტიკური კონკურენციის პირობებში, ამასთანავე დემოკრატიის უგულვებელყოფით, ეროვნული მემკვიდრის განვითარების პერსპექტივებისათვის, ეს ბუნებრივი პროცესი უაღრესად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი. სწორედ წინასწარჩვენი ფორმატში მოქცეულ პოლიტიკოსთა აზრთა ჭიდილში ყალიბდება კიდევ ის სცენარი, რომლის მიხედვითაც ჩვენი (საზოგადოების, ელექტორატის) არჩევანითა და მხარდაჭერით უნდა განვითარდეს უახლოესი მომავლის ეკონომიკური გარემო.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ნესით შექმნილ ეკონომიკურ კონსტრუქციაში ფუნდამენტური ელემენტები - საზოგადოებრივი თანაცხოვრების დემოკრატიული პრინციპები, დასავლეთზე ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკური მოდელი, მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ღირსეული ინტეგრაციის მაღალი ხარისხი და სხვა, აქსიომატურ ხასიათის ატარებს და ისინი ჩვენში კარგახანია დეკლარირებულია.

ეკონომიკური გარემო კი, რომელშიც, მეტ-ნაკლები აქტივობით, მოქცეულია საზოგადოების თითოეული წევრი, განისაზღვრება იმით, თუ როგორ ხორციელდება ხელისუფლების მიერ ეროვნული ეკონომიკის მართვა. თქვენი მონამორჩილის ამოცანაა წარმოგიჩინოთ ის ტენდენციები, რომლებიც ჩემს მიერ იქნა გააზრებული და შეფასებული.

უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა ეროვნულ მემკვიდრეობაში სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს ფორმირებას უკავშირდება. ეს უკანასკნელი სისხლხორციელდა და დამოკიდებული იმაზე, თუ რა ხერხებითა და მეთოდებით ახერხებს მთავრობა, მიაღწიოს ეკონომიკური პოლიტიკის ოთხ უმნიშვნელოვანეს მიზანს:

დასაქმების მაქსიმალურ უზრუნველყოფას; სტაბილურ ფასებს სამომხმარებლო ბაზარზე და თავისუფალი ფასწარმოქმნის მექანიზმის ფუნქციონირებას;

ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას; საგადასახდელო ბალანსის ნონასწორობასა და შესაბამისად ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობას.

თუ ჩავუფიქრებთ ეკონომიკის თეორიული საფუძვლებით განსაზღვრულ და ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების არსს, თვალწინ წარმოგვიდგება დღევანდელ საარჩევნო მარათონში და თუნდაც ახლო წარსულში ჩართული პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების ეკონომიკური ბლოკის მრავალფეროვანი ლოზუნგები. მაგალითისათვის მილიონი სამუშაო ადგილით დაწყებული, მილებითა და ათასწილი სატრანზიტო მაგისტრალის ქსელებით დამთავრებული მონოდებების გრძელი ნუსხის მოტანაც საკმარისია. და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან მსოფლიოს ყველა ნორმალურად (ცივილურად) განვითარებულ ქვეყანაში მმართველი ძალაუფლების მთავრობათა თავისტიკვილი და ყოველდღიური საზრუნავი სწორედ რომ პოლიტიკოსების მიერ აღებულ ვალდებულებათა განხორციელება გახლავთ.

ამრიგად, მათ, ვისაც არჩევნებში გამარჯვებისა სჯერა და ხელისუფლებაში მოსვლას აპირებს, ვფიქრობთ, რეკომენდირებულია იკისროს მხოლოდ ის ვალდებულებები და იმ ოდენობით, რომლებიც აღსრულების თვალსაზრისით რეალობასთან (ეკონომიკის, საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების საბაზისო დონის ობიექტურ განსაზღვრასთან) ახლოსაა, ამასთანავე, პროგრამულ ხასიათს ატარებს, სისტემურად და ვადაში განერილი მოქმედებათა გეგმის სახით არის წარმოდგენილი.

ის, რომ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების გავლენა პოლიტიკაზე წინასწარჩვენი პერიოდში უმაღლესი კონცენტრაციით ვლინდება, არახალია და მხოლოდ საქართველოს პოლიტიკონომიკური ცხოვრებისათვის როდი არის დამახასიათებელი. ვფიქრობთ, ცალკეულ ხელისუფალთა შეცდომა და პოლიტიკურ ახლომხედველობად შეიძლება ჩაითვალოს მათი თუნდაც გულწრფელი განცხადებანი და მოთხოვნებიც კი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრებისა და ეკონომიკური მოვლენების ურთიერთგამიჯვნის, ეკონომიკის პოლიტიზირების დაუშვებლობის შესახებ. საერთაშორისო და ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სწორედ ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა ხდება ელექტორატის სიმპატიების საგანი და განსაზღვრავს კიდევ არჩევნების შედეგებს. ეკონომიკა ხომ ის ბაზისია, რომელიც განსაზღვრავს კიდევ მისი ზედნაშენის - პო-



ლევან ძნელაძე

ლიტიკის ხასიათსა და პრიორიტეტებს საზოგადოებრივი ცხოვრების მიკრო თუ მაკრო დონეზე. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია ქვეყნის ბიუჯეტის კანონი, რომელსაც პოლიტიკურ ანტიურაჟს თუ მოვაცილებთ, იგი უმარტივეს საბუღალტრო ანგარიშგების დოკუმენტს - ბალანსს დაემსგავსება.

ამერიკელი ეკონომისტის რეი ფეიერის განმარტებით, არჩევნების შედეგებს ზუსტად ვინანსწარმეტყველებთ, თუ შევადგინებთ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციას. მაგალითისათვის, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და ცხოვრების დონის გაუმჯობესება განაპირობებს მმართველი პარტიის გამარჯვებას, ხოლო ფასების ზრდას, საზოგადოების მიმართ კონსტიტუციურ ვალდებულებებთან დაბალ ფინანსურ უზრუნველყოფას და შესაბამისად ცხოვრების დონის გაუარესებას მმართველი პოლიტიკური ძალის გამარჯვების შანსები მინიმუმამდე დაჰყავს (რა თქმა უნდა დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პირობებში). აშშ-ში არჩევნების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე ფეიერმა გამოიყვანა უნივერსალური გათვლა, რომლის მეშვეობითაც შესაძ-

ლებელია გაკეთდეს არჩევნების შედეგების ზუსტი პროგნოზი და რაც მნიშვნელოვანია, იგი ეფუძნება ეკონომიკური და სოციალური შინაარსის ინფორმაციულ მონაცემებს, კერძოდ:

რომელი პარტია იმყოფება ხელისუფლებაში მოცემულ მომენტში;

აპირებს თუ არა მოქმედი პრეზიდენტი იყაროს კენჭი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში;

როგორი იყო წინასწარჩვენო ექვსი-რვა თვის განმავლობაში მოსახლეობის შემოსავლების ზრდის (ან შემცირების) საერთო დონე;

რა დინამიკით ხასიათდებოდა წინასწარჩვენო ორი წლის განმავლობაში ფასების ზრდის (ან შემცირების) ტემპი.

ცნობისათვის, ფეიერის აღნიშნული მეთოდით 1917 წლიდან მოყოლებული 1996 წლის ჩათვლით პრეზიდენტის 21 არჩევნებიდან 18 ზუსტად იქნა განსაზღვრული. დანარჩენი სამი შემთხვევა კი ერთი და იგივე პერიოდს ეხება, კერძოდ კენედი-ნიკსონის 1960, ხემფრი-ნიქსონის 1968 და კარტერ-ფორდის 1976 წლების არჩევნების პერიოდებს. კიდევ ერთი ნიშანდობივი მომენტი ის გახლავთ, რომ ფეიერმა ზუსტად იწინასწარმეტყველა ბუშის (მამის) 1988

წლის არჩევნების შედეგები, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემებით იგი წინასწარჩვენო კამპანიის შედეგებით საკმაოდ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა თავის კონკურენტს.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სრულიად უსაფუძვლოა ცალკეულ ხელისუფალთა პრეტენზიები და მოჭარბებული ემოციები ეკონომიკის პოლიტიზირების შესახებ, ამ პროცესის სრულიად ობიექტურად მოსალოდნელ, მრავალფეროვან გამოვლინებებზე - მინიმალური ხელფასის, საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაციის, სატარიფო განაკვეთების შემცირების, "უფასო" სოციალური (განათლება, ჯანდაცვა, სოცურუნველყოფა) პაკეტების, სპეციალური ეკონომიკური ზონის და სხვა ინიციატივების სახით.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ერთის მხრივ ამგვარი მწვავე რეაგირება არსებული ხელისუფლების მხრიდან, ხოლო მეორეს მხრივ მისივე ქრონიკული უმოქმედობა ეკონომიკური მდგომარეობის ოდნავ მაინც გაუმჯობესების თვალსაზრისით, პოლიტიკურ ისტებლი-



# "იუკოს-სიბნეფტი" რუსული ბიზნისი მსოფლიოს სანავთობო ბაზარზე

ორი რუსული ნავთობკომპანიის – "იუკოსისა" და "სიბნეფტის" – გაერთიანებამ მთელ მსოფლიოში დიდი რეზონანსი გამოიწვია. ამ გარიგების შედეგად რუსეთში ყველაზე დიდი ნავთობკომპანია, ხოლო მსოფლიოში ნავთობის წარმოების მიხედვით მეოთხე კომპანია შეიქმნა. ახალი ნავთობგადამამუშავებელი საფუძვლად მსოფლიო სანავთობო ბაზარზე რუსეთის პოზიციების გამყარების სურვილის გარდა, შიდაპოლიტიკურ ასპარეზზე ოლიგარქების კავშირებიც ედო საფუძვლად.

## რეჟაზ ბახტაძე

გასულ თვეში რუსეთის სიდიდით მეორე ნავთობკომპანიის "იუკოსის" ხელმძღვანელმა მიხეილ ხოდორკოვსკიმ და რუსეთის სიდიდით მეხუთე ნავთობკომპანიის "სიბნეფტის" აღმასრულებელმა დირექტორმა ევგენი შვიდლერი რუსეთის ისტორიაში ყველაზე დიდი კორპორაციული გაერთიანების შესახებ ამცნეს საზოგადოებას.

**"უზარმაზარი სანარმოო და საფინანსო შესაძლებლობების მქონე ახალი ინდუსტრიული გიგანტი უფრო ეფექტიანი გახდება და კიდევ უფრო მიუზახლოვდება ჩვენს სტრატეგიული მიზანს - მსოფლიო ენერჯეტიკული ბაზრის ლიდერები გახდებით"**, - განაცხადა ხოდორკოვსკიმ, რომელიც გაერთიანებული კომპანიის ხელმძღვანელი იქნება, ხოლო შვიდლერი - დირექტორთა საბჭოს წევრი.

ხოდორკოვსკის თქმით, ორი ყველაზე სწრაფად მზარდი კომპანიის გაერთიანება იმის შესაძლებლობას შექმნის, რომ რუსეთში არსებული ყველაზე ძვირადღირებული და პერსპექტიული პროექტები განხორციელდეს, კერძოდ, აღმოსავლეთ ციმბირსა და კასპის ზღვის შეღებზე ახალი საბადოების ათვისება.

გაერთიანებული კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაცია 36 მილიარდი ამერიკული დოლარია. ახალ ნავთობკომპანია "იუკოსსიბნეფტ ოილს" ამერიკული "ექსონმობილის" შემდეგ მსოფლიოში ყველაზე დიდი ნავთობის რეზერვები აქვს - 19.4 მილიარდი ბარელი, ხოლო წარმოების მიხედვით მეოთხე ადგილზე დგას.

"როიტერის" ინფორმაციით, გაერთიანებული კომპანია ყოველდღიურად 2.3 მილიონ ბარელ ნავთობს აწარმოებს, რაც რუსეთის მთლიანი ნავთობის წარმოების 29 პროცენტია, რომელიც, თავის მხრივ, მსოფლიოში ნავთობის მეორე ექსპორტიორი სახელმწიფოა საუდის არაბეთის შემდეგ. გაერთიანებამდე რუსეთში მოპოვებული ნავთობის ყოველი მეხუთე ბარელი "იუკოსზე" მოდიოდა.

რუსეთში, ლიტვასა და ბელარუსში "იუკოსსიბნეფტ ოილი" 2500 ბენზინგასამართ სადგურსა და 10 ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას გააკონტროლებს. გაერთიანებული კომპანია თავის შესაძლებლობებით ფრანგულ "ტოტალფინანსსს" და ამერიკულ "შეფრონტექსაკოს" გაუტოლდება.

აღსანიშნავია, რომ ორივე კომპანია მიხეილ ხოდორკოვსკიმ და ბორის ბერეზოვსკიმ ელცინის დროს დანაწესებული პრივატიზაციის დროს ჯამში, სულ რაღაც, 259 მილიონ ამერიკულ დოლარად შეიძინეს.

მათ მიერ საბჭოური ყაიღის მმართველობაზე უარის თქმამ და კომპანიის დასავლელი მენეჯერების დახმარებით მართვამ "იუკოსი" და "სიბნეფტი" რუსეთის ყველაზე დინამიურ და სწრაფად მზარდ კორპორაციებად აქცია.

გაერთიანება ხოდორკოვსკისა და, სავარაუდოდ, მთავრობის გადაწყვეტილებამ დააჩქარა. არცერთს არ სურს, რომ რუსეთის ნავთობის რესურსების გაკონტროლების უფლება კიდევ ერთ უცხოურ გიგანტს გადასცენ. მიმდინარე წლის იანვარში "ბრიტიშ პეტროლიუმმა" რუსეთის ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანიის "ტიუმენ ოილს" მფლობელებს მათი აქციების სანაცვლოდ 6.75 მილიარდი დოლარი გადაუხადა და რუსეთის მსუყე საბადოების დამუშავების უფლებაც მოიპოვა.

"სიბნეფტის" ხელმძღვანელობამ კარგა ხნის წინ განაცხადა, რომ კომპანია იყიდებოდა და ანალიტიკოსთა უმრავლესობა ვარაუდობდა, რომ გარიგება "ტოტალფინანსსთან", "შელთან" ან "ექსონმობილთან" შედგებოდა. აღნიშნული კომპანიები "სიბნეფტის" შესყიდვით ყველაზე მეტად იყვნენ დაინტერესებულები. ყველასდა მოულოდნელად, მათ ხოდორკოვსკიმ აჯობა. ხელი-სუფლების დადებითი რეაქცია

კი ცხადყოფს, რომ მოსკოვი კომპანიის რუსების მფლობელობაში დატოვებას მიესალმა.

**"ახალი კომპანია რუსეთის ეკონომიკის ფლაგმანი გახდება"**, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მიხეილ კასიანოვმა გარიგების გამოცხადებისთანავე. **"უეჭველია, რომ კომპანიების გაერთიანება სახელმწიფოსა და კერძო მფლობელებს სარგებელს მოუტანს"**, - დასძინა მან, - **"ეს საერთაშორისო ბაზრებზე ახალი პოზიციების მოპოვებას ნიშნავს"**.

**"ეს გაერთიანება იმას ნიშნავს, რომ მომავალში უცხოურ კომპანიებთან ნებისმიერი გარიგება თანასწორთა ურთიერთობა იქნება"**, - განაცხადა ერთ-ერთმა უცხოელმა ბანკირმა.

**"გაერთიანებას თავდაცვით ნაბიჯად განვიხილავ"**, - აღნიშნა "ტროიკა დიალოგის" ანალიტიკოსმა ჯეიმს ფენკენერმა გარიგების შესახებ საუბრისას. მისი აზრით, ხოდორკოვსკიმ ძალ-ღონე არ დაიშურა, რათა "სიბნეფტის" რეზერვები ხელში ჩაეგდო, რომელსაც, სავარაუდოდ, რომელიმე დასავლური ტრანსნაციონალური კორპორაცია დაეუფლებოდა.

"იუნაიტედ ფაინენშლ გრუპის" ანალიტიკოსის სტივენ ო'სულივანის თქმით, აღნიშნული გაერთიანება ხოდორკოვსკისა და რომან აბრამოვიჩის ("სიბნეფტის" ყველაზე მსხვილი აქციონერი და ჩუკოტკის გუბერნატორი) გონივრული სვლაა, რათა პოლიტიკურად თავი დაიზღვიონ, მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების წინ რომელიც 2004 წლის მარ-

ტში გაიმართება. **"იუკოსი" გარკვეული თვალსაზრისით ხელშეუხებელი გახდება**, - აღნიშნა სტივენ ო'სულივანმა. **"გაერთიანების შემდეგ, "იუკოსი" მსოფლიოში რუსეთის ძალიან გავლენიანი მოთამაშე იქნება. ასე რომ, მთავრობას ყველა შემთხვევაში მხარს დაუჭერს და არ შეავინროვებს"**.

გაერთიანების მომხრეთა აზრით, ახალ კომპანიას იმდენი გავლენა ექნება, რომ მთავრობის პოლიტიკას თავის სასარგებლოდ შემოატრიალებს და შედავითიან უცხოურ კრედიტებსაც იოლად აიღებს, რათა კომპანიის გაფართოებისათვის აუცილებელი პროექტების დასრულება შეძლოს. აქ, პირველყოვლისა, ნავთობის ტრანსპორტირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განვითარება იგულისხმება. შეზღუდული სიმძლავრის მოძველებული მილსადენები რუსული ნავთობის ექსპორტის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია.

ნავთობის ანალიტიკოსთა უმრავლესობის აზრით, "იუკოსსიბნეფტი" საერთაშორისო ექსპანსიას დაიწყებს და ახალ ბაზრებს მალე აითვისებს. ამ თვალსაზრისით, ყველაზე პერსპექტიული ჩინეთის სტაბილურად მზარდი ბაზარია. სწორედ ჩინეთის "დასაპყრობად" სჭირდება ყველაზე მეტად ხოდორკოვსკის "სიბნეფტი", რომელსაც აღმოსავლეთ ციმბირში უზარმაზარი აუთვისებელი საბადოები ეკუთვნის.

"იუკოსი" დიდი ხანია, რაც

გაზარძილება D5 გვარდუა



მიხეილ ხოდორკოვსკი და ევგენი შვიდლერი

REUTERS



# "იუკოს-სიბნეფტი" რუსული ბიზნესი მსოფლიოს სანავთობო ბაზარზე

D5 გვარდიანა

რუსეთისა და ჩინეთის მთავრობებთან მოლაპარაკებებს ანარმობდა, რათა ნავთობსადენი ანგარსკიდან ჩინეთის ქალაქ დაცინამდე აშენდეს. "იუკოსის" ინფორმაციით, რუსეთის მთავრობამ 2400 კილომეტრიანი მილსადენის გაყვანაზე თანხმობა უკვე განაცხადა, რომლის მშენებლობაც, ბრიტანული "ფაინენმლ თაიმსის" ცნობით, 1.7 მილიარდი ამერიკული დოლარი დაჯდება. ამ ნავთობსადენით 2005 წლისთვის ჩინეთში 20 მილიონი ტონა ნავთობი გადაიქაჩება ყოველწლიურად, ხოლო 2010 წლისათვის ეს მაჩვენებელი 30 მილიონ ტონას მიაღწევს. კომპანიის მესვეურთა განცხადებით, მშენებლობა 2003 წლის ბოლოს დაიწყება.

ზოგიერთებმა ორი კომპანიის გაერთიანებაში ნავთობის ფასების დაცემის წინ ხოდორკოვსკის კარგად გათვლილი

ნაბიჯი დაინახეს. უზარმაზარი რეზერვების მქონე გაერთიანებული კომპანია ნავთობის პროგნოზირებად დაბალ ფასებს გაცილებით იოლად გადაიტანს. რუსმა პოლიტოლოგებმა კი მთავარი აქცენტი ხოდორკოვსკის პოლიტიკურ ამბიციებზე გააკეთეს. "იუკოსის" შეფი არ მალავს, რომ 2008 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი აქვს.

თუმცა, ყველა ექსპერტი თანხმდება ორ საკითხზე: პირველი, "იუკოსისიბნეფტი" საერთაშორისო ურთიერთობებში რუსეთის ინტერესების გატარების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება იქნება და მეორე, საერთაშორისო ბაზარზე სერიოზული თამაშის მოსურნე ხოდორკოვსკი და კომპანია რუსეთის პოლიტიკას უფრო რაციონალურსა და დასავლეთზე ორიენტირებულს გახდიან.



რუსეთის ნავთობინდუსტრიას ახალი ლიდერი ჰყავს

## პარიასიები ეროვნული მაურნაობის განვითარების პოლიტიკონომიკურ თემაზე

D4 გვარდიანა

შემენტს აძლევს შესანიშნავ შანსს, მოიპოვოს განმსაზღვრელი უპირატესობა წინასაარჩევნო კამპანიაში. საქმე ისაა, რომ ყოველი ამგვარი "პოლიტიზირებული" ეკონომიკური ინიციატივის, როგორც ამბობენ ხოლმე "ცალსახად" უარყოფისას, მომენტალურად არ აყოვნებს ასევე ხელისუფლებისათვის გამოაგნებელი ერთი და იგივე შეკითხვა - "კარგი ბატონო, ჩვენს წინადადებას არ იღებ, მაგრამ ამ მიმართებით რას სთავაზობ მოსახლეობას სანაცვლოდ?" პასუხი ამ შეკითხვაზე მთავრობის მხრიდან მხოლოდ ეკონომიკის პოლიტიზირების მავნე პრაქტიკის შესახებ შეგონებებით და ჭკუის სწავლებით, ზოგჯერ კი ისტერიამდე მისული ბიზნეს-კლანების, ბიზნეს-გავლენის სფეროების და ა.შ. ჩემთვის ჯერჯერობით გაურკვეველი თეორიული ნიაღვრებით მთავრდება.

ისე კი, რადგან სიტყვამ მოიტანა, არც ბიზნეს-კლანების, ბიზნეს-გავლენის სფეროების, ფინანსური ოლიგარქიების ჩამოყალიბება და არსებობა გახლავთ საქართველოს ეროვნული მონაპოვარი. ამასთან ერთად, ვფიქრობ, არც ისე ცუდი უნდა იყოს ასეთი წარმონაქმნების არსებობა ამა თუ იმ ქვეყანაში, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ საქმიანობას ჰარმონიულად დაარეგულირებს ხელისუფლება და უპირატესად საზოგადოების საკეთილდღეოდ გამოიყენებს მათ შესაძლებლობებს. მხოლოდ ერთ მოკრძალებულ მაგალითს შეგახსენებთ, რომ ამასწინათ აშშ-ის მოქმედმა პრეზიდენტმა ამ-

ცნო რა საზოგადოებას საპრეზიდენტო არჩევნებში მისი კანდიდატურის ხელმეორედ წამოყენების შესახებ, მილიონი მონვევა დაუგზავნა ამერიკელ ოლიგარქებს, ბიზნეს-კლანების წარმომადგენლებს მისი საარჩევნო კამპანიის მხარდასაჭერად (ალბათ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს უპირატესად რა სახის მხარდაჭერა იგულისხმება ამ მიმართებაში).

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამგვარი ქვესისტემების ჩამოყალიბება ეროვნულ მეურნეობაში მხოლოდ და მხოლოდ უმაღლეს ხელისუფალთან მიერ ხელშეწყობილი ეკონომიკური პოლიტიკის ნაყოფია (კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს და საქართველოს მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ მსოფლიო პრაქტიკაში ეს ჩვეულებრივი და პოზიტიური მოვლენაა) და ის რომ მათზე (მსხვილ ბიზნესზე) გავლენა დღესდღეობით ისევ და ისევ მთავრობისავე უსუსური და არათანმიდევრული, ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაპირისპირო მოქმედებების შედეგად დაიკარგა. ე.წ. ძალისმიერი მეთოდებით, ულტიმატუმებით, ემოციური შეფასებებით, ათასგვარი დამუქრებებით ამ გავლენის აღდგენის მცდელობა უშედეგოდ დამთავრდება და ვფიქრობთ, სამომავლოდ ისევ და ისევ საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობას დააზარალებს.

ამასთან ერთად, ცოტა არ იყოს ალოგიკურად მეჩვენება, როდესაც მავანი და მავანი ერთის მხრივ "ანტისახელმწიფოებრივად" მონათლულ ბიზნეს-გარემოს აქტივებს, ოლიგარქებს ემუქრება, ხოლო მეორეს მხრივ საკუთარ პოლიტიკურ

დასაყრდენს ანალოგიური ოლიგარქიული (ისევ და ისევ ამ ტერმინს პოზიტიური ნიშნით ვიყენებ) პრინციპებით აყალიბებს. ვეჭვობ, რომ ამგვარი ტენდენციები თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ ეკონომიკაში პროვინციალიზმის ნიშნით წარმოიქმნება და გავლენის სფეროების ე.წ. "ჯუნგლის კანონებით" გადასწავლას გამოიწვევს, მოსახლეობაში კი საზოგადოების შეძლებული ფენის მიმართ უარყოფითი განწყობის და საყოველთაო სიძულვილის მუხტს გააღვივებს. მოვლენების თუ როგორ განვითარებასთან გვექნება საქმე, ამას დიდი მარჩიელობა არ უნდა - საკმარისია ისტორიიდან მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულში განვითარებული დრამატული მოვლენების რამოდენიმე რეგოლუციური ლოზუნგი გავიხსენოთ.

მათთვის, კი ვისაც ოლიგარქიებში, მსხვილ ფინანსურ წარმონაქმნებში, ბიზნეს-გავლენის სფეროებში კორუფციის, უკანონოდ მოპოვებული აქტივების არსებობა აძლევს პოლიტიკური განცხადებების საბაზს, მეგობრულად და მოკრძალებულად მსურს გავუზიარო რამოდენიმე შეხედულება:

ა) სამწუხაროდ ჩვენს ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკა, კორუფცია, უკანონო შემოსავლებით მოპოვებული გავლენის სფეროები და სხვა ამდაგვარი ნეგატივები "ცალმხრივი სიყვარულის" ნაყოფი არ უნდა იყოს და არც ფრაგმენტულ ხასიათს უნდა ატარებდეს. ვფიქრობ, არსებული სახელმწიფოებრივი მანქანა არათუ ამცირებს მის მასშტაბებს, არამედ მისი მოქმედებების უსუსურობით, ზოგჯერ კი შეგნებული მოქმედებ-

ბითაც სასათბურე პირობებს უქმნის და სისტემურ ხასიათს აძლევს მათ, ხოლო მხოლოდ პოლიტიკურ დეკლარაციებს და მონოდეტებს ამგვარი ტენდენციების "იმუნური სისტემის" გაძლიერება მოაქვს შედეგად;

ბ) ეკონომიკის გაჯანსაღების რეალურ საშუალებად მრავალმხრივი პრევენციული ღონისძიებების გეგმაზომიერი, მიზანმიმართული, შეუქცევადი, ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესი გვესახება. საბედნიეროდ, ხელისუფლებას, პოლიტიკური ნების შემთხვევაში, ცარიელი ადგილიდან არ მოუწევს ამ საქმის დაწყება, საჭიროა მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის (ორგანიზაციების) წინაშე აღებული პროგრამული ვალდებულებების, ამ მიმართებით უკვე შექმნილი და აღიარებული სახელმწიფოებრივი პროგრამების პერმანენტული და სრულყოფილი რეალიზაცია. მოქმედებების იმიტაცია, საქმის ნახევრად კეთება, ეკონომიკური ტენდენციების შელამაზება ფუჭად დაკარგულ დროსა და ენერჯის ნიშნავს და ამასთან ერთად საზოგადოებრივი ნიჰილიზმის გაღრმავების ტოლფასია;

გ) თუ ეკონომიკის თეორიულ საფუძვლებს დავესხვებით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში კაპიტალის პირველადი დაგროვების პროცესი შედგა და იგი დასკვნით ფაზაში შედის. საზოგადოებრივი თვალსაზრისით თუ რამდენად ობიექტურად წარმართა ეს პროცესი, იგი ცალკე განსჯის საგანია და აქ ამაზე აღარ შევჩერდები. აღნიშნული შემდგომი ფაზა კი დანაზოგების და დაგროვილი კაპიტალის მეორადი განთავსე-

ბის პროცესი გახლავთ. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ დღეს მთავრობისათვის უპირველესი ამოცანაა საქართველოში ჩამოყალიბოს ისეთი სტაბილური ეკონომიკური სივრცე და გარემო, რომელიც მოიზიდავს ამავე რესურსს, რასაც შესაბამისად აუცილებლად მოყვება უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და განთავსებაც. სხვა დანარჩენ შემთხვევაში სავარაუდოა, რომ საქართველოში დაგროვილი კაპიტალი სამუდამოდ გაედინოს სხვა ქვეყნებში და იქ მოიძიოს განთავსებისა და დაბანდების ხელსაყრელი პირობები. ამიტომ ულტიმატუმებთან, მუქარასთან, წარსულის ცოდვების შესხენებებთან ერთად უფრო მეტად ახლო მომავალზე უნდა ვიფიქროთ, ამასთან ერთად, ამ თემაზე ნაკლები ვილაპარაკოთ და მეტი ვაკეთოთ;

დ) და ბოლოს, ჩვენი მოსაზრებით, აუცილებლად აღსანიშნავი, მიღწეულ წარმატებებთან ერთად კორუფციის, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბი იმდენად დიდი და სისტემურია, რომ მან სერიოზული ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებრივ ფასეულობათა დეგრადაციაზე. წარსულის ცოდვების პერმანენტული წამოძახებისას ყველას, "დიდსა" თუ "პატარას" უნდა გვახსოვდეს, რომ შექმნილ არასახარბიელო ვითარებაში "წვლილი" ყველას მიგვიძღვის. ამასთანავე, კარგად დავფიქრდეთ და მივხვდებით, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს დიდი და პატარა ცოდვა, ხოლო ამგვარად "ძლიერი ორგანიზატორებისათვის" იმიჯის დამკვიდრება "მონანიებისა" და "თვითგანმნების" არაფრის მომცემი მეთოდი, ცრუ საშუალებაა...



# დაბატიანი ანტიმონოპოლიური ორბანოს დამოუკიდებლობის შესახებ

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბაზრის მონაწილენი თავისთავად არ არიან დაკულნი საბაზრო ძალების ანტიკონკურენტული ქმედებებისაგან. ანტიმონოპოლიურ რეგულირებას, კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვას ქვეყნების უმრავლესობაში ახორციელებენ სხვა სახელმწიფო უწყებებისაგან დამოუკიდებელი მაკონტროლებელი მარეგულირებელი ორგანოები კომისიების, სააგენტოების, ბიუროების, უფრო იშვიათად კი ამა თუ იმ ეკონომიკური პროფილის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ან საქვეყნო სტრუქტურების სახით. თანმიმდევრული ანტიმონოპოლიური პოლიტიკა საბაზრო რეფორმების განუყოფელ ნაწილად და წარმატების აუცილებელ პირობად აღიქმება. შესაბამისად, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ანტიმონოპოლიური რეგულირების, კონკურენტული პოლიტიკისა და მომხმარებელთა დაცვის სამართლებრივი ბაზის განვითარება და შესაბამისი ორგანოების სტატუსისა და უწყებრივი დამოუკიდებლობა განისაზღვრება.

**ქეთევან ლაფაჩი**  
ეკონომიკური მსახიობი  
კანონმდებელი

კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის განმარტებული ორგანოების დამოუკიდებლობის სასარგებლოდ მიუთითებენ ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და მომხმარებელთა დაცვის თეორიული ნიშნდებები და საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, ისევე როგორც შესაბამისი კანონების გამოყენების სფეროები და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში (მათ შორის პოსტ სოციალისტური ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების უმრავლესობაში) აპრობირებული ინსტიტუციონალური მოწყობის მიდელები. დღეისათვის ყოფილი სსრკ ქვეყნების უმრავლესობაში მოღვაწეობს, აზერბაიჯანისა და ბელარუსის გარდა შექმნილია და ფუნქციონირებენ უწყებრივად დამოუკიდებელი ანტიმონოპოლიური ორგანოები განსხვავებული სახელებით, თუმცა მსგავსი ფუნქციებით. მაგალითად, რუსეთში – ანტიმონოპოლიური პოლიტიკისა და მენარმეობის მხარდაჭერის სამინისტრო, უკრაინაში ანტიმონოპოლიური კომიტეტი, უზბეკეთში დემონოპოლიზაციისა და კონკურენციის განვითარების სახელმწიფო კომიტეტი, ესტონეთში – კონკურენციის სააგენტო, ლიტვანია და ლატვიაში – კონკურენციის საბჭო, ყაზახეთში ბუნებრივი მონოპოლიების, კონკურენციის დაცვისა და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სააგენტო, ყირგიზეთში – ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სახელმწიფო კომიტეტი, სომხეთში – ეკონომიკური კონკურენციის დაცვის სახელმწიფო კომისია, აზერბაიჯანში ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის დეპარტამენტი, ბელორუსიაში – მენარმეობისა და ინვესტიციების სამინისტრო, მოლდავეთში – ეკონომიკისა და რეფორმების სამინისტრო, საქართველოში – ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური (რომელიც 1997-2000 წლებში წარმოადგენდა კანონით შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიული პირს, 2001 წლიდან გარდაიქმნა საქვეყნო დაწესებულებად, ამჟამად არის მცდელობა სამინისტროს მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაქმნისა). როგორც ვხედავთ ანტიმონოპოლიური ორგანო ყოფილი სსრკ ქვეყნებიდან მხოლოდ ოთხ ქვეყანაშია ასოცირებული ეკონომიკის სამინისტროსთან, ამასთან თუ სხვა ქვეყნებში

სამინისტრო ზოგადი პროფილისა, საქართველოში მას დარგობრივი ფუნქციებიც გააჩნია და შესაბამისად შეუთავსებლობა უფრო აშკარაა. იგივე შეიძლება ითქვას პოსტსოციალისტურ ევროპაზეც, სადაც ყველა ქვეყანაში, გარდა სლოვენისა და მაკედონიისა, ფუნქციონირებენ უწყებრივად დამოუკიდებელი ორგანოები, კერძოდ: სლოვაკეთში – ანტიმონოპოლიური ოფისი, პოლონეთში – კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისი, უნგრეთში – ეკონომიკური კონკურენციის ოფისი, ბულგარეთში – კონკურენციის დაცვის კომისია, რუმინეთში – კონკურენციის საბჭო, ჩეხეთში – კონკურენციის დაცვის ოფისი და სხვა.

საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვასა და ანტიმონოპოლიური რეგულირებას ფაქტობრივად საფუძველი ჩაეყარა "მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ" სახელმწიფო საბჭოს დეკრეტის მიღებით. თუმცა მანამდეც არსებობდა კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სამართლებრივი ნორმები ცალკეული დებულებების სახით. განვიხილო ათწლეულში გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ბაზის სრულყოფის მიმართულებით, თუმცა ვერ მოხერხდა ანტიმონოპოლიური ორგანოსათვის უფლებამოსილებებისა და ფუნქციონალური დატვირთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭება. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური აკმაყოფილებს საქართველოს კანონით "აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" განსაზღვრულ დამოუკიდებელი სამთავრობო დაწესებულების ყველა კრიტერიუმს.

დაინტერესებულ მკითხველს შეეახსენებთ ანტიმონოპოლიური სამსახურისა და მისი საქმიანობის სამართლებრივი ბაზის განვითარების ძირითად ეტაპებს: 1992 წელს თებერვალში ეკონომიკის სამინისტროში შეიქმნა ანტიმონოპოლიური რეგულირების, მომხმარებელთა დაცვის, მენარმეობის მხარდაჭერის სამმართველო, რომელიც 1995 წელს დაემატა არაკეთილსინდისიერი რეკლამის კონტროლის ფუნქციისა და გადაკეთდა ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარ სამმართველოდ; 1996 წლის დეკემბერში, ეკონომიკის სამინისტროს რეორგანიზაციის პროცესში, სამმართველო გადაკეთდა ეკონომიკის სამინისტროს ანტიმონოპოლიური სამსახურად.

სამსახურის ქმედუნარიანობის ამაღლების მიზნით შეტანილ



ქეთევან ლაფაჩი

იქნა ცვლილებები და დამატებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონში, აღმასრულებელი ხელისუფლების წესისა და სტრუქტურის შესახებ კანონში და სხვა სამართლებრივ აქტებში.

შედეგად შეიქმნა მაკონტროლებელი მარეგულირებელი სტრუქტურა, რომელსაც სამი კანონით აქვს დაკისრებული სახელმწიფო კონტროლის განხორციელება ანტიმონოპოლიური რეგულირების, მომხმარებელთა დაცვისა და რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დაცვაზე.

1996 წლის ივნისში "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" კანონპროექტი განხილვისას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დაისვა საკითხი უწყებრივად დამოუკიდებელი ანტიმონოპოლიური ორგანოს შექმნის თაობაზე. საკითხი დადებითად ვერ გადაწყდა, თუმცა კენჭისყრის შედეგები (64-67) მიუთითებს იმდროინდელ პარლამენტში რეფორმატორთა სიმრავლეზე. მას შემდეგ ანტიმონოპოლიური სამსახურის უწყებრივი დამოუკიდებლობის საკითხი ტაბუდადებული იყო და მხოლოდ თეორიულ მსჯელობებში და უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციების დონეზე იდგა.

საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული ნორმების თანახმად, ანტიმონოპოლიური სამსახური არასოდეს ყოფილა ასოცირებული ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალასთან, მათ შორის არც სახელისუფლებო უმრავლესობასთან, არც არასოდეს სარგებლობდა ამ თუ იმ პოლიტიკური ძალის ლობირებით, თუმცა როგორც უმრავლესობის ასევე ოპოზიციის წარმომადგენლები "პოლიტიკურად საჭირო დროს" არაერთხელ ახსენებდნენ ოპონენტებს საქმიანობის, რომლებზეც გაცილებით ადრე ანტიმონოპოლიური სამსახურის დასკვნებს ვერ მიუპყრიათ მათი სათანადო ყურადღება, მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხებოდა მაღალი თანამდებობის პირთა უკა-

ნონო ქმედებებს და გადაწყვეტილებებს, რომლებიც ინვესტორებს კონკურენციის შესუსტებას და/ან შეზღუდვას. სამაგალითოდ ე.წ. "ღვინო მოლდოვას", აგრეთვე კავშირგაბმულობის და დაზღვევის სფეროებთან დაკავშირებული საქმეებიც იკმარება.

საკმაოდ შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ანტიმონოპოლიური ორგანოში ყველაფერი რიგზეა (მით უმეტეს ნამდვილად ვერ გამოვდგები დღევანდელი სამსახურის პრაქტიკული კურსის დამცველად). მას გააჩნდა და გააჩნია როგორც მთელი რიგი ნაკლოვანებებისა, ასევე მისგან დამოუკიდებელი ზოგადი თუ სპეციფიკური პრობლემები (არაადექვატური სტატუსი, ფინანსური უზრუნველყოფის, კვალიფიციური კადრების დეფიციტი და სხვა). გარდა ამისა, ბოლო სამი წლის განმავლობაში სამსახური გადაიქცა დაუსრულებელი რეორგანიზაციებისა და საკადრო ცვლილებების პოლიგონად, რაც, ცხადია, უარყოფითად აისახა სამსახურის ინსტიტუციონალურ შესაძლებლობებზე, შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტურობაზე, შესაბამისად სამსახურის ქმედუნარიანობაზე და იმიჯზეც. კერძოდ, 2001 წელს სამსახური (რომელიც მანამდე იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი) გარდაიქმნა საქვეყნო დაწესებულებად. ორი წლის განმავლობაში განხორციელდა ორი რეორგანიზაცია (მოსალოდნელია, რომ მალე მესამე დაიწყება!) და სხვა მრავალი დასაბუთებული თუ დაუსაბუთებელი "პერეტრუბაცია", ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ოთხჯერ შეიცვალა სამსახურის უფროსი, ამავე პერიოდში სამსახური დატოვა არაერთმა ამ სფეროში უკვე საკმაოდ კვალიფიცირებულმა პიროვნებამ (მათ შორის ცენტრალური აპარატის ოთხიდან სამი ფუნქციონალური სამმართველოს უფროსმა), რომელთა მხრებზეც გადაიარა საკანონმდებლო საფუძვლების შექმნის, სამსახურის განვითარებისა და გარდამავალი პერიოდის პირველმა პრობლემებმა.

ყოველივე ზემოაღნიშნული, ჩვენი აზრით, ნათელი მაგალითია

გულგრილი დამოკიდებულებისა იმ პოლიტიკის მიმართ, რომელსაც ეს სამსახური უნდა ატარებდეს და ვფიქრობ, უფრო სერიოზული მსჯელობის საგნად უნდა ქცეულიყო. ასეთ ვითარებაში, ჩვენი აზრით, უპირველეს საზრუნავად უნდა ქცეულიყო სამსახურის ინსტიტუციური პოტენციალის გაზრდა და კანონის აღსრულების სფეროში საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება, იმავდროულად მისი საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების გაძლიერება, რათა საკანონმდებლო დებულებები, რომელთა მიზანია კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვა, მათი არასათანადო ინტერპრეტაციისა და გამოყენების პირობებში, უნებლიედ არ გადაიქცნენ ანტიკონკურენტულ იარაღად.

დღეს კი რა ხდება? იმის მაგივრად რომ გადადგმოლიყო ერთი ნაბიჯი სამსახურის დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის გაზრდასკენ, ქვეყნის პრეზიდენტის 2002 წლის N430-ე განკარგულების შესაბამისად სამსახურის საქმიანობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით შემოთავაზებულია საკანონმდებლო ცვლილებების პროექტთა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს სამსახურის მენეჯმენტის ფასების სახელმწიფო ინსპექციასთან, ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნას და ამ პროცესში ერთი ხელის მოსმით ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის პარლამენტის მიერ მინიჭებული დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის განმარტებული არაერთი უფლების ჩამორთმევას.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასების მაკონტროლებელ ორგანოსთან, რომლის ფუნქციებიც ბოლო ათწლეულში არსებითად შეიკვცა, გაერთიანება თვისობრივად სრულიად განსხვავებულ, ფუნქციონალურად მზარდ და პროგრესულ სტრუქტურასთან საკამათოდ მიგვაჩნია. თუმცა ეს საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია.

განმარტებითი ბარათი არ განმარტავს: რამ განაპირობა ანტიმონოპოლიური ორგანოსათვის უფლებების შეკვეცის აუცილებლობა, თანაც მისივე დამოუკიდებლობის გაზრდის საბაბით? როგორ ემსახურება ეს სვლა მარეგულირებელთა უფლებების გამიჯვნას ან და სხვა მიზნებს, გარდა ფასების სახელმწიფო ინსპექციის (რომლის გაუქმების საკითხსაც აყენებდა ანტიკორუფციული ბიურო) რაიმე ფორმით გადარჩენისა და გაძლიერებისა? რატომ ითვლება ეს ღონისძიება ქვეყნის პრეზიდენტის 2002 წლის N430 განკარგულებით გათვალისწინებული დავალების შესასრულებლად გადადგმულ ნაბიჯად, რომელიც ჩვენი აზრით, სულ სხვა შინაარსის ღონისძიებების გატარებას ითვალისწინებს?

მეტი სიცხადისათვის მკითხველს ვთავაზობთ "ანტიკორუფციული ღონისძიებათა გეგმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 430-ე განკარგულების დანართის სრულ რედაქციას: **"წარმოდგენილი უნდა იქნეს წინადადებები, რომლის თანახმადაც მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ანტიმონოპოლიური ფუნქციები ბუნებრივი მონოპოლების და სადაზღვევო სფეროების**







# პოლონეთი და ბარდაქმნა

წინამდებარე სტატიით ვამთავრებთ იმ ნაწილების ბეჭდვას ლეშეკ ბალცეროვიჩის ნიგნიდან "თავისუფლება და განვითარება", რომლებიც ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ პრობლემებს ეხება. ბოლო ოცი წლის მანძილზე ლეშეკ ბალცეროვიჩი პოლონეთის უმაღლეს ეკონომიკურ პოსტებზე მუშაობს და ამდენად, იგი კარგად იცნობს ამ ქვეყნის ეროვნულ მეურნეობას.

## როგორ ვისარგებლოთ დამოუკიდებლობით

პოლონეთში ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ აუცილებელია ქვეყანაში დამყარდეს ქვეყნის დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა. თითქმის არავის აღარ სურს სოციალიზმი ეკონომიკაში, თუნდაც რომ მას საბაზრო ეკონომიკის სახე ჰქონდეს, ანუ დაახლოებით ისეთი, როგორსაც გვთავაზობდნენ ოთხმოციან წლებში. თუმცა ამასთან, ვფიქრობ, რომ ქვეყნის ეკონომიკური მოწყობის საბოლოო სახე ყველას განსხვავებულად წარმოუდგენია. ეს განსაკუთრებით ეხება პრივატიზაციას. ამგვარ მიდგომებში კი იმალება ის საშიშროება, რომ პოლონეთის ეროვნული მეურნეობა მიიღებს "ლათინურამერიკული მოდელის" სახეს, რომელშიც ძალზე მაღალი ხვედრითი წილით არის წარმოდგენილი სახელმწიფო სექტორი და სადაც უდიდეს მასშტაბებს იღებს სახელმწიფოს ინტერვენცია ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. და ეს ხდება მაშინ, როდესაც თავად ლათინური ამერიკის ქვეყნები, სწავლობენ რა საკუთარ შეცდომებზე, უარს ამბობენ ამგვარ გზაზე და ინტენსიური ტემპებით დაიწყეს სახელმწიფო სანარმოების პრივატიზაცია.

## შანსების გათანაბრება და განვითარება

რათა მაქსიმალურად გამოვიყენოთ მოპოვებული თავისუფლება, ახალი ეკონომიკური სისტემა ორი ძირითადი კრიტერიუმით უნდა შევარჩიოთ:

- ეკონომიკური განვითარების მაქსიმალური ტემპები,
- შანსების მაქსიმალური გათანაბრება.

სწრაფი განვითარების ტემპებში ჩვენ ვგულისხმობთ ეკონომიკური განვითარების გაცილებით უფრო მაღალ ტემპებს, ვიდრე დასავლეთში. რაც შეეხება თავად დეფინიციას – განვითარების მაქსიმალური ტემპები, ჩვენ აქ ვგულისხმობთ დიდი რაოდენობის მაღალმწარმოებლური სამუშაო ადგილების შექმნას. სახელდობრ ასე წარმოგვიდგენია სილარიზის დაძლევის ყველაზე ქმედითი გზა. განვითარების ამგვარად გაგება განსაკუთრებით საჭიროა პოლონეთში; ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩვენი ეკონომიკა მრავალი წლით არის ჩამორჩენილი დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეს და მეორეც, და ეს ჩვენ მნიშვნელოვნად განგვასხვავებს თითქმის ყველა სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნისაგან, უახლოესი წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანას შეემატება დიდი რაოდენობის ახალგაზრდა თაობა, რომელთა უზრუნველყოფაც სამუ-

შაო ადგილებით ეკონომიკის განვითარების უმთავრესი პრიორიტეტი უნდა გახდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანაში მივიღებთ მრავალრიცხოვან უმუშევართა არმიას და მზარდ ემიგრაციას.

შანსების თანასწორობა ჩვენ წარმოგვიდგენია როგორც სიტუაცია, რომლის დროსაც მსგავსი ცოდნა-განათლებისა და მოტივაციის მქონე ადამიანებს თანაბრად შეეძლებათ თავიანთი ცხოვრებისეული მიზნების რეალიზაცია. ცხადია, შეუძლებელია შანსების სრული გათანაბრება, ეს მიუღწეველი იდეალია, მაგრამ რეალური ცხოვრება ამ იდეალს მაქსიმალურად უნდა მიუახლოვდეს.

პრაქტიკულად რაზე დამოკიდებულია და როგორ შეიძლება იქნეს რეალიზებული შანსების გათანაბრება? ამგვარი პირობების შექმნა უმთავრესად ორი ფაქტორის ამოქმედებით უნდა მოხდეს; პირველი, ეს არის სამეურნეო სუბიექტისათვის ეკონომიკური საქმიანობის სფეროში შესვლის თავისუფლება და სამეურნეო-სამართლებრივი ნესრიგის რეგულირების ყველასათვის თანაბრად მისაღები პირობები. საქმე ეხება იმას, რომ სანარმოსა და ადამიანების ფინანსური მაჩვენებლები დამოკიდებული არ იყოს მათ სიახლოვესა და გავლენაზე სახელისუფლებო ორგანოებთან და მეორეც, ამ მოთხოვნების რეალიზაცია განპირობებული იყოს ადამიანების აღზრდა-განათლებაზე. აქ განსაკუთრებით იგულისხმება ის, რომ ოჯახების განსხვავებულმა ქონებრივმა მდგომარეობამ სერიოზული უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს აქ აღზრდილი ბავშვების და ახალგაზრდების კარგი განათლების მიღებაზე. კარგი განათლების მიღების შესაძლებლობა საზოგადოების თაობათაშორის თანასწორობის ერთ-ერთ უმთავრეს აღმძრავ ბერკეტს წარმოადგენს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე ეს კრიტერიუმი, შანსების გათანაბრება და განვითარება ერთმანეთს არ გამორიცხავენ. უფრო პირიქით: ისინი ერთმანეთს განაპირობებენ. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ არსებობს პირობები, რომლებიც ძალზე არსებითია ორივე ამ ფაქტორის რეალიზაციისათვის. მაგალითად, კარგი განათლების მიღება წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტალურ პირობას შანსების გათანაბრებისათვის მიახლოებისათვის. მას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის განვითარებისათვის, ოღონდ ერთი პირობით: ქვეყანაში უნდა არსებობდეს ამგვარი განვითარების ფუნდამენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში განათლება მზარდაჭერას ვერ პოვებს ხალხში. უფრო მეტიც: იგი მათ იმედგაც-

რუებას გამოიწვევს. ბაზარზე გასვლის თავისუფლება წარმოადგენს პრინციპულად მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორც ეკონომიკის სწრაფი განვითარების, ისე შანსების გამოთანაბრებისათვის. სისტემა, რომლის არსებობისასაც სამეურნეო საქმიანობის შედეგად მოგების მიღება მეწარმის პოლიტიკოსებსა და მოხელეებთან ურთიერთობის ხარისხზეა დამოკიდებული, ისევე აფერხებს განვითარებას, როგორც აპრობებს შანსების უთანაბრობას და ამის შედეგად, უთანაბრობას შემოსავლებშიც.

## პოლონეთის გზა ბაზრისაკენ

ეკონომიკის ტრანსფორმაციის მიმდინარეობა და შედეგები დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

1. საწყის პირობებზე;
2. ფართოდ გაგებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე;
3. ისეთ პირობებზე, რომლებიც წარმოიშობა ეკონომიკური გარდაქმნების დროს, და რომლებიც გავლენას ახდენს ამ გარდაქმნებზე.

ახლა მოდით, აღვნიშნოთ სქემის გამოყენებით გავაკეთოთ იმ ცვლილებების ანალიზი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 1990-1993 წლებში პოლონეთში მიმდინარე გარდაქმნებისას.

## საწყისი პირობები

ეროვნულ ეკონომიკაში არსებობს საწყისი პირობების მინიმუმ ხუთი კატეგორია მაინც,

რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ტრანსფორმაციის ტემპებისა და შედეგებისათვის:

1. მაკროეკონომიკური სიტუაცია;
2. ეკონომიკური სისტემის ტიპი;
3. "რეალური" ეკონომიკის სტრუქტურა;
4. უცხოური ვალები
5. ადამიანური კაპიტალის სტრუქტურა და დონე.

ახლა ვნახოთ პოლონეთში არსებული სიტუაცია რა ზომით შეესაბამებოდა თითოეულ ამ მოთხოვნას და რა განასხვავებდა ჩვენს ქვეყანას სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნებისაგან.

უნდა ითქვას, რომ პოლონეთში, ისევე, როგორც სხვა პოსტსოციალისტურმა ქვეყნებმა, მემკვიდრეობით მიიღო არასაბაზრო სისტემა, რომელშიც გადამწყვეტი ხვედრითი წილით იყო წარმოდგენილი სახელმწიფო სექტორი, ორგანიზაციის კონცენტრაციის მაღალი დონით, დეფორმირებული ფასებით, არაკონვერტირებადი ვალუტით და ა. შ. ქვეყნის ეკონომიკაში არ არსებობდა ასევე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტებიც: დამოუკიდებელი ცენტრალური და კომერციული ბანკები, ფასიანი ქაღალდების თუ სასაქონლო ბირჟები და ა. შ.

ამასთან, სოციალისტური საზოგადოებრივი წყობა დამძიმებული იყო სოციალური სისტემის ფართო ქსელით, რომლის მუშაობაც თანდათან არაეფექ-

ტური ხდებოდა. მისი მომსახურება ფინანსირდებოდა მნიშვნელოვანწილად სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ნაწილობრივც უშუალოდ სახელმწიფო სანარმოების შემოსავლებიდან. ამის შედეგად პოლონეთში (და სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებშიც) შეფარდება საბიუჯეტო ხარჯებსა და ეროვნულ შემოსავლებს შორის გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე იმ კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომელთაც ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით შემოსავლების დაახლოებით ანალოგიური დონე გააჩნდათ. ჩვენ აქ აღარაფერს ვამბობთ "აზიური ვეფხვების" შესახებ, სადაც ეს შეფარდება გაცილებით დაბალი იყო.

პოლონეთის ეკონომიკისათვის მეორე დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა დეფორმირებული სამეურნეო სტრუქტურა, რაც აქ ათწლეულების მანძილზე სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის არსებობის შედეგს წარმოადგენდა. სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია ძირითადად მიმართული იყო უცხოური იმპორტის წინააღმდეგ. სოციალისტურ მეურნეობაში მეტისმეტად დაბალი იყო მომსახურების, ხოლო ძალზე მაღალი - მრეწველობის ხვედრითი წილი. ამავე დროს, ეკონომიკის მრავალი დარგი, მაგალითად, ტექსტილის, ელექტრონული, ფარმაცევტული და სხვ. დიდიწილად დამოკიდებული იყო იმპორტზე საბჭოთა ბაზარზე. არაეფექტურმა ეკონომიკურმა

ბაზრძალვაა DIO გვარდვა





# პოლონეთი და ბარდაქმნა

09 გვირგვინი

სისტემამ და დეფორმირებულმა ეკონომიკურმა სტრუქტურამ პოლონეთსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში უაღრესად დაბინძურა გარემო.

პოლონეთის ეკონომიკისათვის მესამე დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა ადამიანური კაპიტალის განსაკუთრებული სტრუქტურა. მისთვის დამახასიათებელ უარყოფით თვისებას კი შეადგენდა ის, რომ ძალზე იგრძნობოდა იმ სპეციალისტთა დეფიციტი, რომელთა საქმიანობის გარეშეც თითქმის შეუძლებელი იყო საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება. კერძოდ, ეს სპეციალობები მარკეტინგი, საბანკო საქმე, თანამედროვე ბუღალტერია და ა. შ. უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგადი განათლება სოციალისტური სისტემის ქვეყნებში დაახლოებით იმ დონეზე იდგა, რა დონეზეც დასავლეთში და გაცილებით იყო დანინაურებული, ვიდრე განვითარებულ (განსაკუთრებით მესამე სამყაროს) ქვეყნებში. ეს კი ხელს უშლიდა ადამიანების მიერ ახალი ცოდნის სწრაფად ათვისებას და როგორც შედეგი, რეფორმების დაჩქარებული ტემპებით განხორციელებას. ეს ვითარება ცხადია, გამოყენებული იქნებოდა მხოლოდ რეფორმების შესაბამისი მიმართულებით განხორციელების შემთხვევაში.

ახლა გადავიდეთ იმ თვისებებზე, რომლებიც მხოლოდ პოლონეთისათვის იყო დამახასიათებელი და ჩვენს ქვეყანას აშკარად განასხვავებდა ყველა სხვა ტიპური სოციალისტური ქვეყნისაგან. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კატასტროფული მაკროეკონომიკური სიტუაცია. ფულის მასა (broad money) 1988 წელს გაიზარდა 63 პროცენტით, 1989 წელს - 61,5 პროცენტით. შესაბამისი მაჩვენებლები მაგალითად, ჩეხოსლოვაკიისათვის შეადგენდა 3,5% და 0,5%-ს, უნგრეთში 17 და 29 პროცენტს, ბულგარეთში 10,6 და 16,6 პროცენტს. ფულის მასის ასეთი მყისიერი ზრდა გამოწვეული იყო ბიუჯეტის დეფიციტის რადიკალური ზრდით და ასევე სასურსათო პროდუქციის სანარმოებლად დიდი მოცულობით სუბსიდირების გამოყოფით. ამ მოვლენის საბოლოო შედეგს წარმოადგენდა გლეხობისათვის ამ პროდუქციაზე შესყიდვის ფასების მოულოდნელი ანევა და საცალო ვაჭრობის ქსელში მათზე კონტროლირებადი ფასების დაწესება. აღნიშნული გარემოების გამომწვევ სხვა მიზეზს წარმოადგენდა ხელფასების სწრაფი ზრდა, რაც შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარეობდა. ანალოგიურ სიტუაციას ჰქონდა ადგილი რუმინეთში, რუსეთში, ალბანეთში. სამაგიეროდ, ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში პოლიტიკური სიტუაციის დარეგულირება სრულიადაც არ მომხდარა ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე.

სხვა სპეციფიკურ დამახასია-

ათებელ თვისებას პოლონეთის ეკონომიკისათვის შეადგენდა ფორმალურად კერძო სოფლის მეურნეობა. კერძოდ, აქ მიწების 76 პროცენტი კერძო მესაკუთრეთა ხელში იყო. 1989 წელს ერთ გლესზე გაანგარიშებით მოდიოდა 7,1 ჰა მიწის ნაკვეთი. თუმცა, მიუხედავად ამისა, გლეხებს არაკონკურენტულ გარემოში უხდებოდათ მუშაობა. თუმცა პოლონელი გლეხები სახელმწიფოს მხრიდან საკმაოდ საგრძნობ მხარდაჭერას პოულობდნენ, რაც მათთვის მაღალი მოგების წყარო ხდებოდა. მაკროეკონომიკური წონასწორობის აღსადგენად საჭირო იყო მათთვის ამ ზემოგებაზე უარის თქმა (დოტაციების მიცემაზე უარის თქმა და სხვ.). ცხადია, ამგვარი პოლიტიკის წარმოდგენა ადვილად შეიძლებოდა, როგორც სოფლის მეურნეობის განადგურება.

## ეკონომიკური სტრატეგია

ქვეყანაში შექმნილი კატასტროფული მაკროეკონომიკური სიტუაცია ხელისუფლებისაგან მოითხოვდა პრინციპული პოლიტიკის გატარებას, რომელიც განსაკუთრებით ბიუჯეტის დეფიციტის შეზღუდვასა და ფულის ემისიის მოზომილი ტემპების დაცვას გულისხმობდა. საჭირო იყო ასევე მკაცრი კონტროლის განხორციელება შრომის ანაზღაურების სფეროზე და სხვ. ამგვარი პოლიტიკის უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე, განსაკუთრებით პრივატიზაციის განხორციელების პერიოდში, ცხადი ხდებოდა. სერიოზულ აუცილებლობას წარმოადგენდა ასევე ზლოტის მყარი პარიტეტის დაცვა დოლარის მიმართ.

როგორც მაკროეკონომიკური, ისე სისტემური პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს შეადგენდა ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. ამასთან, სტაბილიზაცია, ლიბერალიზაცია და ღრმა ინსტიტუციონალური გარდაქმნები პოლონეთში წარმოადგენდა ორი უმთავრესი, მემკვიდრეობით მიღებული პრობლემის, - დიდი საგარეო ვალდებულების და ეკონომიკის ჩამორჩენილი სტრუქტურის სრულყოფის უმთავრეს გასაღებს. განსაკუთრებით ჩამორჩენილი სტრუქტურა ახასიათებდა ეროვნული ეკონომიკის ისეთ დარგებს, როგორც არის სოფლის მეურნეობა, ქვანახშირის მოპოვება და ტელეკომუნიკაციები.

ამ მიმართულებით განვითარებისათვის შესაძლებელი იყო ორი უმთავრესი ვარიანტის გამოყენება: თავდაპირველად შეგვეცვალა ეკონომიკური სისტემა და შემდეგ მიგვეღწია ეკონომიკური სტაბილიზაციისათვის, ანდა თითქმის ერთდროულად აგვემძივებინა ყველა ის მექანიზმი, რომლებიც მიგვალწევინებდა როგორც ეკონომიკურ სტაბილიზაციას, ლიბერალიზაციას, ისე ინსტიტუციონალურ გარდაქმნებს. არ უნდა დავგა-



ვარშავის ხედი

ვინცდეს, რომ საჭირო იყო იმ ეკონომიკის ლიბერალიზაცია და სტაბილიზაცია, რომლის სტრუქტურა ჯერ კიდევ არსებითად სოციალისტურად რჩებოდა.

რეფორმის შემდგომი ეტაპი უნდა ყოფილიყო მისი დაჩქარების ღონისძიებები როგორც ეკონომიკის სტაბილიზაციის და ლიბერალიზაციის, ისე ინსტიტუციური გარდაქმნების სფეროში. ამასთან, თითოეულ ამ სფეროში გარდაქმნების სიჩქარე განსხვავებულია. ცხადია, შედარებით ადვილი იყო ამ სიჩქარის მიღწევა ეკონომიკის სტაბილიზაციის და ლიბერალიზაციის, ვიდრე ინსტიტუციური გარდაქმნების სფეროში. განსაკუთრებული აჩქარება იყო საჭირო ფულის მიმოქცევის (ჰიპერინფლაციის დაძლევა) სფეროში შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად. აქ ტემპების შენელება ხანძრის ნელ-ნელა ჩაქრობას დაემსგავსებოდა. საშური საქმე იყო ასევე ფასების ლიბერალიზაცია. ამასთან გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ რაც უფრო გაგრძელდებოდა მათზე კონტროლი, მით უფრო მეტად მოხდებოდა მათი დეფორმაცია, რომლის დროსაც სანარმოთა ფინანსური მდგომარეობის შესახებ მონაცემებს ძალზე საეჭვო ხასიათი მიეცემოდა. ასეთ შემთხვევაში ეს სანარმოები ადვილად მიღწევდნენ სახელმწიფო ფინანსურ ინექციებს.

ასევე საჩქარო საქმე იყო ინფლაციის მოთოკვა. პოლონეთში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (დეკემბერი დეკემბერთან) 1989 წელს აღწევდა 640 პროცენტს, 1990 წელს - 250 პროცენტს, 1991 წელს - 60 პროცენტს, 1992 წელს - 44 პროცენტს, 1993 წელს 38 პროცენტს. ამჟამად ქვეყანაში ინფლაციის დონე, რა თქმა უნდა, კვლავაც მაღალია, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ამ სფეროში საკმაოდ დადებითი ტენდენცია დასახული. ამგვარი რადიკალური ცვლილებები ინფლაციის სფეროში პოლონეთში განხორციელდა ფასების მკვეთრი ლიბერალიზაციით, რამაც ზოგიერთი ფასის უზომოდ გაზრდა გამოიწვია, განსაკუთრებით ენერგომეცველებზე. 1982-1989 წლებში სამომხმარებლო პროდუქტების ფასები პოლონეთში 30-70 - ჯერ გაიზარდა. იქიდან გამომდინარე, რომ ამ სახის პროდუქციაზე

ფასები სასტარტო ეტაპზე პოლონეთში გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, შესაბამისად, ჩვენთან მათი ზრდის ტემპებიც გაცილებით მაღალი დაფიქირდა.

## ცვლილებები ეკონომიკურ სფეროში

შეიძლება ითქვას, რეფორმების პერიოდში ქვეყანაში განსაკუთრებით დიდი ცვლილებები შეინიშნებოდა ფასების, ქვეყნის ინსტიტუციონალური მოწყობისა და სამართლებრივ სფეროებში.

1. ფასების რადიკალური ცვლილებების შედეგად ვაჭრობათა 90 პროცენტი 1993 წელს თავისუფალი ფასებით განხორციელდა. ამან ქვეყანაში მათი სტრუქტურის რადიკალური ცვლილებები გამოიწვია;

2. მნიშვნელოვნად გაიზარდა ზლოტის, როგორც გადაცვლის საშუალების როლი; ახლა იგი უკვე თავისუფლად იცვლებოდა როგორც საქონელზე, ისე სხვა ვალუტაზეც. ინფლაციის რადიკალურად მოთოკვისა და რეალური საპროცენტო განაკვეთის გაზრდის შედეგად ამალდა მისი, როგორც ღირებულებათა შენახვის საშუალების, ფუნქცია;

3. საკუთრებრივ ურთიერთობათა, საგარეო ვაჭრობის სფეროში განხორციელებულმა ლიბერალიზაციამ და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მექანიზმების მოშლამ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების გამყარების შესაძლებლობა შექმნა. ეს კი წარმოების ეფექტურობის ამაღლებისა და ქვეყნის კონკურენტულობის განმტკიცების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ამის შედეგად 1990-1993 წლებში პოლონეთში მილიონნახევარზე მეტი ფირმა დაფუძნდა.

4. სწრაფი ტემპებით დაიწყო პრივატიზაციის პროცესები, რის შედეგადაც ეკონომიკაში რადიკალურად ამაღლდა კერძო სექტორის როლი და მნიშვნელობა. თუ რეფორმების დაწყების დროს კერძო ფირმებში ძალზე მცირე რიცხოვნობის მუშახელი იყო დასაქმებული (ამ პერიოდში კერძო სფერო ძირითადად აგრარული სექტორითა და მომსახურებით იყო წარმოდგენილი), 1992 წელს აქ უკვე შრომითი რესურსების 34,4 პროცენტი დასაქმდა. თუ ამ მა-

ჩვენებელს დავუმატებთ აგრარულ სფეროსა და მომსახურებასაც, მაშინ მივიღებთ, რომ ამ წლის ბოლოს კერძო სექტორში მთლიანობაში დასაქმებული იყო შრომითი რესურსების 60 პროცენტზე მეტი.

5. ღრმა ცვლილებები განიცადა ქვეყნის საფინანსო სისტემაში. 1989 წლის დასაწყისისათვის პოლონეთმა თანდათან უარი თქვა მონოსაბანკო მოდელზე. კერძოდ, ამ სისტემიდან ცალკე გამოიყო პოლონეთის ეროვნული ბანკი და ცხრა სახელმწიფო კომერციული ბანკი. შემდგომ წლებში თანდათან მომძლავრდა ეროვნული ბანკის პოზიციები და მისი საქმიანობა საკმაოდ დამოუკიდებელი გახდა. ამ პერიოდში მისი ეკონომიკური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მიმართული იყო საბაზრო ეკონომიკის ქვეყნისათვის დამახასიათებელი ტიპური მეთოდებით მუშაობისაკენ. დაიწყო საბანკო სექტორის პრივატიზაცია.

რაც შეეხება არასაბანკო დაწესებულებებს, აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფასიანი ქალაქების ბაზარი, რომელიც 1991 წლის ივლისში ამოქმედდა. მისი საქმიანობა დაფუძნებულია ისეთ თანამედროვე მექანიზმებზე, რომელთაც შეუძლიათ მოემსახურონ გაცილებით მეტი ღირებულების ფასიანი ქალაქებს, ვიდრე დღეს. იმავე პერიოდში ქვეყანაში ამოქმედდა მრავალი საინვესტიციო ფონდი, რომლებიც მალე შეუდგნენ საქმიანობას.

6. 1990-93 წლებში პოლონეთში შემოღებული იყო საგადასახადო სისტემის ყველა თანამედროვე ელემენტი: საშემოსავლო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, გაუქმდა მრავალი შეღავათი, რომლებიც აფერხებდნენ ქვეყანაში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას. საგადასახადო სამსახურები მაქსიმალურად კომპიუტერიზირებულია, ხოლო 1992 წელს დაფუძნდა საგადასახადო პოლიცია. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამ ცვლილებებისა, როდი იყო ეკონომიკის დაუბეგრავი სფეროს მასშტაბებმა. ეს განვითარების ასიმეტრიული ტემპების შედეგი იყო. კერძოდ, ის ტემპები, რომლებითაც იქმნებოდა კერძო ფირმები, ბევრად აღემატებოდა საბაზრო-საგადასახადო სამსახურების განვითარების ტემპებს.

7. 1990 წლის შემდეგ მოხდა მრავალი მემკვიდრეობით მიღებული არასაბიუჯეტო ფონდის ლიკვიდაცია, რის შედეგადაც სახელმწიფო ფინანსების განაწილების პროცესი გაცილებით ინტეგრირებული და გამჭვირვალე გახდა.

8. სერიოზული რეფორმები განხორციელდა სოციალური დახმარების სფეროში, რომელიც გაცილებით მიზანმიმართული გახდა. პრინციპული ცვლილებები განიცადა უმუშევართათვის დახმარების



# კოლხური თეორიდან ლარამდე

თბილისში, ლეონიძის ქუჩაზე რამდენიმე თვეა, რაც ფულის მუზეუმი გაიხსნა. მისი ჩამოყალიბების ინიციატივა საქართველოს ეროვნულ ბანკს ეკუთვნის. მუზეუმს სამი პავილიონი აქვს, სადაც საქართველოში მოქმედი ფულის ნიმუშების გარდა, მსოფლიოს სხვა წამყვანი ვალუტების ისტორიის ამსახველი სტენდებიცაა გამოფენილი. მუზეუმის პირველივე სტენდზე კოლხურ თეორს შეხვდებით, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მოჭრილი პირველი ფულადი ნიმუშია.

## ბიორბი კალანდაძე

ფულის მუზეუმი თბილისში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა. 1981 წელს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის სისტემაში დაარსდა მუზეუმი, რომელმაც 1989 წლამდე იარსება. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და ეროვნული ვალუტის შემოღების შემდეგ ფულის მუზეუმის აღდგენის იდეა დღის წესრიგში დადგა. მუზეუმი მწახველებისათვის რამდენიმე თვის წინ გაიხსნა.

## პირველი ქართული მონეტები

ისტორიული კოლხეთი მსოფლიოში სამონეტო საქმის ერთ-ერთი უძველესი კერაა. ფულის მიმოქცევა და ვერცხლის მონეტების მოჭრა ამ ტერიტორიაზე ძველი ნელთალრიცხვის მეექვსე-მეხუთე საუკუნეებში იწყება. ეს უძველესი სამონეტო ჯგუფი სამეცნიერო ლიტერატურაში "კოლხური თეორის" სახელითაა ცნობილი. მეცნიერთა მოსაზრებით, სტილისტურ-ტიქნიკური თვალსაზრისით შეინიშნება მათი განსაკუთრებული მსგავსება ძველი ნელთალრიცხვის მეექვსე საუკუნის შუა ხანების მილეტურ მონეტებთან, რადგან კოლხური ფული ქალაქ ფაზისში (ფოთი) მიღებულია ახალშენში იჭრებოდა. კოლხური თეორის ასოლოგურ-უმრავლესობა აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში: ჩრდილოეთით ქალაქ სოხუმიდან, სამხრეთით – მდინარე ჭოროხის შესართავამდე. კოლხური თეორი მცირე მასშტაბით საქართველოს ფარგლებს გარეთაც გადიოდა.

ელნიისტური ხანის დასაწყისში წყდება კოლხური თეორის ემისია და ის თანდათანობით ქრება მიმოქცევიდან. მის ადგილს ალექსანდრე მაკედონელისა და მისი პოლიტიკური მემკვიდრის ლისიმახის სახელით მოჭრილი ოქროს სტატერები იკვირდნენ. მოგვიანებით, სამონეტო ბაზარზე ორიგინალური სტატერების დეფიციტმა და ეკონომიკურმა კრიზისმა მათი ადგილობრივი მინაბაძების გაჩენა გამოიწვია.

ქართლის სამეფოში, ანუ იბერიაში სამონეტო საქმის დასაწყისად უნდა ჩათვალოს კლარჯეთის მამასახლისის ბაგრატ ბივრატის ძის (ძველი ნელთალრიცხვის მესამე საუკუნის შუახანები) ვერცხლის ფული არამეული წარწერებით.

ახალი ნელთალრიცხვის დასასრული ქართული ნუმიზმატიკისთვის მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა: ქართლის ერისმთავრებმა საკუთარი ვერცხლის მონეტა, ე.წ. ქართულ-სასანური დრამები მოჭრეს. ქართული ფულის ისტორიაში ამ მონეტებზე პირველად გაჩნდა ქართული ზედწერილები ირანის შაჰის პორტრეტის გვერდით, ხოლო ირანული წმინდა ცეცხლის ნაცვლად – ქრისტიანული სიმბოლიკა – ჯვრის გამოსახულება.

## ქართული ფული შუა საუკუნეებში

მეთექვსმეტე საუკუნეების საქართველოს სოციალურ-

პოლიტიკური პროგრესი სამონეტო საქმეშიც აისახა. მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ტაოს მფლობელი დავით მესამე კურაპალატი ჭრის ვერცხლის ფულს, ჭეშმარიტი ჯვრის (ძელი ცხორებისაი) გამოსახულებითა და ქართული წარწერით: "ქრისტე, შეინყალე დავით კურაპალატი." ამ მონეტის სულ ოთხი ცალია შემორჩენილი, მაგრამ, მეცნიერთა ვარაუდით, იგი ჩართული უნდა ყოფილიყო საერთაშორისო მიმოქცევაში. ამის საფუძვლად მკვლევარები მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ ოთხივე მათგანი საქართველოდან ძალიან შორს ჩრდილოეთ გერმანიაში, რუსეთში, ესტონეთსა და შვედეთშია ნაპოვნი.

ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული სპილენძის უნიკალური მონეტა, რომელიც დავით აღმაშენებელმა, სავარაუდოდ, 1118-1125 წლებში მოჭრა. მონეტაზე გამოსახულია გვირგვინოსანი მეფე ბიზანტიურ სამოსში და მოცემულია ერთიანი საქართველოს მეფეთა სრული ტიტული: "მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა."

საქართველოს ტერიტორიულ-მარჯვენა ასევე იმოქმედა საქართველოში ფულის მიმოქცევის პროცესზე. მეთხუთმეტე საუკუნის 30-იანი წლებიდან აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ ვრცელდება შირვანული თანგები. ამავე პერიოდში იტალიელთა შავიზღვი-სპირა სავაჭრო ფაქტორიებიდან, რომლებიც მეცამეტე საუკუნიდან არსებობდა, საქართველოში შემოიღეს და ვრცელდება ვენეციური ოქროს დუკატები. ამავე პერიოდში დასავლეთ საქართველოში ინტენსიურად ბრუნავს ოსმალური ახჩა. ოსმალური სამონეტო ტრადიციების გავლენა საკუთრივ ქართულ ფულზეც შეინიშნება. მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისიდან ირან-ოსმალეთის პოლიტიკური დაპირისპირების შემდეგ, დასავლეთ საქართველოში ოსმალეთი გაბატონდა, აღმოსავლეთში კი – ირანი. ქვეყნის პოლიტიკური გადანაწილების პროცესმა ქვეყნის სამონეტო საქმეზეც ჰპოვა ასახვა. ამ პერიოდში დამკვიდრდა ქართულ ენაში დღემდე შემორჩენილი ფულის ერთეულის სპარსული სახელები – თუმანი, აბაზი და შაური.

ირანის შაჰის სახელით საქართველოში ფული პირველად 1555-1570 წლებში ქალაქ ზაგემის (კახეთი) ზარაფხანაში მოიჭრა. ქართლში კი სეფიანთა სახელით ფულის მოჭრა მხოლოდ შაჰ-აბასის რეფორმის შემდეგ დაიწყო. 1632 წლიდან თბილისში რეგულარულად იჭრება ვერცხლის აბაზი, მაჰმუდი (ნახევარი აბაზი) და შაჰი (მეოთხედი აბაზი). თბილისური მონეტები ირანის ქალაქებში მოჭრილი მონეტებისაგან პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა. თბილისის ზარაფხანა იმდენად ინტენსიურად მუშაობდა, რომ აქ მოჭრილმა ფულმა თითქმის განდევნა სამონეტო ბაზრიდან ევროპული ტალერი და სამხრეთ კავკასიის არგლებსაც გასცდა. ცნობილია ოსტ-ინდოეთის კომპანიის მიერ დამოუკიდებელი თბილისური აბაზები.

1757 წლიდან თბილისის ზარაფხანაში ახალი ტიპის ვერცხლის ფულის მოჭრა იწყებენ. აქვე 1767-



ფულის მუზეუმის ერთ-ერთი სტენდი

1798 წლებში რეგულარად იჭრება ვერცხლის ექვსმარტიანი, აბაზი, მაჰმუდი (უხალთუნი) და შაური. ყველა მათგანი მაღალი სინჯის ვერცხლისგან მზადდებოდა. ამიტომ ისინი ძალზე პოპულარული გახდა მოსახლეობაში, რომელიც ამ მონეტათა მთელ სერიას "სირმა ვერცხლს" ან "სირმა აბაზს" უწოდებდა. ლითონის მაღალი ხარისხის გამო "სირმა აბაზი" საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც დარჩა ბრუნვადი. რუსეთის ხელისუფლებამ მხოლოდ 1853 წელს დაიწყო მოსახლეობის ხელთ არსებული "სირმა აბაზების" შესყიდვა.

## საქართველო რუსეთის იმპერიაში

1801 წელს რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოს აუქმებს. სამეფო ოჯახი რუსეთში გადასახლეს. თბილისის სამეფო ზარაფხანა კი დაიხურა. მის ნაცვლად სამი წლის შემდეგ დღის წესრიგში დგება ფულის ნიმუშების თბილისშივე მოჭრის საკითხი. სამეფო აბანოს ყოფილ შენობაში იხსნება ზარაფხანა, რომელიც, ძირითადად, ვერცხლის ფულის მოსაჭრელად იყო გამიზნული. ამ პერიოდში გამოშვებულ ვერცხლის ფულზე ქართული მხედრული დამწერლობით ეწერა "ქართული ფული." 1804 წლიდან 1834 წლამდე თბილისის ზარაფხანამ სულ 1 060 713 მანეთისა და 70 კაპიკის ლირებულების ვერცხლისა და 8 310 მანეთისა და 89,5 კაპიკის სპილენძის მონეტა გამოუშვა. რუსულ ფულთან ერთად იგი მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე დარჩა მიმოქცევაში. 1834 წლის შემდეგ საქართველოში ლითონის ფული აღარ მოჭრილა.

მეცხრამეტე საუკუნის ორმოციანი წლებში საქართველოში რუსულ ფულთან ერთად თავისუფლად მიმოქცეოდა თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ქართულ-რუსული მონეტები, ერეკლე მეორის დროინდელი "სირმა აბაზები", ჰოლანდიური დუკატები, ირანული, ოსმალური და კავკასიის სახანოებში მოჭრილი ფული. 1853 წელს კავკასიის კომიტეტმა ბრუნვიდან არარუსული ფულის ამოღების ორწლიანი ვადა დაადგინა, რომელიც შემდგომში კიდევ ექვსი თვით გაგრძელდა. საქართველოს ფულად ბაზარზე მი-

მოქცევაში არსებული არარუსული ფულის ძირითადი მასა, მათ შორის, ერეკლე მეორის დროინდელი აბაზები, ხელისუფლებამ მოსახლეობისგან შეისყიდა და გადასადნობად პეტერბურგში გაგზავნა. ამ პერიოდში საქართველოს სამონეტო ბაზარზე რუსული ფულის ბატონობის ხანა იწყება. საქართველოში საკრედიტო დაწესებულებები გაიხსნა და ქვეყანა რუსეთის იმპერიის საფინანსო სისტემაში ჩაერთო.

## ქართული ფული და დამოუკიდებლობის პერიოდი

1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკურ რევოლუციას საქართველოსა და მთელს სამხრეთ კავკასიაში საკრედიტო ბილეთების დეფიციტის უკიდურესი გამოვლენა მოჰყვა. რუსეთის სახელმწიფო ბანკმა შეწყვიტა თბილისში ფინანსური ოპერაციების განხორციელება. მდგომარეობის გამოსასწორებლად სამხრეთ კავკასიის ახალმა სამხარეო მთავრობამ, რომლის შემადგენლობაშიც ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები შედიოდნენ, საკუთარი ფულადი ნიმუშების გამოშვების გადაწყვეტილება მიიღო. 1918 წლის 29 იანვარს ამიერკავკასიის კომისარიატი ამტკიცებს დებულებას ბონების შესახებ. იმავე წლის 5 თებერვლიდან მიმოქცევაში გამოუშვეს 1, 3, 5, 10, 50 და 100-მანეთიანი ბონები, რომელსაც შემდგომში 250-მანეთიანი ბონები შეემატა.

1918 წლის 26 მაისის შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება ეროვნული ვალუტის შესაქმნელად მზადდებდას შეუდგა. 1918 წლის ივნისში ფუძნდება "ქართული ფულის ფონდი." მას მომავალი ეროვნული ვალუტის კურსის სიმყარე უნდა უზრუნველყო. ფონდის შექმნის წყარო მოსახლეობის შემოწირულობა იყო. ერთი თვის თავზე ცხადდება ქართული ფულადი ნიმუშების პროექტების შესარჩევი კონკურსი, რომელშიც მხატვარი იოსებ მარტოშვილის ესკიზები იმარჯვებს. საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 ივლისის დეკრეტით მიმოქცევაში გავიდა 1, 3, 5, 10, 50, 100 და 500 მანეთის ლირებულების ბონები. დეკრეტით გავალისწინებული იყო ასევე 25-მანეთიანი კუპონების გამოშვებაც,

მაგრამ ისინი არ დაბეჭდილა. 1919 წლის მეორე ნახევარში აღნიშნულ კუპონებს შეემატათ 50-კაპიკიანი, 1920-21 წლებში კი 1000 და 5000 მანეთიანი ბონები. ქართულ ფულზე საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიასა და ფინანსთა მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის ფაქსიმილეებია მოთავსებული. იმდროინდელი მოსახლეობა ქართულ ფულს ნდობით შეხვდა, რომელმაც შედარებით სტაბილური ფულის სახელი საქართველოს ფარგლებს გარეთაც დაიმკვიდრა.

სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოღებისათვის მთავრობა ხელისუფლებაში მოსვლიდანვე ემზადებოდა. ვალუტის ძირითად სახელად საქართველოში მეჩვიდმეტე საუკუნიდან გავრცელებული ფულადი ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი "მარჩილი" შეირჩა. 1920 წლის ივნისში მთავრობის დავალებით მხატვარმა ევგენი ლანსერემ 25 მარჩილის სახელმწიფო საკრედიტო ბარათის ესკიზი შეასრულა. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ, შემდგომში კი ანექსიამ, საქართველოს რესპუბლიკის ფულადი რეფორმის პროექტი განუხორციელებელი დატოვა.

## თბილისი და მსოფლიო ფულის ისტორია

თბილისის ფულის მუზეუმში საბჭოთა კავშირისა და 1991 წლის შემდგომი პერიოდის ფულადი ნიმუშების ამსახველი სტენდებიცაა განლაგებული, მაგრამ რადგანაც საუბარია არა მარტო ქართული ფულის მუზეუმზე, სხვადასხვა ქვეყნების ფულად ნიმუშებს ცალკე პავილიონი აქვს დათმობილი. სტენდებზე სადემოსტრაციო მასალა კონტინენტების მიხედვითაა განლაგებული. ამავე დარბაზშია გამოფენილი ფულის თემაზე გამოცემული ლიტერატურაც.

"ეს არის აგრეთვე სასწავლო ცენტრიც." – აცხადებს მუზეუმის ხელმძღვანელი მაგალი თოდუა, – "აქ მოდიან ისტორიკოსები, სტუდენტები, მოსწავლეები. მუზეუმში ტარდება პრაქტიკული მეცადინეობები."

გამოყენებულია კატალოგი "ფული საქართველოში"




# რობერტ მანდელი და თანამედროვე სავალუტო ზონები

ამერიკელი ეკონომისტი რობერტ ა. მანდელი კანადაში დაიბადა. ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტსა და ვაშინგტონის უნივერსიტეტში სწავლის დასრულების შემდეგ, მან განათლების მიღება განაგრძო მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (მტი) ასპირანტურაში და ასევე ლონდონის ეკონომიკის სკოლაში (ლეს). 1956 წელს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა მტი-ში. მისი სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი თემა იყო კაპიტალის მიმოქცევა მსოფლიო ბაზრებზე. შემდეგ აკადემიურ წელს მანდელი სტაჟირებას გადიოდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში, როგორც ამ სასწავლებლის სტიპენდიანტი "პოლიტიკური ეკონომიის" სპეციალობით. მანდელი რამდენიმე წელს პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სტენფორდის უნივერსიტეტში და ჯონ ჰოპკინსის საერთაშორისო კვლევების ცენტრში, ვიდრე 1951 წელს მან მუშაობა არ დაიწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევით განყოფილებაში. სავალუტო ფონდის თანამშრომლად მანდელი დარჩა 1963 წლამდე. 60-იანი წლების მეორე ნახევარში მანდელი მუშაობდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში (1966-1971 წწ.) და ამ სასწავლებლის ინტელექტუალური ლიდერების რიცხვს მიეკუთვნებოდა. იმავდროულად მეცნიერი იკავებდა ჟურნალ "პოლიტიკური ეკონომიის"-ს მთავარი რედაქტორის თანამდებობას.

ათი წლის განმავლობაში (1965-75 წწ.) მანდელი მინვეული პროფესორის ხარისხში ყოველ წელს, ზაფხულობით ლექციებს კითხულობდა მსოფლიო ეკონომიკის პრობლემებზე საერთაშორისო კვლევების უმაღლესი სკოლის მსმენელთათვის ჟენევაში (შვეიცარია). 1974 წლიდან მანდელი არის კოლუმბიის უნივერსიტეტის (ნიუ-იორკი) ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორი. 1997-98 წლებში მანდელი ეკონომიკის პროფესორია საერთაშორისო კვლევების უმაღლესი სკოლასთან არსებულ ჯონ ჰოპკინსის ცენტრში.

მანდელი არის 40-ზე მეტი წიგნის, 200-ზე მეტი სტატიის და საერთაშორისო და სამთავრობო ორგანიზაციებში წაკითხული ათეულობით მოხსენების ავტორი. მისი ნაშრომების უმთავრეს თემებს წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის, ფულად-საკრედიტო, ინფლაციის, ეკონომიკური ზრდის, საერთაშორისო სავალუტო სისტემის ისტორიის და საბიუჯეტო პოლიტიკის უმთავრესი პრობლემები. მისი ნაშრომები მიეკუთვნება ფუნდამენტალური მეცნიერების სფეროს და გამოირჩევა ნოვატორული მიდგომებით, პრობლემების არასტანდარტული დასმითა და გადაჭრით და პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობით.

იმჟიათი მეცნიერული ინტუიციის საშუალებას აძლევდა მანდელს 30 წელზე მეტი ხნის წინ საერთაშორისო სავალუტო ბაზრებისა და საერთაშორისო კაპი-



რობერტ მანდელი

ტალის ბაზრების განვითარების ზუსტი პროგნოზები მოეცა; მეცნიერი მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ევროპის ერთიანი ვალუტის შექმნის ერთ-ერთი პირველი პროექტი დაამუშავა. მანდელი ცნობილია ასევე როგორც ოპტიმალური სავალუტო ზონის თეორიის ავტორი. გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში მანდელმა ზოგიერთ თავის სტატიაში დააყენა საკითხი იმის შესახებ, თუ რა გავლენის გამოწვევა შეუძლია ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკას საერთაშორისო ბაზრების ორგანიზაციის პროცესებზე. მეცნიერი ასევე შეეცადა დაედგინა, დამოკიდებულია თუ არა ეს გავლენა ქვეყანაში არსებულ ფულად-სავალუტო სისტემაზე და სახელდობრ იმაზე, აფიქსირებს თუ არა მოცემული ქვეყანა ვალუტის ლირებულებას, თუ ნებას აძლევს მას თავისუფლად ირყეოდეს. ზუსტად იმ დროს, სტატიაში "ოპტიმალური სავალუტო ზონების თეორია" (1961 წ.), მანდელმა დააყენა იმ დროისათვის საკმაოდ აბსურდული საკითხი: აუცილებელია თუ არა ქვეყანას ჰქონდეს საკუთარი ვალუტა, თუ თეორიულად და პრაქტიკულად დასაშვებია სიტუაცია, როდესაც მთელი რეგიონისათვის სასარგებლოა უარყოს თავისი სავალუტო სუვერენიტეტი საერთო ერთიანი ვალუტის სასარგებლოდ.

აღნიშნული პრობლემებისადმი მანდელის მიდგომებზე გავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ 50-იან წლებში მის სამშობლოში

ნველყოფილი იქნეს სრული დასაქმება იმ შემთხვევაში, თუკი ერთ-ერთი რეგიონი შეეჯახება "არასიმეტრიულ" დარღვევას, სხვა სიტყვებით, განიცდის ეკონომიკურ კრიზისს.

მცურავი სავალუტო კურსების არსებობა და კაპიტალის მაღალი დონის მობილურობა ახასიათებს დღეს მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების ეკონომიკებს. მაგრამ 60-იანი წლების დასაწყისში ამ საკითხების დაყენება საკმაოდ კურიოზულად გამოიყურებოდა. მანდელის მეცნიერული შორსმჭვრეტელობა იმაში გამოიხატა, რომ ამ ერთეულ მაგალითებზე მან შეძლო დანახა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციები. მანდელი თანდათან აღრმავებდა თავის კვლევებს იმასთან დაკავშირებით, რაც უფრო იხსნებოდა კაპიტალის საერთაშორისო ბაზრები და რაც უფრო კრახს განიცდიდა ბრეტონ-ვუდის სისტემა.

თავის მეორე სტატიაში "კაპიტალის მობილურობა და სტაბილიზაციური პოლიტიკა ფიქსირებული და მცურავი სავალუტო კურსის პირობებში", რომელიც "კანადის ეკონომიკურ ჟურნალში" გამოქვეყნდა 1963 წელს, მანდელმა ანალიზი გაუკეთა ფულად-საკრედიტო და ფისკალურ პოლიტიკას გახსნილი ეკონომიკის პირობებში. მიუხედავად ამ ანალიზის გარეგანი უბრალოებისა, მანდელის მსჯელობები შეიცავდა მრავალ მნიშვნელოვან, ნათლად ფორმულირებულ პრაქტიკულ დასკვნებს.

აიღო რა საფუძვლად ცნობილი დიაგრამა IS-LM (დანახოგები საინვესტიციო ფულადი ბაზრისათვის) ჩაკეტილი ბაზრისათვის, რომელიც თავდაპირველად ჯონ ჰიკის მიერ იყო შემუშავებული, მანდელმა მასში შეიყვანა საგარეო ვაჭრობა და კაპიტალის მობილურობა. ამან მას საშუალება მისცა ეჩვენებინა სტაბილიზაციის პოლიტიკის შედეგები და მოკიდებულება მსოფლიო ბაზრებზე კაპიტალის მობილურობის დონეზე და ასევე სავალუტო კურსების რეჟიმზე. კერძოდ, მანდელმა შეიმუშავა მოდელი ლია ეკონომიკისათვის, რომელმაც შემდეგი კანონზომიერება უჩვენა: ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის ეფექტი საბოლოო ჯამში დამოკიდებულია სავალუტო კურსების რეჟიმზე. კაპიტალის აბსოლუტური მობილურობის დროს მოდელმა უჩვენა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არაეფექტურობა ვალუტის ფიქსირებული კურსის პირობებში და ბიუჯეტური პოლიტიკის არაეფექტურობა მოქნილი სავალუტო კურსის პირობებში. ზუსტად ამავ პერიოდში, ანუ 60-იანი წლების დასაწყისში, სტაბილიზაციური პოლიტიკის ეფექტურობის პირობების ანალიზური კვლევები წამოიწყო - მანდელისაგან დამოუკიდებლად, 1976 წელს გარდაცვლილმა მარკუს ფლემინგმა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევითი გა-

ნყოფილების გამგე იყო. იგი უკვე მუშაობდა ამ განყოფილებაში, როდესაც მანდელი აქ სამუშაოდ მოვიდა. ამ მკვლევარების მიერ დამოუკიდებლად დამუშავებული სტაბილიზაციური პოლიტიკის მოდელი მათ სახელს ატარებს, თუმცა, სპეციალისტების შეფასებით, მანდელის წვლილი გაცილებით მეტია მასში და უფრო პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს. მისი ანალიზი გაცილებით ღრმაცაა და დიპაზონიც ფართო. ამასთან იგი გაცილებით დამაჯერებელიცაა. მანდელი-ფლემინგის მოდელი დღეს მაკროეკონომიკის ყველა სახელმძღვანელოშია შეტანილი.

მანდელმა დიდი წვლილი შეიტანა მაკროეკონომიკური თეორიის სხვა განყოფილების დამუშავებაშიც. კერძოდ, მან უჩვენა, რომ ინფლაციის მაღალ ტემპებს შეუძლია ინვესტორები აიძულონ შეამცირონ სალაროს სალდო ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების სასარგებლოდ. აქედან მეცნიერი იმ დასკვნას აკეთებდა, რომ მხოლოდ ინფლაციური მოლოდინსაც კი შეუძლია დადებითი ეკონომიკური ეფექტი მოგვცეს, რადგან იგი ასტიმულირებს ინვესტორს, ასე იმოქმედოს. ამ დასკვნამ "მანდელი-ტობინის ეფექტის" სახელწოდება მიიღო, რამდენადაც ტობინმაც უჩვენა, რომ ეკონომიკური აქტიურობის ზრდით გამოწვეული უპირატესობანი, თუნდაც ეს უკანასკნელი ინფლაციის მაღალი ტემპებით იყოს გამოწვეული, აღემატება ინფლაციით გამოწვეულ დანაკარგებს.

მანდელი წარმოადგენს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის, გაეროს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევროკომისიის, და ასევე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მთავრობათა მრჩეველს; 1972-73 წლებში იგი შედიოდა იმ ექსპერტთა ჯგუფში, რომლებიც ევროპაში ეკონომიკურსა და სავალუტო კავშირის მომზადებაზე მუშაობდნენ. იგი მონაწილეობას იღებდა ასევე საერთაშორისო სავალუტო რეფორმების (1964-1978 წ.წ.) მუდმივ მოქმედი სამეცნიერო ჯგუფების მუშაობაში. მანდელი თავმჯდომარეობს საერთაშორისო სავალუტო რეფორმების რეგულარულ კონფერენციას, რომელიც სანტ-კოლომბოში ტარდება. იგი მრავალი ამერიკული უნივერსიტეტის (პრინსტონის, კემბრიჯის, ჩიკაგოს, პენსილვანიის) პროფესორია. მანდელი საპატიო დოქტორია ასევე საზღვარგარეთის მრავალი უნივერსიტეტისა (პარიზის, პეკინის და ა.შ.).

ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში მანდელი გახდა 1999 წელს. თემა, რომლის გამოც მას აღნიშნული პრემია მიენიჭა, შემდეგნაირად იყო დასათაურებული: "ფულად-საკრედიტო და ბიუჯეტური (ფისკალური) პოლიტიკის ანალიზისათვის სხვადასხვა რეჟიმის სავალუტო კურსების პირობებში და ასევე ოპტიმალური სავალუტო ზონის ანალიზისათვის".

თარგმნა  
ამბროსი გრიშკაშვილი



# საუკუნეანახევარი ამერიკელის სამსახურში

“დაბეჭდვის ღირსი ყველა ახალი ამბავი”

152 წლის წინ, 1851 წლის 18 სექტემბერს, ნიუ-იორკში გამოვიდა ახალი ქალაქური გაზეთის პირველი ნომერი, რომელსაც *The New York Daily Times* ერქვა. ექვსი წლის შემდეგ მან სახელწოდება შეიცვალა და *The New York Times*-ი დაერქვა. *The New York Times*-ის გამომცემლებმა ჯოუნსმა და რეიმონდმა მიზნად დაისახეს სრულიად ახალი ტიპის გაზეთის გამოშვება, რომელიც ობიექტური ინფორმაციის გავრცელებაზე იქნებოდა ორიენტირებული. ეს იყო ახალი სიტყვა ამერიკულ ჟურნალისტიკაში, რომელიც იმ დროისათვის ყველაზე პრესის ბუმბუა მოიცავდა. ჯოუნსმა და რეიმონდმა წარმატებით ამოიცივეს დროისა და მკითხველის მოთხოვნა, ძალიან მალე “ნიუ-იორკ თაიმსი” ამერიკული ჟურნალისტიკის ფლაგმანად გადაიქცა.

## სოფო კინტრაძე

1851 წელს ჯორჯ ჯოუნსისა და ჰენრი რეიმონდის მიერ გამოცემული გაზეთი, ნიუ-იორკის პერიოდულ გამოცემებს შორის რიგით მერვე იყო, რომლის სახელწოდებამაც სიტყვა Times-ი ერიბა. თუმცა, ვერც ერთმა მათგანმა ერთ წელზე მეტ ხანს ვერ გაძლო, ისინი რამდენიმე თვეში იხურებოდნენ. მხოლოდ “ნიუ-იორკ თაიმსი” აღმოჩნდა ასეთი დღეგრძელი.

პირველი ნომრის ტირაჟი ჯოუნსმა და რეიმონდმა მანჰეტენის სავაჭრო ცენტრის სხვენში ბუნებრივი აირის ფარნის შუქზე დაბეჭდეს. გაზეთი ერთ ცენტად იყიდებოდა, განსხვავებით მისი კონკურენტების *The Herald*-ისა და *The Tribune*-ისაგან, რომლებიც ორი ცენტრი ღირდა. ორივე ეს გაზეთი მონდომებით აღეგნებდა თვალყურს “ნიუ-იორკ თაიმსის” პირველ ნაბიჯებს.

როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, გაზეთის მთავარმა რედაქტორმა რეიმონდმა მხარი ჩრდილოელებს დაუჭირა, მათ მხარდამჭერ ნერილებს იგი გაზეთის პირველ გვერდებზე ათავსებდა. ამ დროს ნიუ-იორკში სახალხო გამოსვლები დაიწყო ახალი კანონის წინააღმდეგ, რომელიც ენკოლნის არმიის საყოველთაო განწვევას ითვალისწინებდა. რედაქტორმა მიიღო სარისკო გადაწყვეტილება და სამხედროებს ნება დართო თავიანთი გასამარებელი პუნქტი რედაქციის შენობაში განეთავსებინათ. რედაქციის ოფისის ფანჯრებიდან თოფის ლულები მოჩანდა, ხოლო შუშები დემონსტრანტებმა ჩაღვნიეს. მიუხედავად ამისა, რისკმა გამართლა. ჩრდილოელებმა გაიმარჯვეს და არ დაივიწყეს გაზეთი, რომელმაც მათ კრიტიკულ მომენტში მხარი დაუჭირა.

ექვსი წლის შემდეგ, 1871 წლის ივლისში გაზეთს ოქროს ხანა დაუდგა. დაიბეჭდა სერია სტატიებისა, სადაც მოთხრობილი იყო ნიუ-იორკის პოლიტიკოსთა მალაქა წრეებში გამეფებული კორუფციის შესახებ. მთავარი დარტყმა დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების ლიდერებზე მოდიოდა, რომელთაც სათავეში უილიამ ტვიდი, ზედმეტსახელად ბოსი, ედგათ. ჟურნალისტიკმა გამოაშკარავეს ტვიდის მონაწილეობის ფაქტები გავლენიანი პირების მოსყიდვაში, მკვლევარებში, საბიუჯეტო თანხების მითვისებაში და ა.შ. ბოლოს და ბოლოს, პოლიტიკოსი დაიჭირეს და მან ციხეში დაასრულა სიცოცხლე. სამაგიეროდ მსხვილი სკანდალი შედგა და გაზეთის ტირაჟიც საგრძობლად გაიზარდა.

თუმცა, დიდება წარმავალია, მალე გაზეთს შავი დღეები დაუდგა. იგი კატასტროფულად კარგავდა მკითხველს, მას გაექცნენ რეკლამის დაბეჭდვებიც, ნახევრად-

რემინალი პოლიტიკოსები კი ღიად ემუქრებოდნენ “ნიუ-იორკ თაიმსის” ჟურნალისტიკას. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გაზეთი გაკოტრების პირას იდგა. ამას გარდა, ყველაზე პრესის ლიდერები - უილიამ რენდოლფ ჰერსტის *New York Journal*-ი და ჯოზეფ პულიტცერის *New York World*-ი “ნიუ-იორკ თაიმსს” სერიოზულ კონკურენტობას უწვედნენ.

მაგრამ გაზეთს დახურვა არ ენერა, “ნიუ-იორკ თაიმსი” 38 წლის ბიზნესმენმა და გამომცემელმა ჩატაუნდინად ადოლფ საიმონ ოქსმა იხსნა. საგამომცემლო ბიზნესით ოქსი ჯერ კიდევ 20 წლის ასაკში დაინტერესდა, მან 250 დოლარად პროვინციური გაზეთის აქციების ნახევარი შეისყიდა, ამ გაზეთსაც *The Times*-ი ერქვა. ოქსმა წარმატებით გაართვა თავი ამ საქმეს, ამიტომ როცა გაიგო, რომ “ნიუ-იორკ თაიმსი” მძიმე დღეში იყო, გადაწყვიტა ამ გაზეთში 75 ათასი დოლარი დაეხარებინა. 1896 წლის აგვისტოში, იგი ნიუ-იორკში გადავიდა სამუშაოდ. გაზეთში მას ძალიან მძიმე სიტუაცია დახვდა. ოქსი არ შეუშინდა სიძნელებებს და ენერგიულად შეუდგა წესრიგის დამყარებას.

## სახლი, რომელიც ოქსმა ააშენა

1896 წლის სექტემბერში უკვე გამოვიდა პირველი ნომერი კვირის დამატებისა - *The Sunday Magazine*. ერთი თვის შემდეგ კი შაბათის დამატებები - ლიტერატურულ-მხატვრული - *The Saturday Review of Books and Art*, რომელმაც 1911 წელს შეიცვალა სახელწოდება და *The New York Times Book Review* გახდა. დროთა განმავლობაში “ნიუ-იორკ თაიმს ბუქ რევიუ” ამერიკელების ლიტერატურული გემოვნების ფორმირებაში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პერიოდულ გამოცემად გადაიქცა. მისი ბუსტსელერების სიაში მოხვედრა, რაც 1942 წლიდან რეგულარულად იბეჭდებოდა, ნებისმიერი ამერიკელი მწერლის ოცნებაა.

გარდა ამისა, ოქსმა პირველად შემოიღო ყოველდღიურ გაზეთში ფინანსური ახალი ამბების მუდმივი გაშუქება. და ბოლოს, იმავე წლის ოქტომბრით თარიღდება ოქსის მიერ მოფიქრებული დევიზი, რომელიც დღემდე გამოხატავს გაზეთის არსსა და საგამომცემლო კრედოს: **“ყველა ახალი ამბავი, რომელიც დასაბეჭდად გამოდგება.”** (All the news that's fit to print).

ერთმა ასეთმა ახალმა ამბავმა შორეული პორტ-არტურიდან, არა მარტო გაზეთის, არამედ ჟურნალისტიკის ისტორიაშიაც დატოვა თავისი კვალი. 1904 წლის 14 აპრილს “ნიუ-იორკ თაიმსის” კორესპონდენტმა რადიოს საშუალებით პირველად გადმოცა რედაქციას რეპორტაჟი წყნარ ოკეანეში რუსულ საზღვაო-სამხედრო ბაზაზე იაპონიის თავდასხმის შესახებ.



ტაიმს ტაუერი

1905 წლის 1 იანვარს რედაქცია Long Acre Square-ზე ახალ შენობაში გადავიდა, მოგვიანებით მას Times Square ეწოდა, ხოლო შენობას, რომელიც ბროდვეისა და მეშვიდე ავენიუსს გადაკვეთავს მდებარეობდა Times Building-ი, შემდეგ კი Times Tower-ი. 1913 წლამდე ყველა ძირითადი გაზეთი ამ შენობაში იყო განთავსებული. დღეს ამ შენობის ფოტოები ამშვენებს მილიონობით ალბომს, მისალოც ბარათს, Times Tower-ი ბროდვეის სავიზიტო ბარათი და მილიონობით ტურისტის საყვარელი ადგილია. განსაკუთრებით ბევრი ადამიანი გროვდება აქ საახალწლო დამეს, როცა შენობის თავზე საზეიმოდ ეშვება ბრჭყვიალა ბურთი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს გასულ წელს.

მეოცე საუკუნის დასაწყისში “ნიუ-იორკ თაიმსი” იყო ერთ-ერთი იმ 14 ინგლისურენოვანი გაზეთთაგანი, რომელიც ნიუ-იორკში გამოდიოდა. თავიდან ეს იყო ქალაქური გამოცემა, რომელიც რეგიონულ გაზეთად მოგვიანებით გადაიქცა. ოქსის დროს “ნიუ-იორკ თაიმსი” კორპორაციები მთელს ამერიკაში და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიხსნა.

სწორედ ოქსის დროს შეიძინა გაზეთმა ინფორმაციის სერიოზული გამავრცელებელი ბეჭდვითი ორგანოს სახელი, რითაც იგი ამერიკის მონივრე გაზეთთა რიგებში მოხვდა. **“თუ რომელიმე გაზეთში დაიბეჭდა სტატია სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულზე, - ამბობდა ადოლფ საიმონ ოქსი, - მაშინ ეს, როგორც წესი, საშინელი სიბინძურეა. მაგრამ “ნიუ-იორკ თაიმსი” იგივე საბაბი სოციოლოგიური გამოკვლევის თემა გახდება.”**

ოქსის ბიზნესი მისმა სიძემ არტურ ჰეის სულცებერგერმა გააგრძელა. ოქსი 1935 წელს გარდაიცვალა. სულცებერგერი გაზეთში 1918

წელს მოვიდა და მალე რედაქტორის მარჯვენა ხელი გახდა. ხოლო როცა უშუალოდ ჩაუდგა სათავეში “ნიუ-იორკ თაიმსს”, შეეცადა კიდევ უფრო განემტკიცებინა მისი, როგორც სოლიდური და ობიექტური გაზეთის რეპუტაცია. “ნიუ-იორკ თაიმსის” ჟურნალისტიკისათვის მათი ხელმძღვანელის აფორიზმები სახელმძღვანელო პრინციპი გახდა: **“სოლიდურ გაზეთს სოლიდური მკითხველი უნდა ჰყავდეს.”** ეს მართალია ძალიან კარგად აღწერდა, მაგრამ არც თუ ისე იოლი შესასრულებელი იყო.

## ომს თავისი კანონები აქვს

დროთა განმავლობაში ოქსის გაზეთი, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა ნამყვან საერთაშორეო მასობრივი ინფორმაციის საშუალებაზე (ფორმალურად იგი ასეთად 1980 წლის აგვისტოში გახდა), სინამდვილეში ყოველთვის რჩებოდა ოჯახურ ბიზნესად. და როგორც ხშირად ხდება ხოლმე ავტორიტეტული ოჯახის უფროსები ზოგჯერ იმგვარ სიჯიუტეს იჩენენ, რაც არანაირად არ მოდის შესაბამისობაში გაზეთის მიერ აღებულ გეზთან - ობიექტურობასთან და ხედვის მრავალფეროვნებასთან. განსაკუთრებით ნათლად ეს ცივი ომის პერიოდში მჟღავნდებოდა. მაგალითად, რუსეთში რევოლუციის გამარჯვების პირველივე თვეებში, “ნიუ-იორკ თაიმსში” არაერთხელ დაიბეჭდა ინფორმაცია ლენინისა და ტროცკის დაღუპვის და დაპატიმრების შესახებ, ხოლო ბოლშევიკების მთავრობა ლამის 90-ჯერ გამოაცხადეს დაღუპულად. მოკლედ, გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა არა ის, რაც სინამდვილეს შეესაბამებოდა, არამედ ის, რისი ნაკითხვაც მფლობელებს სურდათ.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა რუსეთში “ნიუ-იორკ თაიმსის” პირ-

ველი კორესპონდენტის უოლტერ დიურანტის რეპორტაჟებში იშვიათი სიზუსტის შეფასებებიც გვხვდებოდა. დიურანტიმ დასაველეთის ჟურნალისტიკიდან ერთ-ერთმა პირველთაგანმა განჭვრიტა ბოლშევიკური სისტემის ნამდვილი სახე: **“ეს არის მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დაწყვეტილი ტირანია, საშინელი ერთიანობა ძალადობის, ტერორისა და შპიონაჟისა, შეუბრალებელი როგორც ჩანაფიქრში, ისე შესრულებაში.”** - ნერდა იგი 1920 13 იანვრის პუბლიკაციაში. უკვე 1922 წელს მან ყურადღება გაამახვილა დასაველეთში თითქმის უცნობ პიროვნებაზე სტალინზე, თუმცა საკმაოდ თავისებურად - **“ბატონი სტალინი, ეროვნებით თურქი ქართველი ბოლშევიკი, საკმაოდ ძლიერი პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებს.”**

ყველაზე აშკარა მიკერძოებას “ნიუ-იორკ თაიმსის” მხრიდან ცივი ომის ათწლეულში ჰქონდა ადგილი, როდესაც გაზეთის რადიკალიზმი აშკარად თვალნათელი ხდებოდა მისი კონკურენტის “ვაშინგტონ პოსტის” გაცილებით თავშეკავებულ პოზიციასთან შედარებით. ასე რომ, 1945 წელს, “ნიუ-იორკ თაიმსის” სამეცნიერო რედაქტორი უილიამ ლოურენსი იყო ერთადერთი ამერიკელი ჟურნალისტი, ამერიკის მთავრობის მიერ იმ თვითმფრინავში დაშვებული, რომელმაც ნაგასაკი დაბომბა. ლოურენსმა ეს მოვლენა ალტაცებული ტონით გადმოსცა. მის რეპორტაჟში უკვე ჩანდა ერთგვარი სიამაყე სამშობლოთი, რომელიც აიმიერდნენ მთელს მსოფლიოს უკარნახებდა თავის ნებას.

ცოტა მოგვიანებით, მაკარტის პრეზიდენტობის დროს, როცა კუდიანებზე ნადირობა გამოცხადდა, რედაქციამ სამსახურიდან დაითხოვა რამდენიმე თანამშრომელი, რომლებმაც უარი თქვეს დაესმინათ თავიანთი კოლეგები სენატის კომისიის წინაშე ანტიამერიკულ საქმიანობაში. სარედაქციო სტატიაში, რომელიც თავად სულცებერგერმა დაწერა, კონსტიტუციას ბოროტად ამოფარებული “საეჭო ელემენტები”, სამარცხვინო ბოძზე იყვნენ გაკრული. ასე გრძელდებოდა 1980-იან წლებამდე. ცივი ომის ერთ-ერთი ბოლო ეპიზოდი, რომელშიც “ნიუ-იორკ თაიმსის” პოზიციას ობიექტურს ვერ უწოდებ, გახდა ინციდენტი საბჭოთა მზვერავების მიერ ჩამოგდებულ კორეულ “ბონგზე”. ამ თემას მხოლოდ 1983 წლის სექტემბერში ნიუ-იორკ თაიმსმა 147 სტატია მიუძღვნა, რომელთა მიმართულება და ტონი თითქმის არ იცვლებოდა. ანალოგიური შემთხვევა მოხდა 1988 წელს, როცა ამერიკელებმა ირანული სამგზავრო ავიალაინერი ჩამოაგდეს, გაზეთმა ამ შემთხვევის გაშუქებას მხოლოდ მშრალი ინფორმაცია მიუძღვნა “ტრაგიკულ ინციდენტზე”.

ხუთი წლის წინ გაზეთში დაიბეჭდა სარედაქციო სტატია, რომელშიც რედაქტორმა ფაქტობრივად აღიარა, რომ სამხრეთ კორეულ “ბონგის” შემთხვევაში აშკარა სუბიექტურობას ჰქონდა ადგილი. მაგრამ მოახლოვდა 1988 წელი და ცივი ომიც დასასრულს მიუახლოვდა. სხვათა შორის, ერთ-ერთი ბოლო წერილი ამ ომს მთავარმა რედაქტორმა მაქს ფრენკელმა დაუსვა. ფრენკელს ეკუთვნის ცნობილი გამოთქვები: **“გაიმარჯვა იაპონიამ”**.



# საუკუნეანახევარი ამერიკელის სამსახურში

მ. ბ. გვარდიძე

## ლავირება აზვირთებულ ზღვაში

ბოლო ორმოცი წლის მანძილზე კამპანია გაუღებები გაზეთის ისტორიაში იმეათია, თუმცა, "ნიუ-იორკ თაიმსი" უკვე მსოფლიოში სახელგანთქმულ, ამერიკული ჟურნალისტიკის ლიდერად ითვლება.

1960 წელს, არტურ ჰეის სულცბერგერს ინფორმაციის მოპოვებასა და მისი მინორიტეტის ოპერატიულობაში. ამავე სახელწოდების კორპორაციას წელიწადში 2,6 მილიარდ დოლარზე მეტი შემოსავალი აქვს. დღეს კორპორაცია "ნიუ-იორკ თაიმსს" ამერიკულ მედიაში ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია უჭირავს. გარდა გაზეთ "ნიუ-იორკ თაიმსისა", კორპორაცია კიდევ ერთ საერთო ეროვნულ გაზეთს The Boston Globe-ს გამოსცემს, ასევე 21 რეგიონალურ გაზეთს (ექვს შტატში) და რამდენიმე ჟურნალს. კორპორაცია ფლობს რვა ტელევიზიას და ორ რადიოსადგურს, აქვს წილები ორ მსხვილ სტამბაში და აქციების ნახევარი გაზეთს The International Herald Tribune-ისა, რომლის მეორე ნახევარი "ვაშინგტონ პოსტს" ეკუთვნის. ამას გარდა, კორპორაცია "ნიუ-იორკ თაიმსი" ავრცელებს ლიცენზირებულ ბეჭდვით და ფოტო ინფორმაციას 650 ამერიკულ გამოცემაში და მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში.



ჰენრი რეიმონდი, "ნიუ-იორკ თაიმსი"-ს დამაარსებელი

სულცბერგერ-მეორემ რეკორდული რაოდენობის ახალი ამბების სამსახური შექმნა, შეიძინა რამდენიმე ტელეკომპანია, რადიოსადგური, ჟურნალი, გაზეთი და გამოცემლობა. ინვესტიციები განახორციელა ქალაქის ბიზნესში, ერთი სიტყვით, ოჯახური ბიზნესი საზოგადოებრივ კომპანიადა აქცია, თუმცა, კორპორაციის საკონტროლო პაკეტი თავად შეინარჩუნა.

ახალი ხელმძღვანელის დროს გაზეთმა რამდენიმე განხორციელებული და პრინციპული სასამართლო პროცესი მოიგო, რომელთა გავლენა მნიშვნელოვანია მთელს ამერიკულ პრესაზე.

1964 წლის მარტში აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ "ნიუ-იორკ თაიმსის" მხარე დაიჭირა მთელს ამერიკაში ცნობილ საქმეში დიფამაციის შესახებ, ("ნიუ-იორკ თაიმსი" სალივანის წინააღმდეგ), რითაც ჟურნალისტებს მწვანე შუქი აუნთეს პოლიტიკოსების წინააღმდეგ კომპრომატების გამოქვეყნებაში. ახალი წესების თანახმად მტკიცების ტვირთი ჟურნალისტების ნაცვლად, პოლიტიკოსებზე გადავიდა.

ექვსი წლის შემდეგ კი გაზეთმა დაიწყო პენტაგონის საიდუმლო მასალების ბეჭდვა, რომელიც ვიეტნამის ომის პერიოდში პრეზიდენტ ნიქსონის ადმინისტრაციის არაკანონიერ ქმედებებს ეხებოდა. ეს მასალები ისტორიაში შევიდა, როგორც პენტაგონის ფურცლები

(Pentagon Papers). თეთრი სახლიდან გაზეთმა მკაცრი ბრძანება მიიღო, რომ მასალების ბეჭდვა შეწყვეტილიყო. საქმე კვლავ სასამართლომდე მივიდა. უზენაესმა სასამართლომ ამჯერადაც გაზეთის მხარე დაიჭირა და გაზეთს მასალების გამოქვეყნების ნება დართო. სტატიების ამ სერიის გამო "ნიუ-იორკ თაიმსმა" პულიტცერის მორიგი პრემია მიიღო (სულ გაზეთს პულიტცერის 74 პრემია აქვს, უფრო მეტი ვიდრე ნებისმიერ სხვა ამერიკულ გამოცემას) და რა თქმა უნდა, უმაღლეს ხელისუფლებაში უამრავი მტერიც გაიჩინა.

ამ მოვლენებს გაზეთის ისტორიაში ყველაზე დიდი ჩავარდნა მოჰყვა. ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, არ გაერთილებინა ურთიერთობა თეთრ სახლთან და 1972 წელს, როცა უკვე უოტერგეიტის ინციდენტი განხორციელდა, სულცბერგერის გაზეთმა ხელისუფალთა ზენოლას ველარ გაუძლო და გადაწყვიტა აღარ გაექცა სარისკო თე-

მა. განსხვავებით თავისი კონკურენტისაგან, "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტები, რომლებიც თავიანთი ლეგენდარული რედაქტორის კეტრინ გრემის მხარდაჭერას გრძობდნენ, არ შეშინდნენ და მასალების მოძიება გააგრძელეს. საბოლოოდ ეს მოვლენები უოტერგეიტის სკანდალით დასრულდა და პრეზიდენტი ნიქსონი თანამდებობიდან გადადგა.

მიუხედავად ამგვარი უსიამოვნებებისა, არტურ ოქს სულცბერგერმა 1990-იანი წლების დასაწყისში შეძლო გაზეთისათვის შეენარჩუნებინა აშშ-ს წამყვანი გაზეთის სტატუსი. დღეისათვის, ნიუ-იორკ თაიმსს, რომლის ტირაჟი მხოლოდ USA Today-ს და Wall Street Journal-ის ტირაჟებს ჩამოუვარდება, კითხულობენ პოლიტიკოსებისა და ბიზნესმენების უმეტესობა, არა მარტო აშშ-ში, არამედ მთელს მსოფლიოში. ცხადია, ყველა გაზეთს ჰგონია, რომ ის საუკეთესოა, მაგრამ "ნიუ-იორკ თაიმს"

ნამდვილად ცოტა თუ შეეჯობრება ინფორმაციის მოპოვებასა და მისი მინორიტეტის ოპერატიულობაში.

ამავე სახელწოდების კორპორაციას წელიწადში 2,6 მილიარდ დოლარზე მეტი შემოსავალი აქვს. დღეს კორპორაცია "ნიუ-იორკ თაიმსს" ამერიკულ მედიაში ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია უჭირავს. გარდა გაზეთ "ნიუ-იორკ თაიმსისა", კორპორაცია კიდევ ერთ საერთო ეროვნულ გაზეთს The Boston Globe-ს გამოსცემს, ასევე 21 რეგიონალურ გაზეთს (ექვს შტატში) და რამდენიმე ჟურნალს. კორპორაცია ფლობს რვა ტელევიზიას და ორ რადიოსადგურს, აქვს წილები ორ მსხვილ სტამბაში და აქციების ნახევარი გაზეთს The International Herald Tribune-ისა, რომლის მეორე ნახევარი "ვაშინგტონ პოსტს" ეკუთვნის. ამას გარდა, კორპორაცია "ნიუ-იორკ თაიმსი" ავრცელებს ლიცენზირებულ ბეჭდვით და ფოტო ინფორმაციას 650 ამერიკულ გამოცემაში და მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში.

## დროს არ ირჩევენ

მიუხედავად იმისა, რომ ფერადი ფოტოები 1993 წლიდან იბეჭდებოდა გაზეთის კვირის დამატებებში, 1997 წლის 16 ოქტომბრიდან "ნიუ-იორკ თაიმსის" პირველი გვერდი პირველად დაიბეჭდა ფერადი. მკითხველები საბოლოოდ გამოემშვიდობნენ "ქალბატონს ნაცრისფერებში". ეს დღე გაზეთის ჟურნალისტებისათვის სხვა მიზეზების გამოც აღმოჩნდა გამორჩეული. კორპორაციის ხელმძღვანელმა თანამდებობა დატოვა და იგი თავის შვილს, 46 წლის არტურ სულცბერგერ-უმცროსს გადაულოცა.

ახალი გამომცემლის პირველ ნაბიჯებიდან აღსანიშნავია მცდელობები, რომ გაზეთი კვლავ იმ მკითხველისათვის დაებრუნებინა, ვისთვისაც იგი შეიქმნა - ანუ ნიუ-იორკელებისათვის. "ეს ჩვენი საფუძველია, სწორედ ამ ქალაქში იბადებოდა ის ენერჯია, რომელიც ჩვენი დროის მანქანის ძრავას ამუშავებდა. რა თქმა უნდა, ჩვენ ვთამაშობთ განსაზღვრულ როლს საერთო ეროვნული მასშტაბით, თუმცა, პირველ რიგში, ჩვენ ვართ ქალაქ ნიუ-იორკის გაზე-

თი, სადაც, სხვათა შორის, იმყოფებიან ჩვენი რეკლამის დამკვეთების უმეტესობა. ნიუ-იორკი არის ადგილი, საიდანაც ჩვენ მთელს მსოფლიოს გადაცემით ინფორმაციას." (სიტყვების თამაში - ინგლისურად time machine ნიშნავს დროის მანქანას, Times machine - გაზეთ თაიმსის ძრავა.) სულცბერგერმა შეიღმა ეს სიტყვები ნარმოთქვა კაბინეტში, სულცბერგერ მამასთან ერთად, ხოლო კედლიდან მათ ადოლფ ოქსის პორტრეტი უმზერდათ.

მოკლედ, მამამ შვილს დაუტოვა არა მარტო მართვის საჭე, არამედ უამრავი პრობლემაც. მათ შორის, მთავარი - ტირაჟის კლები ტენდენცია. მარკეტინგულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მნიშვნელოვანი პროცენტი ახალგაზრდა (20 წლის ასაკის) ამერიკელებისა საერთოდ არ კითხულობენ გაზეთებს. ომის შემდგომი დემოგრაფიული ბუმის შვილები კი იმ ასაკში იმყოფებიან, როცა ოჯახებს ქმნიან, სახლებს ყიდულობენ, კარიერას იკეთებენ, ერთი სიტყვით, ხარჯავენ ძალიან ბევრს, თუმცა, არაფერს არ კითხულობენ, მათ შორის, არც გაზეთებს. დღეს, გაზეთის კითხვაში დროის გატარებას, რადიოს ამჯობინებენ, რომელიც ადამიანებს ხელს არ უშლის მანქანა მართონ და ისე მოუსმინონ ახალ ამბებს.

თუმცა, "ნიუ-იორკ თაიმსს" ყოველთვის შეუძლია დაეყრდნოს განათლებულ მკითხველთა გარკვეულ რაოდენობას, რომელიც მუდამ ერთგული რჩება მისი. დღეისათვის, "ნიუ-იორკ თაიმსი" ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი წამყვანი გაზეთია The Washington Post-თან, The Los Angeles Times-თან, The Wall Street Journal-თან ერთად.

ასე რომ, არტურ სულცბერგერი უმცროსი ოპტიმიზმითაა აღსავსე: "ერთი მეოთხედი საუკუნის შემდეგ ადამიანებს კვლავაც დასჭირდებათ ხარისხიანი ინფორმაცია, და სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ჩვენს ადგილს მსოფლიო ბაზარზე. თუ მივიღებთ მხედველობაში, როგორ აღიქვამს ადამიანის ტვინი ინფორმაციას, შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ "ნიუ-იორკ თაიმსი" მუდამ იარსებებს."

# პოლონეთი და გარდაქმნა

მ. ბ. გვარდიძე

გამოყოფის სფეროში. ახლა ისინი უკვე უმთავრესად იმ მისამართით მიემართება, სადაც გაცილებით მეტია მათზე მოთხოვნილება.

## ცვლილებები "რეალურ" ეკონომიკაში

მაკროეკონომიკურმა სტაბილიზაციამა და ტრანსფორმაციამ "რეალური" ეკონომიკის სტრუქტურასა და დინამიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია:

1. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, რაც მოხდა ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში წარმოების ღრმა რესტრუქტურის შედეგად, იყო ის, რომ შემცირდა მრეწველობის ხვედრითი წილი მშპ-ს 53 პროცენტიდან 47 პროცენტამდე. სამაგიეროდ, ამავე პერიოდში გაიზარდა მომსახურების ხვედრითი წილი - 1991 წლის მშპ-ს 38,4 პროცენტიდან 46 პროცენტამდე. აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა სატელეფონო მომსახურების ღირებულება და ხარისხი. კერძოდ, თუ 1985 წელს ქვეყანაში სატელეფონო მომსახურების აბონენტთა რიცხოვნობა შეადგენდა 168 ათასს, 1993 წლისათვის მათმა რაოდენობამ 477 ათასს მიაღწია.

2. რესტრუქტურისაცია ტექნიკური პროცესისა და ეფექტურობის ზრდის ფართო პროცესის გარკვეულ ფრაგმენტს წარმოადგენს. ამაზე მრავალი ტენდენცია ახდენს გავლენას:

- სწრაფად დაეცა წარმოების ტრანსპორტმეცველობა. კერძოდ, გადაზიდვების მოცულობები 1981 წლის 990 მილიონი ტონიდან რეფორმების შედეგად შემცირდა 561 მლნ ტონამდე, ანუ გაცილებით სწრაფი ტემპებით, ვიდრე იზრდებოდა ეროვნული შემოსავალი;

- დღე სოფლის მეურნეობაში 1990 წლის ექვსი პროცენტიდან 1993 წელს გაიზარდა 19 პროცენტამდე;

- ეკონომიკის მრავალ დარგში ფართო გავრცელებას ჰპოვა ენერჯი და მასალატეკვადი წარმოების ტექნოლოგიებმა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა მშენებლობაში;

- საინვესტიციო პროექტებში იზრდება ტექნიკის ხვედრითი წილი. სამაგიეროდ მცირდება ახალი მშენებლობების მოცულობები. წარმოების სტრუქტურის ცვლილებამ და მისი ეფექტურობის ამაღლებამ გამოიწვია გარემოს დაბინძურების ტემპების შენელება. პარალელურად მთლიან ინვესტიციებში ამაღლდა მისი დაცვისათვის გამოყოფილი ინვესტიციების ხვედრითი წილი 1990 წლის 3,7

პროცენტიდან 1992 წლის 6,5 პროცენტამდე;

3. ადგილი ჰქონდა საგარეო ვაჭრობის რადიკალურად გაზრდასა და მისი სტრუქტურის შეცვლას. ექსპორტიდან ვალუტის შემოდინება 1989 წლის 8,5 პროცენტიდან 1993 წელს გაიზარდა 15,5 პროცენტამდე. პოლონეთის ეკონომიკა გახდა გაცილებით გახსნილი. იგი მჭიდროდ დაუკავშირდა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს.

4. ქვეყნის ყველა სახის ოჯახურმა მეურნეობებმა გაზარდეს მოხმარების მაჩვენებლები. ეს უმთავრესად გამოწვეული იყო სამომხმარებლო ფასების შედარებითი შემცირებითა და მათზე მოსახლეობის მხრიდან ხელმისაწვდომობის ამაღლებით.

5. ზემოთ აღნიშნული და ზოგიერთი სხვა ღონისძიების განხორციელების შედეგად პო-

ლონეთი გახდა პირველი პოსტ-სოციალისტური ქვეყანა, რომელმაც 1992 წელს დააფიქსირა ეკონომიკური ზრდა, ხოლო 1993 წელს კი იგი მიეკუთვნებოდა ყველაზე მაღალი ტემპებით განვითარებად დასავლეთის ქვეყნებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ოფიციალური სტატისტიკის მიხედვითაც კი, მშპ-ს დაცემა 1990-91 წლებში პოსტსოციალისტურ ქვეყნებს შორის პოლონეთში ყველაზე დაბალი იყო.

ცხადია, ამ ნარმატებებს გარკვეული თანამდევნი უარყოფითი მოვლენებიც ახლდა. მათგან აღსანიშნავია უმუშევრობის მაჩვენებლის გაზრდა. ეს განსაკუთრებით ეხება ქვეყნის იმ რეგიონებს, რომელთაც განსაკუთრებით დიდი კვალი დაამჩნია წარმოების სოციალისტურმა წესმა.

პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიში კაშვილი



# სურნელოვანი და მალფუჭებადი ბიზნესი

ყვავილების აუქციონს, რომელიც ჰოლანდიის პატარა ქალაქ ალსმერში გამთენიისას ექვს საათზე იწყება, დაახლოებით სამი ათასი მუდმივი მუშტარი ჰყავს. აუქციონის ისტორიაში ყველაზე ძვირად ყვავილი 10.000 ჰოლანდიურ გულდენად გაიყიდა, ხოლო ერთ ცენტრი იყო ის მინიმუმი, რომელიც უცხოელმა მყიდველმა ქოთნის მცენარეში გაიძევა. აუქციონზე ყვავილის გასაყიდ ფასს სამი მეტრის რადიუსის მქონე საათი განსაზღვრავს. ციფერბლატზე სწრაფად მოძრავი წითელი ისარი და მსხვილი დანაყოფებია, რაც ევროსა და ცენტის მაჩვენებელია. ყვავილის შექმნის მსურველს სპეციალური პულტები ურიგდებათ, რომლებიც ამ საათზეა მიერთებული. მცენარე გაიყიდება იმ ფასად, რომელსაც აუქციონის მონაწილე ყველაზე ადრე დააფიქსირებს საკუთარ პულტზე. ერთად აღებული 145 საფეხურით სტადიონი კიდევ უფრო პატარაა, ვიდრე ალსმერის ყვავილების აუქციონი. გარდა იმისა, რომ ის მსოფლიოში ერთ-ერთ ლამაზ სანახობად ითვლება, გინესის რეკორდების წიგნში ალსმერის აუქციონი, თავისი მასშტაბების გათვალისწინებით უდიდეს კომერციულ შენობად არის მოხსენიებული. აქ ყოველდღიურად 20 მილიონზე მეტი ყვავილი იყიდება, რომელიც მსოფლიოს ასამდე ქვეყანაში იგზავნება, მათ შორის საქართველოშიც.

## ეთარ მამულაშვილი

ჰოლანდიური ყვავილების მალაზია თბილისში პირველად ზუსტად ექვსი წლის წინათ, კოლმეურნეობის მოედანზე გაიხსნა. პირველ თვეებში მალაზიის მუშაპერსონალს საქმე თავზესაყრელი ჰქონდა, მყიდველთა მომსახურებას ისინი ძლივს აუდიდნენ. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან მილიონიან ქალაქს ერთი ასეთი მალაზია მთლიანად ვერ განვადებდა. ამიტომაც მომდევნო წლებში იმპორტულ ყვავილზე მოთხოვნილებასთან ერთად, გაიზარდა მალაზიებისა და ყვავილების ბიზნესში ჩართული ადამიანების რიცხვი.

მარტო თბილისში დღეს უკვე ორასამდე მალაზია მუშაობს, რომელიც ჰოლანდიიდან შემოტანილი ყვავილები ვაჭრობს, თუმცა მცენარეების უმუშალო იმპორტს ამ ქვეყნიდან მხოლოდ სამი კომპანია აწარმოებს, რომლებიც დანარჩენებს ამარაგებენ. იმპორტიორებს ჰოლანდიიდან ყვავილი თვეში საშუალოდ ოთხჯერ შემოაქვთ. ეს მაჩვენებელი ზამთარში ექვსამდე იზრდება, როცა ბაზარზე ადგილობრივი ყვავილი მთლიანად ქრება.

ზოგიერთ მალაზიაში მომხმარებელს დაახლოებით ასამდე სახეობის იმპორტულ ყვავილს შორის უნევს არჩევანის გაკეთება. ქრიზანთემა, ლილია, ორქიდეა, ეკვადორის ვარდი, ასტრამერია, ბიუტი, რაფაელა, გლადიოლოსი, ალადინი, - ეს ის ყვავილებია, რომელსაც თბილისელი მამაკაცები თავიანთ გულსწორს ყველაზე ხშირად ჩუქნიან.

ყვავილების მალაზიების უმრავლესობა მხოლოდ იმპორტულ ყვავილზე მუშაობს. მათ ადგილობრივ მცენარეზე უარი ერთი უბრალო მიზეზის გამო თქვეს - ქართული ყვავილი საზღვარგარეთი "კოლეგისგან" განსხვავებით ყველაზე ბევრი ხუთი დღე ცოცხლობს, მაშინ როცა ჰოლანდიური ყვავილი თავდაპირველ იერს ორ კვირაზე მეტს ხანს ინარჩუნებს.

დღეს მსოფლიოს საუკეთესო მებაღეები ყვავილის არამარტო ახალი სახეობების გამოყვანაზე ზრუნავენ, არამედ ცდილობენ, არსებულ ჯიშებს სიცოცხლისუნარიანობა კიდევ უფრო გაუზანგრძლივონ.

ყველაზე მოგებიანი სეზონი

მეყვავილეებისთვის ზამთრის თვეებია, როცა ქართული ბაზარი მთლიანად იმპორტული ყვავილით არის გაჯერებული. ჩვეულებრივ, ამ დროს მოთხოვნილების ზრდასთან ერთად, ყვავილის ფასიც ერთიორად ძვირდება. თბილისში ჰოლანდიური ყვავილების მალაზიები, ძირითადად ქალაქის ცენტრალურ და პრესტიჟულ ქუჩებზეა თავმოყრილი, ერთი უბრალო მიზეზის გამო - მიუხედავად მალაზიების სიმრავლისა, მათ უფრო ხშირად ის ფენა და კატეგორია სტუმრობს, ვის ყოველთვიურ ბიუჯეტს, ერთი თაიგულის ღირებულება - საშუალოდ 50 ლარი, დიდად არ აზარალებს.

ჰოლანდიური ყვავილების მალაზიებს საკუთარი მუდმივი კლიენტურაც ჰყავთ, ისინი ძირითადად საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატური კორპუსი, საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფო დაწესებულებები და სასტუმროები არიან. სწორედ მათი წყალობით დგას ფეხზე ეს ბიზნესი. თუმცა მაინც დამაინც მალაზი რენტაბელობით ყვავილების მალაზიები ჯერჯერობით არ გამოირჩევიან. ამის მიზეზად ისევე როგორც ბიზნესმენების უმრავლესობა, ყვავილების მალაზიის მფლობელებიც მოქმედ საგადასახადო კოდექსს ასახელებენ და გადასახადების ლიბერალიზაციას ემხრობიან.

ოფიციალური გადასახადების გარდა, როგორც მალაზიის მესკუთრეები ამბობენ მათ არაოფიციალური ბეგარის გადახდა კვირაში ერთხელ მაინც უწევთ. რაც არ უნდა უცანური იყოს, ყვავილების მალაზიის მფლობელები მათ ვინაობას არ აკონკრეტებენ. გადასახადებიდან ყველაზე მეტად, რაც ამ ბიზნესით დაკავებულ ადამიანებს აწუხებთ, ეს დამატებითი ღირებულების გადასახადია.

იუზა ქურდოვანიძე უკვე ოთხი წელიწადია საკუთარი და რამდენიმე თბილისური მალაზიისთვის, ყვავილებს ალსმერის აუქციონზე ყიდულობს. ზაფხულში მის მალაზიაში ბევრი გაუყიდავი ყვავილი რჩება. ბიზნესმენი ამბობს, რომ დამჭენარი, სანაგვეზე მოსვრილი და გაყიდული ყვავილი დამატებითი ღირებულების გადასახადით ერთიანრად იბეგრება. ამას მოქმედი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს. **"მალაზიის ფართი ჩემი რომ**



ჰოლანდიური ყვავილების იმპორტს მხოლოდ სამი ფირმა ახორციელებს

არ იყოს, თავს დავანებებდი ამ ბიზნესს", - გვითხრა იუზა ქურდოვანიძემ.

კიდევ ერთი პრობლემა, რაც ყვავილების იმპორტიორებს და მათ ბიზნესს სერიოზულ ზიანს აყენებს - საბაჟო და იქ არსებული კორუფციული გარიგებებია. დღეს არსებული ტარიფებით, იმპორტიორი საბაჟოზე ყვავილის ღირებულების 34 პროცენტს ტოვებს, დაახლოებით ამდენივე მეზაჟეთა "პატივისცემაზე" იხარჯება. მალაზიების მფლობელთა განცხადებით, ქართული საბაჟოს გამოვლის შემდეგ შემოტანილი ყვავილის გასაყიდი ფასი თვითღირებულებასთან შედარებით თითქმის 500 პროცენტით იზრდება. მალაზი საგადასახადო ტარიფების გამო, ბევრმა ჰოლანდიიდან ყვავილების იმპორტი სამუდამოდ შეწყვიტა.

**"საბაჟოზე, როგორც კი ხედავენ, რომ ყვავილი მოგაქვს, ფეხს გვაჭერენ და განბაჟებას ერთიორად აძვირებენ. გაჯიუტებას და ყვირილს აზრი არა აქვს. აქეთ-იქით სირბილსა და სიმართლის მტკიცებაში, ყვავილი ჭკნება",** - ამბობს თამუნა ყვანია, რომელმაც ხსენებული მიზეზების გამო ჰოლანდიიდან ყვავილების იმპორტი ორი წლის წინათ შეწყვიტა. დღეს თამუნა თავის პატარა მალაზიას თბილისელი იმპორტიორების წყალობით ამარაგებს.

საგადასახადო კუთხით პრობლემები ბაზარსა და ქუჩაში მდგომ მეყვავილეებსაც ყოველდღიურად აწუხებთ. ახლომხლო სოფლებიდან ყვავილის გასაყიდად ჩამოტანა და საგზაო ინსპექტორებთან "მორიგება", როგორც წესი, მინიმუმ, 10 ლარი ჯდება. ბაზრისა და ქუჩის "დაკავება" კიდევ სხვა ფული ღირს.

მიუხედავად იმისა, რომ ყვავილების მალაზიებს, მათი მფლობელებისთვის დღეს დიდი მოგება არ მოაქვს, ყვავილების ბაზარზე მაინც დიდი კონკურენციაა. მეყვავილეები მუდმივი ექსპერიმენტებისა და სიახლეების ძიებაში არიან. კონკურენციაც ძირითადად ამ სიახლეების მომხმარებლისთვის შეთავაზებაში იკვეთება. ყველაზე უცნაური, იშვიათი და ეგზოტიკური ჯიშის ყვავილი გაუყიდავი ლარნაკში თითქმის არასდროს რჩება. იშვიათი გამოჩენისის გარდა წარუმატებელი ექსპერიმენტიც ქართველ მეყვავილეებს არ ახსენდებათ.

ყვავილების მალაზიები ერთმანეთს თაიგულების გაფორმებაშიც ეჯიბრებიან. მალაზიის მფლობელები ხშირად თანამშრომლად პროფესიონალ დიზაინერებს იწვევენ, ან მუშა-მოსამსახურეებს სპეციალურ კურსებზე სასწავლებლად უცხოეთში აგზავნიან.

ყვავილების მალაზიებში მომსახურების არეალიც დღითიდღე ფართოვდება. წინასწარი შეკვეთების მიღება, თაიგულის სახლში გაგზავნა, მცენარის მოვლის უფასო კონსულტაციები, (ამისთვის რამდენიმე მალაზიას ბიოლოგებიც კი ყავს მონვეული) ინტერიერის და ექსტერიერის გაფორმება და სხვა. ჩვენთან სერვისის ეს უკანასკნელი სახეობა სულ ახლახან შემოვიდა. შესაბამისად დამკვეთთა რაოდენობა არც თუ ძალიან ბევრია. თუმცა ეზოსა და ოთახების გამწვანების მსურველთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია უკვე შეიმჩნევა.



ყვავილების ბიზნესი ბევრს ქუჩის რომელიმე კუთხეში ან პირდაპირ ტროტუარზე აქვს აწყობილი. თუმცა აქ მყიდველს მინც-დამაინც დიდ არჩევანი არ აქვს, სამაგიეროდ ქუჩაში ნაყიდი ყვავილი მის საფულეს დიდ ეკონომიას უწევს. ყვავილების ამ ბაზარზე ტყისა და მინდვრის ყვავილი, ქართული ვარდი, ტიტა და მიხაკი ჭარბობს, ამას გარდა ქუჩაში იშვიათად, მაგრამ მაინც შეხვდებით ახლომხლო სოფლებიდან შემოტანილ ჰოლანდიურ, თურქული და ირანული ჯიშის ყვავილებს. ქუჩა დეზერტირების ბაზრით მარაგდება.

დეზერტირების ბაზრის აღმოსავლეთ ფლიგელი ალიონზე ყვავილების პატარა კუნძულს წააგავს. აქ დიდი ხმაური და ტრადიციული ალბ-მიცემობა მზის ამოსვლამდე იწყება.

წავკისელი, ტაბახმელელი, თელეთელი, მცხეთელი და შინდისელი მეყვავილეები ჯერ კიდევ ბნელ პავილიონში მუშტარს თავაზიანად უხმობენ. დეზერტირების ბაზარში ყვავილის საყიდლად დილით ადრე ის კატეგორია იღვიძებს, ვისაც საკუთარი პატარა მალაზია ან ქუჩაში სახელდახელოდ მონყობილი ყვავილების ფარდული აქვს. აქედან წაღებული ყვავილის ფასი, ქუჩაში ან მალაზიაში გამოჩენისთანავე სამჯერ-ოთხჯერ ძვირდება. მა-

გალითად ავიღოთ კალა, რომელზედაც მოთხოვნილება გაიზარდა ერთ-ერთი ტელესერიალის ჩვენების შემდეგ. დეზერტირების ბაზარში ერთი ცალი კალას ფასი 20-25 თეთრია, 50-70 ცალის ყიდვის შემთხვევაში კეთილი სოფლები კლიენტს დამატებით 7-8 ცალს ფეშქაშობენ. საბოლოოდ, ასეთი სერვისით მეყვავილეები უფრო მოგებულები რჩებიან - ამით მათ მუდმივი მუშტარი უჩნდებათ.

დეზერტირების ბაზარი დღეს ისათვის ადგილობრივი პროდუქციით არის გაჯერებული. თუმცა მეყვავილეები მომხმარებელს თურქეთიდან, ირანიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან შემოტანილ ყვავილსაც სთავაზობენ. აცივებასთან ერთად ბაზრზე ადგილობრივი ყვავილის რაოდენობა ნელ-ნელა იკლებს და მის ადგილს ამ ქვეყნიდან შემოტანილი პროდუქცია ავსებს. მიზეზი მარტივია: ჩვეულებრივ ზამთარში ყვავილს განსაკუთრებული ხელშეწყობა სჭირდება. ამ დროს, როგორც წესი, ყვავილი სპეციალურ სათბურებსა და მეურნეობებში მოყავთ. ზამთარში სათბურის ამუშავება ქართველ მეყვავილეებს ძალიან ძვირი უჯდებათ, რაც ისედაც მცირე შემოსავლიან ბიზნესს, წამგებიანს ხდის.

მიუხედავად იმისა, რომ თავად მეყვავილეები მკაცრ საბაჟო პროცედურებზე ბევრს საუბრობენ, ირანიდან, თურქეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ყვავილის შემოტანა გაცილებით იაფი უჯდება, ვიდრე სათბურში ყვავილის მოყვანა.

დედაქალაქის ახლომხლო სოფლებიდან, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა, სწორედაც, რომ ყვავილების ბიზნესით ირჩენს თავს, წავკისელები "სტაჟიან" მებაღეებად ითვლებიან. ამ სფეროში განსწავლულობა სოფლებს წინაპრებისგან მოსდევდათ.

წავკისელი 47 წლის გიგოლა ქოროლიშვილი მეყვავილეობის ნაბაზას უფრო ადრე გაეცნო, ვიდრე პირველ კლასში "დედაენას". მისი ყოველდღიური შემოსავალი ოჯახის დაპურებას ძლივს აუდნის. საკუთარი ბიზნესის წელში გასამართად გიგოლამ ამ ორიოდე წლის წინათ, თანასოფლელების მიბაძვით, საკუთარ სათბურში ბუნებრივ ტემპერატურაზე, ჰოლანდიური ჯიშის ყვავილების გამოყვანა დაიწყო.

მცხეთის, წავკისისა და ტაბახმელის მსგავსად მებაღეობა ნელ-ნელა ფეხს თბილისის გარეუბნებშიც იკიდებს. დიდმისა და გლდანის მოსახლეობის ერთი ნაწილი თავის გატანას მეყვავილეობით იოლად ახერხებს. აქ ყვავილების გასაშენებლად აუთვისებელი თუ ათვისებული მიწების დამუშავება გაზაფხულსა და შემოდგომაზე აქტიურად მიმდინარეობს.

დღეს ქართველი მებაღეები ახალი ჯიშების გამოყვანით თავს უკვე აღარ ინუხებენ, თუმცა ამის სურვილი ცოდნასთან ერთად ზოგიერთს ჯერ კიდევ შემორჩა. მებაღეები ამბობენ, რომ ახალი ჯიშების გამოგონება და სხვადასხვა ექსპერიმენტები მათ ძალიან ძვირი უჯდებათ, რაც ხშირ შემთხვევაში ვერ ამართლებს კიდევ.



# მსოფლიოს ნომარ პირველი ბასტსაილი

ნიმო ნარკავაპვილი

როგორ შეიძლება იდეა რეალურად განხორციელდეს, ოცნება სინამდვილედ იქცეს და ბოლოს და ბოლოს უბრალო, რიგითმა ადამიანმა გააკეთოს ისეთი საქმე, რომელიც მას სხვებისაგან გამოირჩევს მანსა და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნების საშუალებას მისცემს.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, ამერიკის ჰარვარდის უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტმა უცხოეთის ქვეყნებში მოგზაურობისათვის გადაწყვიტეს, შეედგინათ პატარა ბუკლეტი, რომელიც მათ მეგზურობას გაუწევდა და საჭირო თანხების განსაზღვრაში დაეხმარებოდა. ასე მიეცა დასაბამი დღეისათვის უკვე პოპულარულ, ფართომასშტაბიან და ფართოთიარაჟიან გამოცემას "Let's Go", რაც ქართულად სიტყვასიტყვით ასე უდერს – მოდით წავიდეთ.

ადრინდელი ოცგვერდიანი ჯიბის წიგნისაგან განსხვავებით, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის შესახებ მარტივ და სტუდენტობისათვის საჭირო ინფორმაციისაგან შედგებოდა, დღევანდელი გამოცემები წარმოუდგენლად დიდი მასშტაბის, ყოვლისმომცველ ინფორმაციას მოიცავს. წიგნი წარმოადგენს საბიუჯეტო სახელმძღვანელოს მოგზაურობისათვის. აქ არის ამომწურავი მოკლე ექსკურსი ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის, პოლიტიკური თუ ეკონომიკური წყობის, ისტორიული ძეგლების, ხალხის წესჩვეულებების, არსებული კანონების, უსაფრთხოების, დაზღვევის, ნაციონალური საკვების, ვალუტისა და მისი ხელსაყრელად გადაცვლის, საკრედიტო ბარათებით სარგებლობის შესახებ, საკომუნიკაციო სისტემების, ავიაკომპანიების ჩარტერული თუ პირდაპირი რეისების, სასტუმროების, რესტორნებისა და კაფეების, სახმელეთო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის თაობაზე, აგრეთვე განმარტებები მოტოციკლეტით, ველოსიპედით თუ ფეხით მოგზაურობის მოყვარულთათვის, წლის სხვადასხვა თვეებში მოსალოდნელი ამინდის პროგნოზი, სპეციალური ინფორმაცია ასაკოვანი და მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად მოგზაურთათვის. რაც მთავარია, ყველა პუნქტს ახლავს ინფორმაცია თავისი ფასებისა და შესაძლებელი შეღავათების შესახებ, რუკები და მეტროს სქემები. ასე რომ, თუკი "Let's Go" გაქვთ, ჩათვალეთ, რომ მოგზაურობისათვის მზად ხართ.

წიგნი უკვე 43 წელია გამოდის და მისი პოპულარობა დღითიდღე იზრდება. "წლები მანძილზე "Let's Go" მსოფლიოში ნომერ პირველი ინტერნაციონალურ ბესტსელერად რჩება. მისმა გამომცემლებმა უდიდეს წარმატებას მიაღწიეს და დიდი კაპიტალი დააგროვეს. წიგნი, ფაქტობრივად გამოცემისთანავე ქრება დახლებიდან და შეიძლება ითქვას, მას მთელი დედამიწა კითხულობს. ასეთი წარმატებით ვერცერთი გამოცემა ვერ იტარაბაზებს." – წერს გაზეთი "ვაშინგტონ პოსტი."

## "ამერიკული ოცნება"

ალბათ ასეთი რამ მხოლოდ ამერიკაში შეიძლება მოხდეს, რადგან ეს ის ქვეყანაა, თავისი საკუთარ

**LET'S GO**  
THE BUDGET GUIDE TO  
**EUROPE**

1 9 9 7

**COMPLETELY REVISED EVERY YEAR**

რი "ამერიკული ოცნება" რომ აქვს, რომელიც ადამიანის მონდომებისა და შრომის საფასურად, ხშირ შემთხვევაში რეალობად იქცევა ხოლმე. ასე დაემართა "Let's Go"-ს გამომცემელს ადამ ჰანდლისაც. უბრალო, რიგითი მუშაკიდან იგი მსოფლიოში ცნობილ და მდიდარ ადამიანად იქცა. მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ყოველივე ამას მან მხოლოდ საკუთარი ძალებით, დახმარებისა და მფარველების გარეშე მიაღწია. უბრალოდ მისი უპირატესობა ის არის, რომ მხოლოდ მან დაინახა დიდი პერსპექტივა ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტების წამოწყებაში და 1960 წელს ბანკიდან აღებული

კრედიტით პირველი წიგნი გამოსცა, რომელიც მხოლოდ ევროპის ქვეყნებს შეეხებოდა. 70-80-იან წლებში ამას მოჰყვა გამოცემები ამერიკის შერეული შტატების, ახლო და შორეული აღმოსავლეთის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებზე. წლების განმავლობაში წიგნის ფურცლები შეავსო ინფორმაციამ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის შესახებ. გაჩნდა სპეციალური განმარტებები, რჩევები და ახალი იდეები სხვადასხვა თავისებურებების მქონე მოგზაურთათვის.

**"პირველ გამოცემას რეკლამა ფაქტობრივად არ დასჭირვებია, რადგან იგი სხვა მსგავს წიგნებთან შედარებით ძალიან იაფი**

**იყო და თანაც არცერთ სხვა წიგნს არ ჰგავდა. მთელი ტირაჟი სტუდენტებმა იყიდეს და ეს საუკეთესო რეკლამა აღმოჩნდა. ვერ წარმოიდგენთ, რა სანახაობა იყო – პარკებში, სკვერებში, კაფეებში თუ ქუჩის შადრევნებთან, ერთი სიტყვით, ახალგაზრდობის თავისუფალი ადგილებში, ყველა "Let's Go"-ს კითხულობდა".** – ამბობს ადამ ჰანდლი გაზეთ "ნიუ-იორკ თაიმსი"-სადმი მიცემულ ინტერვიუში.

მაგრამ ადამ ჰანდლიმ აქაც გონივრულად გათვალა და ეს წარმატება გარკვეულწილად ამ გათვლის შედეგი იყო. საუბარია იმაზე, რომ წიგნისათვის ინფორმაციის

შეგროვება ისევ ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტების პრეგოგატივად დარჩა და დღესაც ასეა. ამ მიზნით, სტუდენტები გამომცემლობის ხარჯით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობენ და მასალების შესაგროვებლად ძალასა და ენერჯიას არ იშურებენ. მით უმეტეს, რომ გამომცემლობა ინფორმაციას ჰონორარი-თაც ანაზღაურებს. შედეგად ორივე მხარე კმაყოფილია.

რაც შეეხება სტუდენტების მიერ შესასრულებელ სამუშაოს, იგი მართლაც რთული და შრომატევადია. მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების, პოლიტიკური თუ ეკონომიკური სიტუაციის და რაც მთავარია ფასების ცვლილებების შესაბამისად ყოველწლიურად ახალი მონაცემებით და უცვლელი სათაურით "Let's Go"-ს ახალი გამოცემა იბეჭდება. ადამ ჰანდლის საბანკო ანგარიშიც, შესაბამისად წლიდან წლამდე იზრდება.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ "Let's Go"-ს მკითხველთა აუდიტორია კარგა ხანია გასცდა სტუდენტურ და მოგზაურობის მოყვარულთა წრეებს. დღეისათვის იგი მნიშვნელოვან სახელმძღვანელოს წარმოადგენს ბიზნესმენებისა და პოლიტიკური მოღვაწეებისათვისაც.

**"Let's Go" ერთხანად პოპულარულია ყველა თაობისა და პროფესიის ადამიანებში. საიდუმლო კი იმაში მდგომარეობს, რომ წიგნი უბრალოდ, მარტივად, საინტერესოდ არის დაწერილი და რაც მთავარია ზოგავს დროს, რადგან ყველა საჭირო კითხვაზე მოკლე და ამომწურავ პასუხს იძლევა".** – წერს ჟურნალი "თაიმსი". ადამ ჰანდლის საგამომცემლო საქმიანობა კი კორპორაციაში გადაიზარდა და დღეს მთელს მსოფლიოში იყიდება "Let's Go"-ს სამარკო ნიშნისანი ყველა სახის სამგზავრო ატრიბუტიკა. თვითონ წიგნი კი, რომელსაც ის, რომ № 1 ბესტსელერია, უკვე ყდაზე აწერია, შვიდ ენაზე ნათარგმნი და უდიდესი ტირაჟით გამოიცემა.

## რა დააშვა საქართველომ

სამწუხაროა, მაგრამ რეალობა. "Let's Go"-ს არსებობის 43 წლის მანძილზე საქართველო წიგნი მხოლოდ ერთხელ, 1986 წლის გამოცემაში მოხვდა. კანადელი სტუდენტი ჯონ ჰაუბოლდტი, რომელიც კანადაში გაცნობილი მისი ქართველი მეგობრების მოწვევით საქართველოში იმყოფებოდა, გააოცა იმ ფაქტმა, რომ ასეთ ფართომასშტაბიან გამოცემაში, სადაც ეკვადორი და სომალიც კია შესული, არასოდეს დაბეჭდილა ინფორმაცია საქართველოს შესახებ. ჯონ ჰაუბოლდტის მიერ მოპოვებულმა ინფორმაციამ "Let's Go"-ს მხოლოდ სამი ფურცელი დაიკავა. რა თქმა უნდა, ძნელია ასეთი მცირე მოცულობის მასალაში საქართველოს მთელი წარსული ისტორია და აწმყოც მოათავსო, მაგრამ მთავარია თვითონ ფაქტი და მისი მნიშვნელობა.

და ბოლოს, სტატისტიკური მონაცემებით, 2000 წელს საქართველოში შემოსული უცხოელი ტურისტების რიცხოვნობამ 298,5 ათასი კაცი შეადგინა. მათი საქართველოში მოგზაურობა კი ბევრად სასიამოვნო იქნებოდა "Let's Go"-სთან ერთად.